18 1996 წ.

# კავკასიონი

The KAVKASIONI

© ყოველდღიური გაზეთი

№ 85 (379)

ფასი 40 თეთრი




## მოსკოვში, სამიტზე...

გუშინ მოსკოვში ჩატარდა დსთ-ს ქვეყნების მეთაურთა შეხვედრა, რომელშიც საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძეც მონაწილეობდა.

სხდომის გახსნისას მისმა თავმჯდომარემ, რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა განაცხადა: „მინდა კიდევ ერთხელ ჩამოვთვალო დსთ-ს შიგნით უფრო ღრმა ინტეგრაციის ძირითადი პრინციპები: 1. დსთ-ს ქვეყნების სუვერენიტეტის შენარჩუნება; 2. იზოლაციის უარყოფა, ინტეგრაციის პრინციპულად ღია ხასიათი; 3. მმართველი სტრუქტურების ფორმირების მოქნილობა. ხაზი უნდა გავუსვა, რომ თანამეგობრობის ფარგლებში ინტეგრაციული ბირთვის შექმნა გამიზნულია არა დსთ-ს შესუსტებისთვის, არამედ მისი განვითარების შემდგომი იმპულსირებისთვის".

შეხვედრის დღის წესრიგში იყო ათამდე საკითხი, მათ შორის — რუსეთში დემოკრატიული პროცესების მხარდამჭერი განცხადების მიღება, 1996-97 წლებში ინტეგრაციული განვითარების პერსპექტიული გეგმის განხილვა, ორგანიზებულ დანაშაულებებთან ბრძოლის სახელმწიფოთაშორისო პროგრამის მიღება, თანამეგობრობის საგარეო საზღვრებზე კრიზისული სიტუაციის შექმნის შემთხვევაში, სასაზღვრო ჯარების თანამოქმედების თაობაზე შეთანხმება.



გარდა ამისა, სამიტის მონაწილენი განიხილავდნენ საკითხებს დსთ-ს სახელმწიფოს მეთაურთა და მთავრობების საბჭოების პროცედურის დამტკიცების შესახებ და დსთ-ს შინაგან საქმეთა მინისტრების საბჭოს დებულების შესახებ.

სამიტზე სიტყვით გამოვიდა მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით მყოფი გაეროს გენერალური მდივანი ბუტროს ბუტროს ღალი. მან მადლობა გადაუხადა ბორის ელცინს ამ ისტორიულ შეხვედრაზე მოწვევისთვის და ხაზი გაუსვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაინტერესებას დსთ-ს ქვეყნების მიმართ. ღალიმ თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურებს გაეროს ფარგლებში უფრო ფართო დიპლომატიური და სამშვიდობო თანამშრომლობისკენ მოუწოდა. ცხელ წერტილებში კონფლიქტების მოგვარებისთვის ერთიანი ძალისხმევის მაგალითად კი, მან აფხაზეთი და ტაჯიკეთი დაასახელა.

უკრაინის მხარის წინადადებით, მოსკოვის შეხვედრაზე განიხილებოდა, აგრეთვე, დეპორტირებულ პირთა, ეროვნულ უმცირესობათა და ხალხთა უფლებების აღდგენასთან დაკავშირებული შეთანხმებების შესაძლებლობა. საქართველომ კი სამიტ-

იხილეთ მე 2 გვ.

### პარლამენტი

## ოთარ ფაცაცია მზადაა. პასუხი აგოს პარლამენტის და ხალხის წინაშე

### „ბიუჯეტი, უპირველეს ყოვლისა"

არცთუ შორეულ წარსულში წარმოთქმული ეს ლოზუნგი სწორედ იმ ფინანსთა მინისტრს ეკუთვნის, რომლის ხელმძღვანელობის პერიოდშიც გასული წლის ბიუჯეტის ხარჯებმა დაგეგმილს 92,4 მილიონი ლარით გადააჭარბა (საქართველოს ბიუჯეტი სულ 340 მილიონ ლარს შეადგენს), რის გამოც სახელმწიფომ მოსახლეობაზე ვერ გასცა ხელფასები.

იხილეთ მე 2 გვ.

## ვინ გახდება სახალხო დამცველი?

ცნობილია, რომ პარლამენტმა ორი დღის წინ, ხანგრძლივი დებატების შემდეგ, მიიღო კანონი „სახალხო დამცველის" შესახებ. სადღეისოდ პარლამენტის დღის წესრიგში დგას საქართველოს პირველი სახალხო დამცველის კანდიდატურების შერჩევა. როგორც არაოფიციალური წყაროებიდან გაირკვა, ჯერჯერობით, კანდიდატთა შორის არიან: ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე სანდრო

იხილეთ მე 2 გვ.

### პრობლემა

## წყალმომარაგებაში მოსალოდნელია შეფერხებები

16 მაისს ქ.თბილისის მერი ბ.შოშიტაიშვილი და მუნიციპალური ფირმა „თბილწყალკანალის" ხელმძღვანელობა შეხვდა დავალიანების მქონე 70 საწარმოსა და ორგანიზაციის წარმომადგენლებს. „თბილწყალკანალის" გენერალურმა დირექტორმა იცარციძემ ისაუბრა აღნიშნულ ორგანიზაციაში შექმნილ მძიმე პირობებზე. მისი განცხადებით, ამჟამად დაზიანებულია ჟინვალის წყალმომწოდებელი გვირაბი, რომლის აღდგენა 1-დან 20 ივნისამდე უნდა მოხდეს. „თბილწყალკანალს" დაგეგმილი აქვს სათავე ნაგებობების მოდერნიზაცია, რომელიც ქალაქს საშუალებას მისცემს დაზოგოს 80-100 კვტ ელექტროენერგია. ყველა ჩამოთვლილი ღონისძიება მოითხოვს დიდ ფინანსურ სახსრებს, რომელიც ამჟამად დედაქალაქის ბიუჯეტს არ გააჩნია. შეხვედრაზე მოწვეულ ორგანიზაციათა დავალიანება სულ 12 მილიონ 818 000 ლარს შეადგენს. დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მოსალოდნელია სისტემის მწყობრიდან გამოსვლა და ქალაქისთვის წყლის მიწოდების შეწყვეტა.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ აუცილებელია წყალმზომი მრიცხველების დაყენება, რაც ხელს შეუწყობს ორგანიზაციათა მიერ მოხმარებული წყლის რაოდენობის შემცირებას და გააადვილებს დავალიანების დაფარვას.

1 ივნისიდან დაიწყება წყლის გამფრთხილებელი გამორთვები იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც აღნიშნულ თარიღამდე ვერ დაფარავენ დავალიანებას.

 იფრინდა

### ეკონომიკა

## რამ დააჩოქა საქართველოს ეკონომიკა

პრეზიდენტის თანაშემწემ ეკონომიკური რეფორმების დარგში თემურ ბასილიამ დანაშაულებრივი უწოდა ყოველივე იმას, რაც დაკავშირებულია ბუნებრივი გაზის დავალიანების სანაცვლოდ თურქმენეთში ქართული პროდუქციის გაგზავნასთან. მისი თქმით, პარლამენტის საგამოძიებო კომისიას მოუწევს გარკვევა იმაში, თუ როგორ „მოახერხა" საქართველომ თურქმენეთის 450 მილიონიანი ვალის „დაგროვება". „სწორედ ამან დააჩოქა ჩვენი ეკონომიკა", — ხაზი გაუსვა თემურ ბასილიამ.

BGI

### სასამართლოში

## ლურჯი რა ფერია? — მწვანე?

მასალა იხილეთ მე 2 გვ.

### ტრანზიტი

## გაზსადენი საქართველოს ტერიტორიაზე გაივლის

საქართველო დიდ დაინტერესებას იჩენს თურქეთის წინადადებისადმი, გამოიყენოს მისი ტერიტორია რუსეთიდან და თურქმენეთიდან ბუნებრივი გაზის თურქეთში ტრანზიტისთვის. ამის შესახებ თურქულ მხარესთან მოლაპარაკების პირველი ეტაპის შედეგების შეჯამების შემდეგ განაცხადა „საქგაზის" დეპარტამენტის დირექტორმა დავით ელიაშვილმა. მისი თქმით, მოლაპარაკებების თანახმად, პროექტის სარეალიზაციო სამუშაოები ორ ეტაპად ჩატარდება. პირველი ეტაპი ითვალისწინებს გაზსადენის 25-კილომეტრიანი განშტოების მშენებლობას თურქეთის საზღვრამდე. თურქული მხარე საკუთარ საზღვრებამდე გაზსადენის მშენებლობას თავის თავზე აიღებს. აღნიშნული მილსადენი დღე-ღამეში 300 ათას კუბომეტრ გაზს გაატარებს.

გაზსადენის შეერთებისა და საქართველოს ტერიტორიაზე მისი მშენებლობის ფინანსირებას ნაწილობრივ თურქული მხარე მოახდენს, ნაწილობრივ კი — ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი.

მეორე ეტაპი ითვალისწინებს არსებული მაგისტრალური გაზსადენის რეკონსტრუქციას. „საქგაზის" დეპარტამენტის ხელმძღვანელის თქმით, გაზსადენის დიამეტრის გადიდების შედეგად მისი გამტარუნარიანობა წელიწადში 20-25 მილიარდ კუბომეტრს მიაღწევს.

იფრინდა

### ოპოზიცია

## „დღევანდელი პარლამენტი აღმასრულებელი ხელისუფლების ხელში ცოცხალი ინსტრუმენტია"

გვესაუბრება ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის თავმჯდომარე ბატონი **მიხეილ ნანეიშვილი.**

— თქვენ, როგორც ყოფილი პარლამენტარი, როგორ შეაფასებდით დღევანდელ პარლამენტს?

— ის, რომ, საქართველოში, ჯერჯერობით, ვერ შეიქმნა ისეთი პარლამენტი, როგორიც ქვეყანას სჭირდება, ჩვენ არც უნდა გვაკვირვებდეს იმიტომ, რომ სრულიად გარკვეული მიზეზების გამო, ჩვენში ძალზე დაბალია პოლიტიკური კულტურა. ამდენად, ვერც გასული და ვერც ახალი პარლამენტი ვერ პასუხობს ქვეყნის ისტორიულ მოთხოვნებს. სამწუხაროდ, ჩემი პესიმისტური პროგნოზი ახალ პარლამენტთან დაკავშირებით გამართლდა. წინა პარლამენტთან შედარებით, ეს პარლამენტი გაცილებით მდარეა. პარლამენტი ეს ის ორგანოა, სადაც ხდება აზრთა ჭიდილი, აზრთა დაპირისპირება, სადაც მკვეთრადაა გამოხატული ოპოზიცია. ჩვენს, დღევანდელ პარლამენტში კი რას ვხედავთ?

ოპოზიციური ძალები ხომ ახალ პარლამენტშიც მოიძებნებიან?

სამწუხაროდ, ჩვენში ოპოზიციის სახელქვეშ მტერს გულისხმობენ. ოპოზიცია კი, ფაქტობრივად, ის ძალაა, რომელიც ხელისუფლებას „შემოუძახებს".

პროდუქტიული იდეებით არც წინა პარლამენტი ბრწყინავდა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, იქ არსებულ პოლიტიკურ აზრს, სიცოცხლის ნიშანწყალი მაინც ეცხო. ახლანდელ პარლამენტზე ამასაც ვერ ვიტყოდი. ისტორიიდან ცნობილია სხვადასხვა პარლამენტი, მათ შემდეგ სახელებსაც არქმევდნენ, ერთ მათგანს „უბადლოც" უწოდეს. ვშიშობ, ირონიულად, მისი სერვილიზმის გამო. ჩვენც სწორედ ასეთი „უბადლო" პარლამენტი გვყავს, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლების ხელში ცოცხალ ინსტრუმენტადაა ქცეული. ახლანდელი კანონმდებლები ყველაფერზე ხელისმომწერნი არიან.

იხილეთ მე 4 გვ.

## კვარტეტი კვინტეტით შეიცვლება

ყაზახეთი იხილავს შესაძლებლობას, შეუერთდეს აზერბაიჯანს, საქართველოს, თურქმენეთსა და უზბეკეთს შორის რეგულარული სატრანზიტო გადაზიდვების სფეროში დადებულ ხელშეკრულებას. აშხაბადში ხელმოწერილმა დოკუმენტებმა, კერძოდ, შეთანხმებამ სარკინიგზო ტრანსპორტის მუშაობის კორდინაციის თაობაზე, ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ნურსულთან ნაზარბაევის მოწონება დაიმსახურა, რომელმაც გამოთქვა სურვილი, ექსპერტების მიერ განხილვის შემდეგ შეუერთდეს „კვარტეტის" მიერ ხელმოწერილ შეთანხმებას.

BS PRESS

### რაც არ ზერგება...

## „უწესრიგო" წესრიგის გუშაგი

ქუთაისის საგზაო პოლიციის უფროსი შიო ობოლაძე ყალბი დოკუმენტების შედგენაში ამხილეს. ცნობილი გახდა, რომ მან, რომელსაც არასოდეს უმსახურია ჯარში, სამსახურის დაწყების წინ გააკეთა ყალბი დოკუმენტი, რომლის თანახმადაც, თავი საბჭოთა არმიის მაიორად გაასაღა. სხვა დოკუმენტებს შორის მის პირად საქმეში არსებობს ცნობა ავადმყოფობის შესახებ, რომელსაც ნესხით, შიო ობოლაძე მრავალი წლით უნდა მიეჯაჭვა საწოლზე. მაქინატორი სამსახურიდან გაათავისუფლეს და მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრეს. ამავე დროს, მრავალი ადამიანი აღნიშნავს, რომ მცირე დროის მანძილზე, შიო ობოლაძემ მოახერხა ტრასებზე წესრიგის დამყარება.

BGI

გახსოვდეს აფხაზეთი!

# მოსკოვში, სამიტზე...

პირველი გვერდიდან

ზე განსახილველად წარადგინა საკითხი აფხაზეთში კოლექტიური სამშვიდობო ძალების ყოფნის შესახებ.

ამ საკითხზე მსჯელობის შემდეგ სამიტის მონაწილეებმა მიიღეს გადაწყვეტილება სამშვიდობო ძალებისთვის ორი თვით მანდატის გაგრძელების შესახებ. რაც შეეხება ამ მანდატის გაფართოებას და სამშვიდობო კონტინგენტისთვის პოლიციური ფუნქციების მინიჭებას, საკითხი ღიად დარჩა.

შეხვედრის დამთავრების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ასეთი გადაწყვეტილებისთვის გაკეთებულ კომენტარში რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა აღნიშნა, რომ ქართულ და აფხაზურ მხარეებს მიეცათ რეკომენდაცია, რუსეთის შუამავლობით, განაგრძონ მუშაობა მანდატის შეთანხმების მიზნით.

თავის მხრივ, საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ ახალ მანდატზე მუშაობა უნდა დამთავრდეს კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების ყოფნის ვადის გასვლამდე. შევარდნაძის აზრით, ეს ვადა სრულიად საკმარისია საბოლოო ვარიანტამდე მისასვლელად.

„დსთ თანდათან იკავებს აქტიურ პოზიციას საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე კონფლიქტების მოწესრიგების საქმეში. ბოლო წლინახევრის მანძილზე თანამეგობრობამ მიიღო პრინციპული გადაწყვეტილებები ამ პრობლემებზე და ძირითად სიმძიმეს ამ პროცესში რუსეთის მხარე იღებს თავის თავზე", — დასძინა საქართველოს პრეზიდენტმა. მისი თქმით, ამ მიმართულებით აქტიური მუშაობის პირველ შედეგს ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების ზოგიერთი ასპექტი წარმოადგენს.

## „სტუდენტური დღეები-96"-ის პროგრამა

18-22 მაისი

სტუდენტური მხატვრული თვითმოქმედების დასკვნითი კონცერტები დიდ საკონცერტო დარბაზში

18 მაისი 16.00

1. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
2. საქართველოს ფიზიკური კულტურის და სპორტის აკადემია.

19 მაისი 16.00

1. თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი
2. თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

20 მაისი 16.00

1. ეკონომიკურ ურთიერთობათა თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტი
2. თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი
3. თბილისის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი

21 მაისი 16.00

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
2. საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი

22 მაისი 16.00

1. თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი
2. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

24 მაისი 19.00

სტუდენტური მხატვრული თვითმოქმედების კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოება და გალა-კონცერტი

17-19 მაისი

ინტელექტუალური თამაშების ფესტივალი ჭადრაკის სასახლეში

17 მაისი 16.00 — 1/4 ფინალი

18 მაისი 16.00 — 1/2 ფინალი

19 მაისი 15.00 — ფინალი

26 მაისი 19.00

სტუდენტური მეჯლისი და „სტუდენტური დღეები-96"-ის საზეიმო დახურვა რესპუბლიკის მოედანზე

19-24 მაისი

სპორტული შეჯიბრებების ფინალური შეხვედრები

21 მაისი 15.00

მინი-ფეხბურთის ფინალური მატჩი თბილისის სპორტის სასახლეში

22 მაისი 18.00

ფინალური მატჩი კალათბურთში, თბილისის სპორტის სასახლეში

23-24 მაისი 12.00

მკლავჭიდის ფინალური შეხვედრები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში

19-24 მაისი 11.00

ფინალური შეხვედრები ჭადრაკში თბილისის ჭადრაკის სასახლეში.

სასამართლოში

## ლურჯი რა ფერია? — მწვანე?

გუშინ ლოთი ქობალიას სასამართლო პროცესზე დაკითხეს ხობელი ბონდო კუტალია, რომელიც ქობალიას ექვსი ადამიანის მკვლელობაში სდებს ბრალს. მისი ჩვენების თანახმად, ქობალიამ 1993 წლის 28 ოქტომბერს დილის 11 საათზე ქალაქ ხობში ცენტრალური გასტრონომის წინ სამი გვარდიელი დახვრიტა. იმავე დღის 14 საათზე კი ორი გვარდიელი და ჟურნალისტი — დავით ბოლქვაძე. მოსამართლემ წაიკითხა კუტალიას მიერ გამოძიებისადმი ადრე მიცემული ჩვენებები. ძველი და ახალი ჩვენებები ცასა და დედამიწასავით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. დაკითხვისას კი გაირკვა, რომ მოწმე ვერ არჩევს ფერებს (მან ლურჯი ფერის საგანი მიიჩნია მწვანედ, რის შემდეგაც თქვა, ფერებს ვერ ვარჩევო), მაშინ, როცა ჩვენებებში მრავლად აქვს ნახსენები სხვადასხვა ფერის საგნები (მაგალითად, მისი განცხადებით, ქობალია მკვლელობის ადგილზე თეთრი ფერის უცხოური მარკის მანქანით მოვიდა. სხვა ჩვენებაში მანქანა საერთოდ არ არის ნახსენები და პირდაპირაა მითითებული, ქობალია ფეხით მოვიდაო). კუტალია ვერც გვარებს იმახსოვრებს. ქობალიას ადვოკატის, ბატონ ოთარ ფანქველაშვილის თხოვნის შემდეგ მოწმემ ვერ გაიმეორა მოკლული გვარდიელების გვარები, რომლებიც მის ჩვენებებში ფიგურირებენ და მოსამართლემ ორიოდე წუთის წინ ჩამოთვალა. რამდენიმე მცდელობის მიუხედავად, მოსამართლემ ზუსტი ჩვენება ვერ დაადგინა, რადგან მოწმე ხან ერთს ამბობდა, ხან მეორეს და იმეორებდა, ჩემი დაწერილი სწორიაო, თუმცა, ბოლოს იძულებული გახდა, დაწერილშიც შეეტანა შესწორება.

მოსამართლე და პროკურორები რას ფიქრობენ, არავინ იცის, მოწმე კი „შავ დღეში" ჩავარდა. მისი აბდა-უბდა ლაპარაკი გაოცებული ხალხის სიცილს იწვევდა. ბატონმა ალექსანდრემ (მოსამართლე) რამდენიმეჯერ გააფრთხილა დარბაზი, სასაცილო არაფერიაო. სასაცილო მართლაც არაფერი იყო. სხდომა ორშაბათს გაგრძელდება.

ზაზა ფაჩუაშვილი

პარლამენტი

# ოთარ ფაცაცია მზადაა, პასუხი აგოს პარლამენტის და ხალხის წინაშე

## „ბიუჯეტი, უპირველეს ყოვლისა"

პირველი გვერდიდან

**გასული წლის ბიუჯეტის შესრულების შედეგების განხილვისას, რომლის ანგარიშიც კონტროლის პალატამ რამდენიმე კვირის წინ პარლამენტს წარუდგინა, მრავალი კითხვა და საჩოთირო საკითხი წარმოიშვა.** გასული წლის ბიუჯეტი არცერთ ნაწილში არ შესრულდა, დარღვეულია კანონი ბიუჯეტის შესახებ ყველა მიმართულებით. **საკითხის დამატებითი შესწავლა და ბიუჯეტის უკანონო ხარჯვის და საბიუჯეტო კანონის დამრღვევის პერსონალური პასუხისმგებლობის შესახებ დასკვნის გაკეთება სახელმწიფო კონტროლის პალატას დაევალა.**

**მართალია, ცალკეული საკითხის შესწავლა დათქმული ათი დღის ვადაში ვერ მოხერხდა, მაგრამ მოგვიანებით, გუშინ პარლამენტმა მოისმინა კონტროლის პალატის თავმჯდომარის რევაზ შავიშვილის მოხსენება საბიუჯეტო სახსრების უკანონო ხარჯვის შესახებ.**

**დაფიქსირებულია დამატებითი ხარჯების გაწევის კანონსაწინააღმდეგო ქმედება:**

უკანონოდ, პარლამენტთან შეუთანხმებლად, უშუალოდ მინისტრთა კაბინეტის ცალკეული დადგენილებებით თუ ბრძანებულებებით გაცემულია დამატებითი ხარჯები, როცა ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გაწევაზე გადაწყვეტილების მიღება, მხოლოდდამხოლოდ, პარლამენტის პრეროგატივაა.

**ვიდრე უკანონო ხარჯების ზოგიერთ ფაქტს მოვიყვანთ, აღსანიშნავია ერთი ფაქტორი: გუშინ პარლამენტის სხდომაზე კონტროლის პალატის მიერ წარდგენილი საბიუჯეტო სახსრების უკანონო ხარჯვის ფაქტობრივი მონაცემების ნუსხა, ჟურნალისტებისთვის, რატომღაც, ხელმიუწვდომელი შეიქნა. სრულიად გაუგებარია საკითხის ამგვარი გასაიდუმლოება, მით უმეტეს, როცა აუცილებელია, მოსახლეობამ იცოდეს, რაზე დახარჯა მთავრობამ ხალხის კუთვნილი ფული.**

**მიუხედავად ამისა, მაინც მოვახერხეთ „საიდუმლო დოკუმენტის" მოპოვება და სრულიად არასაიდუმლოდ დარღვევათა ვრცელი ნუსხიდან მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტს ვაქვეყნებთ:**

„პურპროდუქტების" კორპორაციას ორი გენერატორის შესაძენად გამოეყო 20 მილიარდი კუპონი.

**ხელს აწერს ოთარ ფაცაცია. 2 თებერვალი, 1995 წელი.**

**1995 წლის ბიუჯეტში აღნიშნული თანხა არაა ასახული.**

რუსეთში საქართველოს საელჩოს ღონისძიებების ჩასატარებლად გამოეყო 4500 ლარი.

**15 მარტი, 1995 წელი. აღნიშნული თანხა ბიუჯეტში არაა ასახული.**

გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე საქართველოს დელეგაციის მისავლინებლად მინისტრთა კაბინეტმა გამოყო 9 ათასი ამერიკული დოლარი.

**5 მაისი, 1995 წელი. თანხა გასული წლის ბიუჯეტში არაა დაფიქსირებული.**

„საქენერგოს" გამოეყო 1,3 ტრილიონი კუპონი კრედიტის სახით „თბილსრესის" სამი ენერგობლოკის აღდგენისთვის.

**10 აპრილი, 1995 წელი. თანხა ბიუჯეტში არაა ასახული.**

ცენტრალურ საარჩევნო კომისიას გამოეყო 3180 ლარი რუსეთის სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობისთვის. ირაკლი მენაღარიშვილის და დავით იაკობიძის რეზოლუციის საფუძველზე ხელს აწერს ბაკურ გულუა.

**8 დეკემბერი, 1995 წელი. თანხა არაა დაფიქსირებული ბიუჯეტში.**

სახალინზე მომხდარ მიწისძვრასთან დაკავშირებით გადაირიცხა 8 მილიარდი კუპონი.

ფირმა „არეზე" გაცემულია 2 მილიონი ლარი კრედიტი.

ხელს აწერს ოთარ ფაცაცია.

პრივატიზაციის შედეგად შემოსული თანხა 10 მილიონი ლარი გაცემულია კრედიტების სახით. ამასთანავე, ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილში საერთოდ არაა დაფიქსირებული პრივატიზაციით მიღებული თანხები.

გახარჯულ 14 მილიონ ლარზე საერთოდ არაა ინფორმაცია. ამ თანხის გაცემაზე არც რაიმე ბრძანებულება არსებობს და არც განკარგულება.

**თუ მივიჩნევთ, რომ დამატებითი ხარჯების ნაწილი, მართლაც საჭიროებისამებრაა გაცემული, მაშინ მის მიზნობრივად გამოყენებაში ეჭვი ნამდვილად შეიძლება შეგვეპაროს, ვინაიდან, „საქენერგოზე" გაცემული თანხით აღდგენილი ენერგობლოკების მუშაობამ (თუკი საერთოდ იმუშავა ზამთრის პერიოდში) ვერაფერი სიკეთე მოუტანა მოსახლეობის, სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების ელექტროენერგიით მომარაგებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, „პურპროდუქტების" კორპორაციას აღარ დასჭირდებოდა გენერატორების შეძენა და ზემოაღნიშნული თანხაც მოსახლეობის სოციალურ ყოფას, უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც წაადგებოდა.**

**ახლანდელი პარლამენტის წევრმა, წინა წლებში კი პრემიერმინისტრმა, ოთარ ფაცაციამ, რომელსაც, როგორც იკვეთება, არაერთი „ცოდვა" ადევს როგორც ბიუჯეტთან მიმართებაში, ისე სხვა ბრძანებულებების თუ განკარგულებების გაცემაში, მის მიერ ხელმოწერილ რამდენიმე დოკუმენტთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა:** „მთავრობა, როგორც გახსოვთ, ექსტრემალურ პირობებში იღებდა გადაწყვეტილებებს და ამდენად, ყოველი წერილმანის პარლამენტთან შეთანხმება ვერ ხერხდებოდა. „საქენერგოზე" რომ თანხები არ გაგვეცა, გასულ ზამთარსაც ვერ გამოვიზამთრებდით, და თუ ჩემს მიერ ხელმოწერილ ბრძანებულებებში რაიმე კრიმინალია, მზად ვარ პასუხი ვაგო პარლამენტის და ჩემი ხალხის წინაშე. თუმცა შეცდომებისგან არავინაა დაზღვეული, მაგრამ, ფაქტია, რომ შეცდომა შეგნებულად არ დაგვიშვია".

**გუშინ გამართულმა დებატებმა ცხადყო, რომ უმრავლესობის მხრიდან აქამდე „შერისხული" ფინანსთა მინისტრი, ერთგვარად „რეაბილიტირებულის" ამპლუაში მოგვევლინა. მიუხედავად იმისა, რომ ფრაქცია „ეროვნულ-დემოკრატი" ანტიკონსტიტუციური ქმედების — თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებისთვის ფინანსთა მინისტრის მიმართ იმპიჩმენტის წესის ამოქმედებას მოითხოვდა, არც უმრავლესობის და არც პარლამენტის თავმჯდომარის მიერ გაზიარებული არ იქნა.**

**საბოლოოდ, სხდომამ** კენჭი **უყარა დასკვნის შეჯერებულ ვარიანტს:**

1. დამტკიცდა საქართველოს მთავრობის ანგარიში 1995 წლის ნაერთი ბიუჯეტის შესრულების შესახებ;

2. საკითხი საბიუჯეტო კანონის დამრღვევ თანამდებობის პირთა პერსონალური პასუხისმგებლობის განსასაზღვრად გადაეცეს პროკურატურას;

3. პროკურატურამ თავისი დასკვნა წარუდგინოს პარლამენტს 1996 წლის ბოლომდე.

**პარლამენტმა** გადაწყვეტილება **მიიღო 135** ხმით 16-ის **წინააღმდეგ.**

**გასული წლის ბიუჯეტის** შესრულების **ირგვლივ** ატეხილი **აჟიოტაჟი, ვფიქრობთ,** მნიშვნელოვნად **წაადგება 1996** წლის **ბიუჯეტიდან თანხების** დამატებითი **ხარჯვის** „ბლოკირებას", **რაც, შესაძლოა, მხოლოდ** მკაცრი **კონტროლის და** შესაბამის უწყებათა **ზედამხედველობის** პირობებში **განხორციელდეს.** თუ თავად **კანონმდებლები და** აღმასრულებლები **არ იმოქმედებენ** კონსტიტუციურად, **მაშინ ნურც** ცივილურ **და დემოკრატიულ** ქვეყანაზე **ვიოცნებებთ და ნურც** სასიკეთო **შედეგებზე.**

დიანა გაბროშვილი

# ვინ გახდება სახალხო დამცველი?

პირველი გვერდიდან

კავსაძე, პარლამენტარი ელენე თევდორაძე და პარლამენტის ყოფილი ვიცესპიკერი რუსუდან ბერიძე.

ზურაბ ჟვანიას განმარტებით, კანდიდატურების შერჩევა მოხდება როგორც პარლამენტთან, ისე არასაპარლამენტო პოლიტიკურ ორგანიზაციებთან კონსულტაციების საფუძველზე.

საგულისხმოა, რომ არაოფიციალურად დასახელებულ კანდიდატთა შორის ყველაზე ნაკლები შანსები აქვს სანდრო კავსაძეს, რამეთუ, უშიშროების გენერლის ამ პოსტზე არჩევა, ერთგვარ უხერხულობას ქმნის ცივილური მსოფლიოს წინაშე.

თავად „ომბუცმენის შესახებ კანონის" ავტორის, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის და ეროვნულ უმცირესობათა საკითხების კომიტეტის თავმჯდომარის კონსტანტინე კოკოევისთვის კი ყველაზე მისაღები რუსუდან ბერიძის კანდიდატურაა.

„კავკასიონი"

## კონფლიქტის ზონა

# «სისხლისფერია ჩეჩნეთი...»

...მინ რუსეთის შინაგანი ...ის ქვედანაყოფები, არმი-...ვიაციისა და არტილერიის ...რებით, განაგრძობდნენ სა-... ოპერაციას ბამუტში. ...ღრის, რუსეთის საინფო-... საშუალებების ცნობით, ...ალურმა ძალებმა ვედენო-...ოლობრივი ადმინისტრა-... და სასულიერო პირების ..., რომლებიც ამტკიცე-..., რომ თავიანთი ძალებით ...ებენ დაითანხმონ ჩეჩენი ...ლები სოფლიდან გასვლა-...შეწყვიტეს ყველა ოპერაცია. ...გუშინ დილით კი ფედერა-... ძალების ხელმძღვანელო-... გაავრცელა ინფორმაცია, ... აღებულია სტარი-აჩხოი. ამ ...ღებულ პუნქტზე პირველი ... რუსებმა ჯერ კიდევ ... ბოლოს განახორციელეს, ... უშედეგოდ. მორიგი შე-...თვის მზადებას რუსი სამ-... გუშინდლამდე განაგრძობდნენ. შეტევა დილის 6 საათზე დაიწყო და ხუთსაათიანი გააფთრებული ბრძოლების შემდეგ ფედერალურმა ჯარებმა და-



„ფედერალისტებს" სიფრთხილე ყოველ ნაბიჯზე მართებთ...

იკავეს სოფელი. რუსი ჟურნალისტების ინფორმაციის თანახმად, ჩეჩნები ცდილობდნენ ქალაქისკენ წასვლას, მაგრამ ალყაში მოქცევის საფრთხის გამო, უკანვე დაბრუნდნენ. სტარი-აჩხოიში სამოქალაქო პირებისა და ჟურნალისტებისთვის შესვლა, ჯერჯერობით, აკრძალულია. ორივე მხარეს არის მსხვერპლი, რომლის ზუსტი მონაცემები დგინდება.

გუშინვე მძლავრი აფეთქება მოხდა გროზნოს თბოელექტროცენტრალის საქვაბე საამქროში. ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის თქმით, ტერაქტის შედეგად მთელი საამქრო მწყობრიდანაა გამოსული. არის თუ არა მსხვერპლი აფექების შედეგად, ჯერ ცნობილი არაა.

ჩეჩნეთის ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და უხუცესებს შორის ვედენოს რაიონში გამართული მოლაპარაკებების შედეგად ჩეჩენმა მებრძოლებმა გაათავისუფლეს გროზნოს შსს-ის რაიონული განყოფილების 11 თანამშრომელი, რომლებიც ამა წლის 3 მაისიდან ტყვედ იყვნენ აყვანილნი.

# ტაჯიკეთი გზაჯვარედინთან

...სიტუაცია ტაჯიკეთში კრიტიკული ხდება. ...ზიციის შეიარაღებული ძალები აკონტროლებენ ...ვიას ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში. სამხედ-...ოხმარებას ისინი ავღანეთიდან, მთიან ბადა-...ნზე-გავლით აიღებენ. „პუტჩისტების" განკარ-...ლებაშია ავტომატური იარაღი, ნაღმსატყორც-..., საზენიტო დანადგარები და ქვემეხები. ...რომ მათ, წარმატებული შეტევითი ოპერაციე-... შემთხვევაში, თავისუფლად შეუძლიათ გადაჭ-... სტრატეგიული ამოცანები.

...ტაჯიკეთის თაობაზე რუსეთის ოფიციალური ...რების მიერ გაკეთებული განცხადებები ეჭვს არ ...ოვებს, რომ რუსეთი კვლავინდებურად უჭერს ...ის ემომალი რახმონოვის რეჟიმს. მაგალითად, ...გარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ...რ ივანოვი აცხადებს, რომ „ნებისმიერ მცდე-...ობას, ძალის გამოყენებით შეცვალოს არსებული ...ანსი, უკუქმედება მოჰყვება", ხოლო თავდაცვის ...ისტრმა პაველ გრაჩოვმა დაადასტურა, რომ ...-ე მოტომსროლელი დივიზიის ნაწილები და ...დანაყოფები დაცვის ქვეშ აიყვანენ სახელმწიფო ...შნელობის ობიექტებს, რაც, ფაქტობრივად, ...ეთის არმიისთვის არტილერიის, ტანკების და ...აციის გამოყენებაზე სანქციის მიცემას ნიშნავს. ...ადვილი შესაძლებელია, მოვლენები ტაჯიკეთში ...ნური ვარიანტით წარიმართოს, ოღონდ, ერთი ...სხვავებით: ამ შემთხვევაში საბრძოლო ოპერა-...ები მეზობელი, სუვერენული სახელმწიფოს ტე-...რიტორიაზე იწარმოებს.

...დესტაბილიზაცია რესპუბლიკაში რიგი ფაქტო-...რით არის განპირობებული. მიმომხილველები ...საკუთრებით ამახვილებენ ყურადღებას ეკონო-...იკურ მომენტებზე, კერძოდ, ქვეყნის კატასტრო-...ულ ეკონომიკურ მდგომარეობაზე: 1995 წელს ...მრეწველო პროდუქციის მოცულობამ, 1993 წელთან შედარებით, 30% შეადგინა, ბამბის მოსავალი 1953 წლის დონემდე დაეცა, ეროვნული ვალუტის კურსი რამდენიმე თვის მანძილზე შვიდჯერ დაეცა: საერთაშორისო ექსპერტების აზრით, ტაჯიკეთს რეალურად ემუქრება მასობრივი შიმშილი — ამჟამად დამშეულთა რიცხვი უკვე 400 ათასს აღწევს. ზოგიერთ სასოფლო-სამეურნეო რაიონში შემოღებულია პურის ნორმირებული გაყიდვა — 100 გრამი ერთ სულზე. სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მთიანი ბადახშანის რაიონი ისლამისტთა ერთ-ერთი ხელმძღვანელის აღა-ხან IV-ის „მზრუნველობის ქვეშ" იმყოფება, მაშინ როდესაც ოფიციალური ხელისუფლება არც ამ, არც სხვა რეგიონებს სათანადო ყურადღებას არ აქცევს.

არანაკლებ ანგარიშგასაწევია პრობლემის პოლიტიკური მხარეც: შიდატაჯიკური დაქსაქსულობა. ამას ემატება ისიც, რომ რუსეთის ხელისუფალნი, ხშირად, ფსონს ჩადიან არა რეალურ ადგილობრივ პოლიტიკურ ლიდერზე, არამედ ისეთზე, რომელიც მათ „მოსწონთ". შედეგად: გადაუჭრელი რჩება ტაჯიკეთისთვის ტრადიციული პრობლემა — გვაროვნულ-ტომობრივი გათიშულობა. მართალია, დღეს, ფორმალურად, რესპუბლიკის ხელმძღვანელობაში თითქმის ყველა რეგიონიდან „გამოსული" პოლიტიკოსები არიან, მაგრამ ეს მხოლოდ ფასადია და არა რეალური საფუძველი სამომავლო კონსესუსისა.

საქმეში ჩახედული ანალიტიკოსების აზრით, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი მხოლოდ ერთია: უნდა შეიქმნას კოალიციური მთავრობა რეგიონული ლიდერების ფართო წარმომადგენლობით, რომელიც დაინტერესებული იქნება ქვეყნის წინაშე მდგარი ურთულესი ამოცანების გადაჭრაში ზოგადეროვნული პრიორიტეტების გათვალისწინებით.

## მოკლედ

### ინტერესი არჩევნებისადმი დიდია

...რუსეთის პრეზიდენტობის კანდიდატები აგრძელებენ წინა-...საარჩევნო აგიტაციას. გუშინ ბორის ელცინი სამიტის დასრულე-...ბისთანავე კრასნოიარსკში გაემგზავრა, სვიატოსლავ ფიოდორო-... ... კუზბასში, კომუნისტების ლიდერი გენადი ზიუგანოვი ...ციმბირიდან მოსკოვში დაბრუნდა, მიხეილ გორბაჩოვი თავის ...მშობლიურ სტავროპოლშია, ალექსანდრე ლებედი კი ამ დღეე-...ბში ნოვოსიბირსკსა და ბარნაულს ეწვევა.

...რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნები, ბუნებრივია, მსოფლიო-... ...ოლის ცენტრშია. დიდია მისდამი ინტერესი ამერიკის ...შეერთებულ შტატებშიც. „უადგილო იქნებოდა, რუსეთის მომა-...ვალი არჩევნების მიმართ შეერთებული შტატების მთავრობამ ...კონკრეტული პოზიცია დაიკავოს. შეერთებულ შტატებს ... ... ამ საქმეში ჩარევა", — ასე ჩამოაყალიბა კლინტონის ...ადმინისტრაციის პოზიცია აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის წა-...რმომადგენელმა ნიკოლას ბერნსმა.

...თუმცა, ისიც რეალობაა, რომ ამ არჩევნებზე შეერთებულ ...შტატებს დიდი ფსონი აქვს დადებული, რადგან ბოლო ოთხი ...წლის განმავლობაში, როგორც ბუშის, ისე კლინტონის ადმინის-...ტრაციამ წარმატებებს მიაღწია ორ ქვეყანას შორის უფრო სტა-...ბილური და მშვიდობიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებაში.

### ...დაღესტანიდან მაგადანამდე

...ინტერფაქსის ცნობით, რუსეთის ფედერაციაში ეკონომიკის ...სფეროში დასაქმებულ მუშაკთა საშუალო ხელფასმა გასულ ...წლის თვეში 483,6 ათასი რუბლი შეადგინა, რაც თითქმის ორჯერ ...აღემატება საარსებო მინიმუმს (264 134 რუბლი). სტატისტიკის ...სახელმწიფო კომიტეტის მონაცემებით, ყველაზე მაღალ ხელ-...ფასს იღებენ მაგადანის ოლქის მცხოვრებლები (მილიონ 236 ...ათასი რუბლი თვეში), ყველაზე დაბალს — დაღესტანში (168 ...ათასი რუბლი). რაც შეეხება ამ რეგიონებში საარსებო მინიმუმს, იგი, შესაბამისად, შეადგენს 570 და 216 ათას რუბლს. მოსკოვში კი საშუალო ხელფასისა და საარსებო მინიმუმის შესაბამისობა შემდეგია: 622 ათასი რუბლი 328 ათას რუბლთან.

### აფეთქა... საკუთარი კაბინეტი

რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის თანამშრომლებმა დაადგინეს, რომ გასული წლის 5 დეკემბერს სათათბიროს ყოფილი დეპუტატის ნიკოლოზ ლისენკოს კაბინეტში მომხდარი აფეთქება განახორციელა თავად პარლამენტარმა, თავის თანაშემწე მიხეილ როგოზინთან ერთად. ორივე „ტერორისტი" დაკავებულია. პარლამენტის მერვე სართულზე განლაგებულ რუსეთის ეროვნულ-რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელის, სათათბიროს დეპუტატის ნიკოლოზ ლისენკოს კაბინეტში აფეთქება ამ უკანასკნელისა და მისი თანაშემწის მიერ შენობის დატოვებიდან რამდენიმე წუთში მოხდა. ისინი, ბუნებრივია, არ დაზარალებულან.

თავად ლისენკო ტერაქტში თურქეთის სპეცსამსახურს ადანაშაულებდა, რადგან ცოტა ხნით ადრე იგი მოხსენებით გამოვიდა კავკასიის რეგიონში „ანკარის ექსპანსიის" პრალდებით.

### ექსპრეზიდენტს სტატუსი „სჭირდება"

ინტერფაქსის ცნობით. მოსკოვის წინასწარი დაკავების იზოლატორიდან რამდენიმე დღის წინ გათავისუფლებულ აზერბაიჯანის ექსპრეზიდენტს აიაზ მუტალიბოვს განზრახული აქვს ითხოვოს პოლიტიკური ემიგრანტის სტატუსი. მან ასეთი თხოვნით რუსეთის პრეზიდენტს ბორის ელცინს მიმართა. „ჩემ თავს უბრალო დევნილი რომ ვუწოდო, არ შემიძლია, არა მაქვს ამის მორალური უფლება, რადგან აზერბაიჯანის ლეგიტიმური პრეზიდენტი ვიყავი", — დასძინა ექსპრეზიდენტმა, თუმცა იქვე მიუთითა, რომ რუსეთში ჯერ არ მიუღიათ კანონი პოლიტიკური ემიგრაციის შესახებ.

## ეს ამერიკაა...

# დოულის მანევრები

ამერიკის სენატში რესპუბლიკელთა უმრავლესობის ლიდერმა რობერტ დოულმა დრამატული გადაწყვეტილება მიიღო — სენატორის თანამდებობიდან გადადგა. იგი ტოვებს პოსტს, რომელიც 27 წლის განმავლობაში ეკავა. რესპუბლიკელთა ლიდერმა გადაწყვიტა, რომ მთელი ძალები შეერთებული შტატების პრეზიდენტობისთვის ბრძოლას მოახმაროს.

„ამერიკის პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი განსაკუთრებული თვისება, რომელიც სხვა ქვეყნებისგან განგვასხვავებს, იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ პოლიტიკოსებზე იმის მიხედვით ვმსჯელობთ, თუ როგორც ტოვებენ ისინი თანამდებობას ან როგორ იბრძვიან ისინი მის მოსაპოვებლად", — განაცხადა 72 წლის სენატორმა, — „პოლიტიკოსის წმინდა ვალია არჩევით პოსტზე შრომისმოყვარეობა და პატიოსნება გამოამჟღავნოს, შემდეგ კი ღირსეულად დატოვოს იგი. ჩემთვის უკვე დადგა თანამდებობის დატოვების დრო. ამიერიდან მე პრეზიდენტობისთვის ვიბრძოლებ, არ შევეპუები არანაირ სირთულეებს, მათ შორის — კლინტონთან ბრძოლასაც. დარჩა ორი გზა — ერთს ოვალური კაბინეტისკენ მივყავარ, მეორეს — სახლისკენ".

მიმომხილველთა აზრით, დოულის ეს ნაბიჯი (სენატორობიდან გადადგომა( პრაგმატული მოსაზრებით არის ნაკარნახევი — მისი რეიტინგი თეთრი სახლის დღევანდელ განმკარგულებელთან შედარებით საგრძნობლად დაბალია. ამის მიზეზი, ზოგიერთის აზრით, ისაა, რომ დოულმა ვერ შეძლო კარგად აეხსნა რიგითი ამერიკელისთვის, რატომ იცხოვრებს მისი ოჯახი უკეთესად, თუ უპირატესობა რესპუბლიკელთა კანდიდატს მიენიჭება. სხვები კი მიიჩნევენ, რომ მთელი საიდუმლოება მანერებშია. მომხიბლავი კლინტონის ფონზე დოული უღიმღამოდ გამოიყურება — ტელეკამერების წინ იგი არც ისე კარგად ხმარობს ხელებს, არც ისე კარგად იღიმება...

დოულს, თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ, ბუნებრივია, წინასაარჩევნო აგიტაციისთვის მეტი დრო დარჩება. სავარაუდოა, რომ რიგით ადამიანებს მოეწონებათ მისი წინადადებაც — 15 პროცენტით შემცირდეს საშემოსავლო გადასახადი.

მეორე მხრივ, დოულის ნაბიჯი სენატში ულიდეროდ დარჩენილი რესპუბლიკელების გავლენის შესუსტებას გამოიწვევს, რაც კლინტონის გუნდის წისქვილზე ასხამს წყალს.

ასეა თუ ისე, დოული უკვე გაემგზავრა ილინოისის შტატში სამოგზაუროდ. თუმცა, სამომავლოდ, მას წინ კიდევ ერთი პრობლემა დახვდება — დოულს წინასაარჩევნო ყულაბაში მხოლოდ 250 ათასი დოლარი დარჩა, კლინტონს კი — 20 მილიონი დოლარი. ასეთი „გაკოტრება" მოვლენათა ბუნებრივი მსვლელობის შედეგია: კლინტონი თავისი პარტიის ერთადერთი კანდიდატია, დოულს კი დაძაბული პირველადი არჩევნების გავლა მოუწია, რათა თანაპარტიელი კონკურენტები დაეჯაბნა.

# ადმირალის თვითმკვლელობა



შეერთებული შტატების სამხედრო საზღვაო ძალების შტაბის მეთაურმა ჯერომი ბორდამ თავი მოიკლა. პისტოლეტიდან მკერდში მოხვედრილი ტყვიით მან საკუთარ თავს სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა და ნახევარი საათის შემდეგ ვაშინგტონის ჰოსპიტალში გარდაიცვალა. მის კაბინეტში ორი წერილი აღმოაჩინეს, რომელთა შინაარსსაც პოლიცია ჯერ არ ახმაურებს. თვითმკვლელობის მიზეზად მიიჩნევენ ჟურნალისტურ გამოძიებას, რომელიც ბურდას სამსახურეობრივ საქმიანობას შეეხებოდა. ადმირალის გარდაცვალების ფაქტის შეტყობის გამო, პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა შეწყვიტა თავისი გამოსვლა თეთრ სახლში და განაცხადა, რომ ეს უდიდესი დანაკლისია მთელი ქვეყნისთვის, შემდეგ კი წუთიერი დუმილით პატივი სცა განსვენებულს.

# სანქციები ჩინეთის წინააღმდეგ

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გადაწყვიტა, მკაცრი ეკონომიკური სანქციები შემოიღოს ჩინეთის წინააღმდეგ. ეს კი გამოიწვია ამ ქვეყნის მიერ აშშ-თან ინტელექტუალური საკუთრების დაცვის შესახებ დადებული ხელშეკრულების გამუდმებით დარღვევამ. ჩინეთი დიდი რაოდენობით კომპაქტ-დისკებს, კომპიუტერულ პროგრამებსა და ვიდეოაპარატურას აწარმოებს ულიცენზიოდ, რასაც შეერთებული შტატებისთვის ყოველწლიურად ორ მილიარდ დოლარზე მეტი ზარალი მოაქვს. გუშინ თეთრი სახლის ადმინისტრაციამ გამოაქვეყნა ჩინური წარმოების იმ საქონლის ნუსხა, რომელთა იმპორტზეც მაღალი გადასახადები დაწესდება.

# კლინტონს არ მოსწონს კანონპროექტი

როგორც შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენელი იტყობინება, პრეზიდენტი ბილ კლინტონი მზადაა ვეტო დაადოს სამხედრო დანახარჯთა კანონპროექტს. პრეზიდენტის აზრით, კანონპროექტი შეიცავს ბევრ მცდარ პუნქტს. მათგან ზოგიერთს სერიოზული ნეგატიური შედეგის გამოღებაც კი შეუძლია, კერძოდ — რაკეტსაწინააღმდეგო სისტემაზე ათობით მილიარდი დოლარის გახარჯვის შემდეგ, შესაძლოა, ეს სისტემა ეროვნული თავდაცვისთვის სრულიად ზედმეტი აღმოჩნდეს.

# «დღევანდელი პარლამენტი აღმასრულებელი ხელისუფლების ხელში ცოცხალი ინსტრუმენტია»

გვესაუბრება ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის თავმჯდომარე ბატონი **მიხეილ ნანეიშვილი.**



პირველი გვერდიდან

მიგაჩნიათ თუ არა, რომ საპრეზიდენტო მმართველობამ გაამართლა საქართველოში?

მე საპრეზიდენტო მმართველობას თავიდანვე ვუჭერდი მხარს. ცნობილია, რომ ხელისუფლების დაყოფის პრინციპი მხოლოდდამხოლოდ საპრეზიდენტო რესპუბლიკაშია სავსებით რეალიზებადი, რომელიც უზრუნველყოფს კიდეც ინდივიდის თავისუფლებას ხელისუფლებასთან მიმართებაში. თანაც აუცილებელია, საზოგადოებამ იცოდეს, რომ არსებობს გარკვეული პიროვნება, რომელიც პასუხისმგებელია ქვეყნის, ისტორიისა და კაცობრიობის წინაშე. ამ პოზიციიდან გამომდინარე საპრეზიდენტო ხელისუფლება ჩემთვის აბსოლუტურად მისაღებია და თუ ვინმე დაკისრებულ ვალდებულებას ცუდად ასრულებს, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ თვითონ იდეაა ცუდი.

ხოლო თუ ვიტყვით, რომ არ გვყავს ინდივიდი, რომელიც საპრეზიდენტო მმართველობას გაუძღვება, მაშინ საკითხავია, გვყავს კი ისეთი ინდივიდები, რომლებიც კოლექტიურ ხელისუფლებას შეადგენენ? არადა, თავიანთი უვარგისი ქმედებით ქვეყნისთვის ისინი უფრო საშიში იქნებიან, ვიდრე ამ შემთხვევაში, პრეზიდენტი, თუმცა იმას, რაც ჩვენში ხდება, დემოკრატიასთან არაფერი აქვს საერთო.

— კონკრეტულად რას გულისხმობთ?

პირველ ყოვლისა იმას, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება ძალიან თავისუფლად ერევა საკანონმდებლო ხელისუფლების საქმიანობაში. მიმაჩნია, რომ ეს პარლამენტი არის პრეზიდენტის კრეატურა. ცალკე კანონმდებლების მხრიდან იკვეთება კანონისადმი სრული უპატივცემულობა. თუ საჭიროა, ახსენდებათ და იყენებენ კიდეც კანონს, თუ არა და, მას სრულ იგნორირებას უკეთებენ. ასე იყო წარსულშიც, ამგვარივე „კრეატურის" წყალობით. მაგალითად, დსთ-ში საქართველოს გაწევრიანება კონსტიტუციის უხეში დარღვევით მოხდა. კანონში ხელისუფლების შესახებ წერია, რომ საქართველო ნეიტრალური სახელმწიფოა და არ შედის არცერთ სამხედრო-პოლიტიკურ გაერთიანებაში. მაშინ ჯერ ეს კანონი გააუქმებინათ და შემდეგ შეიყვანეს ეს უბედური საქართველო დსთ-ში. ვინაიდან, ხელისუფლების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანას პარლამენტარია ხმების ორი მესამედი სჭირდებოდა და ხმების ამ რაოდენობას ვერ დააგროვებდნენ, ამიტომაც, ჩამოიყვანეს დეპუტატები პრაღიდან თუ ნიუ-იორკიდან და ასე გაატარეს ეს კანონი. იგივე გრძელდება ახლაც. თვალნათლივ დავინახეთ, როგორ უხეშად დაირღვა კანონი ბიუჯეტის შესახებ, როცა გასული წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს ვისმენდით. რაც უნდათ, იმას აკეთებენ, პასუხისმგებლობა არავის ეკისრება იმაზე, თუ ვინ ან რატომ გაიღო ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯები.

**ასეთი მთავრობის ხელში საქართველოში საპარლამენტო მმართველობა იქნება თუ საპრეზიდენტო, მაინც ერთი და იგივე ანარქია და უკანონობა დაისადგურებს.**

— ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის რომელი მოდელი მიგაჩნიათ საქართველოსთვის ხელსაყრელად?

— კონსტიტუციის მიღებისას მე კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიმიღია. მიმაჩნდა, რომ უნდა მიღებულიყო ძირითადი კანონი და არა ახალი კონსტიტუცია. აქაც ერთგვარი ეშმაკობა ჩაიდინეს. მიიღეს კონსტიტუცია და ლიად დატოვეს ერთი ცარიელი ადგილი — ტერიტორიული მოწყობის საკითხი. ეს გაანგარიშებული იყო იმაზე, რომ შემდეგ ამ პუნქტზე, ასე ვთქვათ, კონცენტრირებულ ყურადღებას მიიტანდნენ და საკითხს თავიანთ სასარგებლოდ გადაწყვეტდნენ. მე იმთავითვე მკვეთრად ვაკრიტიკებდი ქვეყნის ფედერალური მოწყობის იდეას. ამასთან დაკავშირებით პასუხიც ვერავინ გამცა. მე, ასე ვთქვათ, მთავრობის „ჩემპიონ" იურისტებსაც შევთავაზე, ღია ეთერში დისკუსია გაგვემართა ამ საკითხზე, მაგრამ, რასაკვირველია, „გამოწვევა" არ იქნა მიღებული.

ფედერალური მოწყობა, ისევე როგორც ე.წ. რეგიონალიზმი, ქვეყნის გარკვეული რეგიონების პოლიტიზაციას გულისხმობს, რასაც ჩვენს სინამდვილეში მეტად არასასურველი შედეგები მოჰყვება უთუოდ. არ მესმის, რატომ უნდა მოაწყო ფედერაცია იქ, სადაც ამის საჭიროება არ არსებობს (თუკი ასეთ საჭიროებად რუსეთის ნებასურვილს არ მივიჩნევთ).

— რატომ გგონიათ, რომ ფედერალიზმი არაა ტერიტორიული მოწყობის საქართველოსთვის მისაღები მოდელი?

საქართველოში კუთხურობა ისედაც მძლავრადაა ფესვგადგმული, თუმცა, ეს, რა თქმა უნდა, სეპარატიზმი არაა, არამედ უფრო პარტიკულარიზმი, ფედერალიზმი კი, როგორც ვთქვი, ხელს შეუწყობს ქვეყნის რეგიონულ დონეზე პოლიტიზაციას, გაჩნდება ადგილობრივი ბიუროკრატიები, რომლებიც დროთა განმავლობაში ერთმანეთს კონკურენციას დაუწყებენ. წარმოიდგინეთ, პარლამენტში რომ დაიწყება იმის განსჯა, რომ გურიის მხარემ, დავუშვათ, ამდენი და ამდენი ჩაი აწარმოვა. ქართლი კი „გეგმას" ვერ ასრულებს და ამის გამო. ქართლმა რატომ უნდა იარსებოს გურიის კისერზე.

ზოგიერთი უმეცარს ამერიკა მოჰყავს მაგალითად, მაგრამ ავიწყდება, რომ ამერიკელი ერი, როგორც ასეთი, არ არსებობდა მაშინ, როცა ფედერაცია შეიქმნა. თავად ამერიკელები ამბობენ, ამერიკელი ერი რევოლუციამ შექმნაო, მაშინდელი ამერიკული პატრიოტიზმი შტატების (ძველი კოლონიების) პატრიოტიზმი იყო, ამიტომაც ფედერალიზაცია იყო ის მაქსიმუმი, რისი მიღწევაც შეიძლებოდა ასეთ პირობებში.

მიმაჩნია, რომ საქართველო უნდა ჩამოყალიბდეს უნიტარულ სახელმწიფოდ, ოღონდ ფართოდ განვითარებული ადგილობრივი თვითმმართველობით. სახელმწიფო მხოლოდ მინიმალურად უნდა ერეოდეს ადგილობრივ საზოგადოებრივ საქმეებში.

ფედერალიზმი თუ რეგიონალიზმი კახეთის, ქართლის და სხვა კუთხეების პოლიტიკურ ერთეულებად ჩამოყალიბებას გულისხმობს. მე კი ასეთი პოლიტიზაციის წინააღმდეგი ვარ.

**ქვეყნის ფედერალიზაცია შეცდომა კი არა, დანაშაული იქნება ერის წინაშე და მერე, არ ვიცოდიო, როგორც იციან ხოლმე, გვიანი იქნება.**

— თქვენი აზრით, როგორ შეიძლება მოგვარდეს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის პრობლემა?

რუსეთის დახმარებით, რასაკვირველია, ეს არ მოხერხდება. ეს მხოლოდ და მხოლოდ თავის მოტყუებაა და სხვა არაფერი. რუსეთს გარკვეული ინტერესები აქვს საქართველოში, რომელიც არაფრით არ შეესაბამება ჩვენს ინტერესებს. ზღაპარია, თითქოს რუსეთი დაინტერესებულია, გვერდით ჰყავდეს პოლიტიკურად ძლიერი და ტერიტორიულად ერთიანი საქართველო. რუსეთს სურს იყოლიოს ნაღმზე მჯდომი საქართველო, რათა თავისთვის სასურველ მომენტში ღილაკს თითი დააჭიროს და ქვეყნის ნებისმიერ რეგიონში, სადაც ენებება, დესტაბილიზაცია გამოიწვიოს.

**რუსეთის პოლიტიკურ ინტერესებშია, რომ საქართველო, რაც შეიძლება, სუსტი იყოს.**

პრობლემის მოსაგვარებლად ერთადერთ გამოსავალს ვხედავ იმაში, რომ რუსეთი უნდა გავიდეს აქედან და შემდეგ ძალისმიერი გზით დავიბრუნოთ ჩვენი მიწა-წყალი. ცოტა სისხლი, ალბათ, დაიღვრება, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ სხვა გამოსავალი არ ჩანს. თუ ასე არ მოხდება, მაშინ უარი უნდა ვთქვათ საკუთარ მიწა-წყალზე. ხმამაღლა უნდა გაცხადდეს, რომ არსებითად ეს არის ქართულ-რუსული და არა ქართულ-აფხაზური ან ქართულ-ოსური კონფლიქტი. ორივეგან რუსეთია ძირითადი ფაქტორი. როგორც ნამდვილი აგრესორი. რაც უნდა გვითხრან, საქართველო ფრიად საჭირო და სასურველია დასავლეთისთვის, ამიტომაც რუსეთი ადრე თუ გვიან უნდა წავიდეს აქედან და მისი ადგილი დასავლეთმა უნდა დაიკავოს.

— როგორია თქვენი პროგნოზი რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით? რა ძალები გაიმარჯვებენ და როგორი პოლიტიკა განხორციელდა საქართველოს მიმართ?

— ვინაიდან რუსეთის გარკვეული წრეები და უცხოეთიც დაინტერესებულია საპრეზიდენტო არჩევნებში ელცინის გამარჯვებით, მათი დახმარების წყალობით, ვფიქრობ, ახლანდელი პრეზიდენტი მომავალშიც პრეზიდენტის როლში მოგვევლინება.

ისე, სიმართლე რომ გითხრათ, არც კომუნისტების გამარჯვებაშია რაიმე გულგასახეთქი. კომუნისტების ლიდერი მმართველობაში რომ მოვიდეს, ეს ერთგვარი გამომაფხიზლებელი „სილაც" კი იქნება დასავლეთისთვის. დასავლეთის მისტიკური იმედი, რომ რუსეთში არსებობენ რაღაც დემოკრატიული ძალები, მთლიანად ჩაფლავდებოდა, რის შემდეგაც იგი იძულებული შეიქნებოდა რუსეთის მიმართ უფრო რეალისტურად, ე.ი. მკაცრად ემოქმედა. ამ მხრივ, კომუნისტების გამარჯვება, დიდი ანგარიშით, შეიძლება, უკეთესიც ყოფილიყო. ხოლო მოსაზრება, თითქოს კომუნისტები კერძო საკუთრებას გააუქმებენ, არასწორია. მოხდება კერძო კაპიტალისა და სახელმწიფო ხელისუფლების შერწყმა ისე, როგორც ეს ნაცისტურ გერმანიაში განხორციელდა. ნაცისტური გერმანია სოციალისტური ქვეყანა იყო და ემყარებოდა მსხვილ კაპიტალს. თუ იქ ნაციონალ-სოციალიზმზე ლაპარაკობდნენ, რუსეთში უხმო ნაციონალ-კომუნიზმზე იქნება საუბარი, ესაა და ეს. დასავლეთისთვის ასეთი „სიურპრიზი", რა თქმა უნდა, ფრიად საგანგაშო შეიქმნებოდა. მე კი უნდა გამოვტყდე, განგაშის მომხრე ვარ.

— მიგაჩნიათ თუ არა, რომ საქართველოში ირღვევა ადამიანის უფლებები?

— ადამიანის უფლებები რომ ირღვევა და ჩვენში კანონს პატივს არ სცემენ, ეს საყოველთაოდაა ცნობილი, რაც არაერთგზის აღმინიშნავს. კიდეც რომ გითხრათ, ამ საკითხს სპეციალურად ვადევნებ თვალყურს-მეთქი, მართალი არ ვიქნები. უბრალოდ ვიცი, რომ ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები მრავლადაა, სამართალდამცავ ორგანოთა მხრიდან ხშირად დანაშაულებრივ თვითნებობას აქვს ადგილი.

— რა დამცავი მექანიზმი უნდა შემუშავდეს იმისთვის, რომ კანონმა იკანონოს?

გამოსავალი ერთია — მაკონტროლებელმა ორგანოებმა: პარლამენტმა, პროკურატურამ, სასამართლომ, მუდმივი ზედამხედველობა უნდა გაუწიონ იმ უწყებებს, რომელნიც ხშირად არა კანონის შემსრულებლის, არამედ, დამრღვევის როლში გვევლინებიან. ამასთანავე, თავისუფალ პრესას უნდა მიეცეს იმის საშუალება, რომ გაახმაუროს და საჯაროდ განიხილოს კანონის დარღვევის ფაქტები. უნდა არსებობდეს არასახელმწიფო დამოუკიდებელი ორგანიზაციები, რომლებიც ადამიანის უფლებებს დაიცავენ და თვალყურს მიადევნებენ ამ პროცესებს. სწორედ თავისუფალმა პრესამ და საზოგადოებრივ ძალებს დიდი როლი ეკისრებათ ხოლმე ასეთ პირობებში.

— შეძლებს კი საზოგადოებრივი ძალა, რომ დღევანდელ ეტაპზე კანონის შესრულებაზე მაკონტროლებლის მისია იტვირთოს?

— საზოგადოებრივი ძალა, ჯერჯერობით, ჩამკვდარია. საზოგადოება ღრმა აპათიაში იმყოფება. ახლანდელი ხელისუფლებისთვის ყველაზე მძიმე განაჩენი, მე თუ მკითხავთ, სწორედ ესაა. ოღონდ ვინმემ ცოტა მოიპაროს და სული მოითქვას და, ვის სცალია ადამიანის უფლებებისთვის საბრძოლველად. მაგრამ ასე ხომ არ შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს.

— როგორ გესახებათ უკიდურესად მძიმე სოციალური პრობლემების მოგვარება?

— მოსახლეობის სოციალურ გასაჭირზე, რასაკვირველია, უდიდესი პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრება. გარდა იმისა, რომ ხალხი გულგატეხილია, საზოგადოებაში დაბალია თავისუფლების კულტურაც, ხოლო ისიც უნდა ითქვას, რომ მოსახლეობამ, დიდი სულგრძელობა გამოიჩინა, ხალხი იტანს ათასგვარ უბედურებას, ოღონდაც რაიმე საიმედო გამოჩნდეს ჰორიზონტზე. მაგრამ ის ღრმა აპათია, რომელშიც დღეს საზოგადოება იმყოფება, ფეთქებადია. ამიტომ, ხელისუფლება ნუ შეიქმნის ილუზიას, თითქოს ხალხს ბატკანივით ბაწარს მოაბამს და საითაც მოეპრიანება, იქით წაიყვანს. ხალხის დუმილი გაფრთხილებაა ხოლმე ხელისუფალთათვის, და ვაი მას, ვინც ამ გაფრთხილებას უგულებელყოფს.

— ამ შემთხვევაში, კონკრეტულად რაში ხედავთ ხელისუფლების უარყოფით როლს?

— დააკვირდით, მთავრობაში რა ელემენტები მოყავთ. მე, რასაკვირველია, ცალკეულ პიროვნებებს არ დავასახელებ, მაგრამ ხშირად გვსმენია, რომ მავანი ქურდია, მავანი — ბანდიტი...

**მთავრობაში წინასწარ**

ცნობილ [illegible] დებს ნიშნავენ, მერე ხსნ[illegible] მათ და სხვები მოჰყავთ[illegible]

— „ახალი ტალ[illegible] ტები და ქურდები.

ეს ყველაფერი ერის [illegible] გადადის. ისინი ბიუჯეტის [illegible] ლი „მეწილეები" არიან, [illegible] მძიმედ ურტყამს მოსახლეობის სოციალურ ყოფას. ბიუჯეტი [illegible] დავაბალანსეთ, ან [illegible] დავაბალანსებთ, როცა „[illegible]" „ცხვარი" ჩავაბარეთ.

შექმნილი მძიმე სოციალური ყოფიდან გამომდინარე, სიტუაციის გასაუმჯობესებლად პრეზიდენტმა უნდა შეცვალოს საკადრო პოლიტიკა და ხელისუფლება ნორმალური ადამიანებით დააკომპლექტოს, თორემ ასეთი მთავრობის შემყურე საქართველოში არც საბაზრო ეკონომიკა შეიქმნება და არც სოციალური პრობლემები მოგვარდება.

— სადღეისოდ განაგრძობს თუ არა ლიბერალური [illegible] პოლიტიკურ მოღვაწეობას [illegible] თუ აპირებს ხელისუფლებასთან თანამშრომლობას?

— ხელისუფლებასთან თანამშრომლობას საკუთარი პრინციპების ხარჯზე არ ვაპირებთ. ამჟამად ხელისუფლებასთან არანაირი ურთიერთობა არ გვაქვს.

ხოლო პარტია, რა თქმა უნდა, განაგრძობს მუშაობას მისი შესაძლებლობის ფარგლებში. ჩვენ თვალყურს ვადევნებთ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. ვაკეთებთ პროგნოზს იმაზე, რა შეიძლება მოხდეს. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ, რათა შემდგომში არ ჩამოვრჩეთ მოვლენების განვითარებას.

— არჩევნებში დამარცხების [illegible] იღბალს აბრალებთ თუ ობიექტურ მიზეზებს?

— ჩვენ მშვენივრად ვიცოდით, რომ არჩევნებში გამარჯვების არანაირი შანსი არ გვქონდა. მაშ [illegible] მონაწილეობა მხოლოდ იმიტომ მივიღეთ, რომ საკუთარი თავი დაგვეფიქსირებინა. პარტიამ საარჩევნო კამპანიისას სულ რაღაც ას (100) დოლარი დახარჯა. ასე რომ, დამარცხებაში ვერანაირ ტრაგიზმს ვერ ვხედავ. ახლა მთავარია, სიძნელეებს გავუძლოთ და აქტიურად ვადევნოთ თვალყური მიმდინარე პროცესებს.

— მიგაჩნიათ თუ არა, რომ საქართველოში არსებობს თავისუფალი პრესა, რადიო, ტელევიზია?

ტელევიზიის მიმართ ისეთი კომიკური დამოკიდებულება, როგორიც მე მაქვს, ვფიქრობ, არც ერთი სხვა პარტიის ლიდერს არ ჰქონდა. როგორც კი დსთ-ს საკითხთან დაკავშირებით ხელისუფლებას დავუპირისპირდი, მას შემდეგ ტელევიზიიდან ფეხი ამომიკვეთეს. მათი სითავხედე იქამდეც კი მივიდა (ძალიან გთხოვთ, ეს სიტყვა უცვლელად დაბეჭდოთ), რომ 29 აგვისტოს ტერაქტის შეფასებისას ჩემი გამოსვლის მთავარი ნაწილი ამოჭრეს და რაღაც უმნიშვნელო გაუშვეს. შემდეგ გაცილებით უფრო „შთამბეჭდავი" ფაქტების გახსენებაც, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანდა.

მიუხედავად იმისა, რომ ტელევიზიასთან შედარებით პრესა გაცილებით თავისუფალია, იგი მაინც ანგაჟირებულია, რაც ხშირად ზოგიერთ პარტიასთან ზედმეტად მეგობრულ ურთიერთობებში გამოიხატება. საერთოდ, ქართული პრესა მეცოდება იმიტომ, რომ, ალბათ, იგი, მაინც მორალურ და მატერიალურ ფაქტორთა სწორედ ქვეშ იმყოფება. ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი შთაბეჭდილება მრჩება. აქვე არ შემიძლია არ აღვნიშნო ჩვენი ჟურნალისტიკის ნუ მიწყენთ და, კატასტროფულად დაბალი დონე, რითაც განსაკუთრებით გამოირჩევიან ჩვენი ტელეჟურნალისტები, თუმცა არც სხვებს უქნია ღმერთს, მაგრამ ეს დიდი თემაა და მასზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

ესაუბრა

**დიანა გაბროშვილი**

«კავკასიონის» ლიტერატურული გაზეთი

# არილი

18 მაისი, 1996 წ.

## ახალი თარგმანები



## უილიამ ფოლკნერი
1897–1962

## კარკასონი

VI

## ნინო დარბაისელი

ლექსი





### შუაღამის სიზმარი

ზამთარია, ჩაბნელებულ ფანჯრებს ქარი აწყდება,
ახლა მართლა სიგიჟეა სიყვარულის დაწყება.
მაინც რაღაც მემართება, რაღაც კარგი ახლოა.
ნასახლარი ჩემი გული შენი სამოსახლოა?
რატომ ადრე ვერ გამჩნევდი, თუმცა ხშირად გხედავდი?
დავგვიანდი საუკუნის თითქმის მეოთხედამდი.
ნუთუ მართლა ასეთი ხარ, ნუთუ მართლა შენა ხარ,
როგორ შესძელ ამ სინაზის დღემდე ჩემთვის შენახვა?
ამ ზამთრით და ამ სიკვდილით ნუთუ მართლა იწყება
თაფლის გობი ნაღვლის წვეთით — მწარე თავდავიწყება.
ხომ არ ხდება არაფერი ქვეყნად უფლის უნებოდ,
მოდი, იქნებ გონს მოვეგოთ და გადავიგუნებოთ!
რა მლაშეა ზღვის წყალივით ეგ თვალები, სველები!
და ღივდება ზამთრის ხნულში თესლი დანასვენები.
ქარი ღმუის, ჩაბნელებულ ფანჯრებს ფრთებით აწყდება
ო, რა ბრძნული სიგიჟეა სიყვარულის დაწყება!

III

## მაესტრო



## ზვიად რატიანი

## კოტე ჯანდიერის მოთხრობების გამო

VII






პროზა

IV V

## ალბერ კამიუ 1913–1960

# ნობელის პრემიის მიღებისას წარმოთქმული სიტყვა

### ეს სიტყვა ტრადიციისამებრ წარმოთქმულ იქნა სტოკჰოლმის ქალაქის რატუშაში ბანკეტის ბოლოს, ნობელის პრემიის გადაცემის ცერემონიალზე.

ამ ჯილდოს მიღებისას, რომელიც თქვენმა თავისუფალმა აკადემიამ თავისი სულგრძელობით მომანიჭა, უსაზღვრო მადლიერების გრძნობა დამეუფლა; მით უფრო დიდი იყო ჩემი მადლიერება, რომ შესანიშნავად ვგრძნობ, რამდენად აღემატება ეს წარჩინება ჩემს პირად, მოკრძალებულ დამსახურებას. ყოველი კაცი, მეტადრე ხელოვანი, სახელის მოხვეჭას ლამობს. არც მე ვარ გამონაკლისი. მაგრამ თქვენი გადაწყვეტილება რომ შევიტყვე, ჩემდაუნებურად მისი მნიშვნელობა იმას შევუდარე, რასაც სინამდვილეში წარმოვადგენ. აბა, შრომით განმარტოებასა და ახლო მეგობართა წრეში ტრიალს მიჩვეულ რომელ ახალგაზრდა შემოქმედს, ვის ავლადიდებასაც მარტო გულს დაჩნეული ეჭვები შეადგენს და შემწერლით ოსტატობითაც დიდად ვერ დაიკვეხნის, არ შეაკრთობდა ცნობა ამ არჩევანის შესახებ — მარტოსული, თავის ნაჭუჭში ჩაკეტილი კაცი თვალის დახამხამებაში დიდების სხივებით რომ შემოსა და ყველას დასანახად აღაზევა. განა შეეძლო არხეინად შეეფერებინა ეს დიდებული პატივი, მაშინ, როცა ევროპაში ამდენი სხვა, ჭეშმარიტად დიდი მწერლების სახელებსაც კი არავინ იცნობს? თანაც ახლა, როცა მისი სამშობლოს თავს დამტყდარ უბედურებას ბოლო არ უჩანს...

დიახ, პანიკურმა შიშმა დამრია ხელი, შინაგანმა ძრწოლამ შემიპყრო; და ხელახლა რომ მეპოვა სულიერი სიმშვიდე, დამჭირდა ერთმანეთისთვის შემეწონასწორებინა ჩემი მოკრძალებული პიროვნება და ეს დაუმსახურებლად უხვი საბოძვარი. ამ ჯილდოს ჩემად მიჩნევა გამიჭირდებოდა, თუ მხოლოდ საკუთარ დამსახურებათათვის ნაწყალობევად ჩავთვლიდი; სხვა ვერაფერი მოვახერხე და საშველად ვუხმე იმას, რაც მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე ძალას მმატებდა: საკუთარ შეხედულებას ჩემს ლიტერატურულ შემოქმედებაზე და საერთოდ მწერლის როლზე საზოგადოებაში. მაშ, ნება მიბოძეთ, მადლიერებით და მეგობრული გრძნობით აღვსილმა, აგიხსნათ რაც შეიძლება მარტივად, როგორ წარმომიდგენია ეს საფიქრალი.

მე ჩემი შემოქმედების გარეშე სიცოცხლე არ შემიძლია. მაგრამ ჩემს დღეში არ დამიყენებია შემოქმედება ყველაფერზე მაღლა. პირიქით, იგი სწორედ იმისთვის მჭირდება, რომ არ დავშორდე ადამიანებს და, საკუთარი სახის დაუკარგავად, ზუსტად ისე ვიცხოვრო, როგორც ხალხი ცხოვრობს ჩემს გარშემო. — მე თუ მკითხავთ, შემოქმედება განმარტოებული ხელოვანის თავის შექცევა როდია. იგი ხერხია ყოველდღიური ტანჯვისა და სიხარულის „რჩეული“, ამაღლებული ხატის წარმოჩენით რაც შეიძლება მეტი ადამიანის გრძნობა რომ გაალღვივო. აი, რატომ აწევს ვალად მხატვარს, არ განმარტოვდეს, აი, რატომ უწყობს გამოცდას ხელოვნება სრულიად ბანალურ და საყოველთაო ჭეშმარიტებებს. ხდება ისე, რომ ადამიანი მხატვრის ხვედრს ირჩევს იმის გამო, რომ თავს „რჩეულად“ გრძნობს, მაგრამ ძალიან მალე რწმუნდება, რომ მის ხელოვნებას, მის რჩეულობას მხოლოდ ერთი წყარო ასაზრდოებს: აღიარება იმისა,



# ნობელის პრემიის მიღებისას წარმოთქმული სიტყვა

პირველი გვერდიდან

რომ მწერალიც გარშემომყოფთა მსგავსია, მხატვრის სული სწორედ საკუთარ თავსა დ სხვებს შორის ამ გამუდმებულ მოგზაურობაში იჭედება, სილამაზიდან შუა გზაზე, ურომლისოდაც ყოფნა არ ძალუძს, ადამიანთა თანამეგობრობისაკენ, რომლისგანაც თავის დაღწევის ძალა არ შესწევს. აი, რატომაა, რომ ჭეშმარიტი ხელოვანისთვის უცხოა ქედმაღლური ამპარტავნება: მას თავის მოვალეობად მიაჩნია გაუგოს ადამიანებს, არ გაკიცხოს ისინი და თუკი უხდება ამქვეყნად ვისიმე მხარის დაჭერა, ის მოვალეა, მხოლოდ იმ საზოგადოების მხარე დაიჭიროს, სადაც ნიცშეს დიადი გამონათქვამისა არ იყოს, მეუფება ექნება არა ბედს, არამედ შემოქმედს, მუშა იქნება ის თუ ინტელექტუალი.

იმავე მიზეზის გამო მწერლის როლი განუყოფელია უმძიმეს ადამიანურ მოვალეობათაგან. დღეს მას არ ძალუძს იმათ მსახურებდეს, ვინც ქმნის ისტორიას, — პირიქით, იგი სამსახურში მათ უდგას, ვის თავზედაც ტრიალებს ისტორიის ბორბალი. წინააღმდეგ შემთხვევაში მარტოობა და ხელოვნებიდან მოკვეთა ელის; და ტირანიის ურიცხვი, მილიონიანი არმიები ვერ გამოიხსნიან მას მარტოობის ჯოჯოხეთიდან, მაშინაც კი — მეტადრე მაშინ — თუ ხელოვანი დათანხმდება ამ არმიებს აუწყოს ფეხი. მაგრამ ერთი ყველასთვის უცნობი, საწამებლად და სასიკვდილოდ განწირული ტუსაღის დუმილიც კი, სადღაც, ქვეყნიერების დასალიერს, კმარა საიმისოდ, რომ მხატვარი გათავისუფლდეს გაკიდეგანების სატანჯველისაგან, — ყოველ შემთხვევაში, მუდამჟამს, როცა კი შეძლებს თავისუფლებისაგან ბოძებული პრივილეგიებით ალჭურვილმა გაიხსენოს ეს დუმილი და თავისი ხელოვნების ძალით იგი ყველას გააგონოს.

არავინაა ამ მოწოდებაზე აღმატებული. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, დროებით სახელ-დიდებით მოსილი იქნება თუ სრულიად მარტო, უჩინარი, ტირანიის ხუნდებდადებული თუ გარკვეულ დრომდე სიტყვის თავისუფლებით განებივრებული, მწერალმა შეიძლება სრულ თანხმიერებას მიაღწიოს ადამიანებთან — რაც მის არსებობას განსაზღვრავს — იმ ერთადერთი და აუცილებელი პირობით, რომ რამდენადაც კი ძალა შესწევს, ორი ტვირთი იტვირთოს, ამ უძნელესი ხელობის მთელ დიდებას რომ შეადგენენ: სიმართლის შემწეობა და თავისუფლების სამსახური. რადგანაც მწერლის მოწოდებაა, რაც შეიძლება მეტი ადამიანი გააერთიანოს, არ დაეფუძნოს სიცრუესა და მონობას, რომლებიც ყველგან, სადაც კი ფეხს იკიდებენ, მარტოობის მეტს არაფერს ამრავლებენ. ჩვენი ხელობის კეთილშობილება სამარადჟამოდ ორ ძნელად აღსასრულებელ მოვალეობას ემყარება: არასდიდებით არ იცრუო, არ გადაასხვაფერო ის, რაც ზუსტად იცი და მუდამ წინ აღუდგე ძლიერისაგან სუსტის დაჩაგვრას.

ოცი თუ მეტი წლის უგონო ისტორიის მანძილზე მე, ჩემი თანატოლებისა არ იყოს, უმწეოდ ვიყავი გადატყორცნილი დროის ცოფიან ღვართქაფში. მამხნევებდა მხოლოდ ბუნდოვანი გრძნობა, რომ მწერლის პროფესია დღესდღეობითაც დიდი პატივია, ღირსებაა, რადგან ეს ხელობა მარტო წერას როდი გვავალებს.

პირადად მე ის მახსენდება, რომ სხვებთან ერთად, ვინც იმავე ისტორიის მარწუხებში იყო მოქცეული, ვცდილობდი, რაც ძალა და ნიჭი შემწევდა, ღირსეულად მეტარებინა უბედურების ჯვარი და იმედის ჩირაღდანი, ყოველივე იმის სიმბოლო, რასაც ჩვენ ერთმანეთს ვუწილადებდით. ყმაწვილებს, ვინც პირველი მსოფლიო ომის ბოლოს გავჩნდით ამქვეყნად და ოცი წელი სწორედ მაშინ შეგვისრულდა, როცა ჰიტლერელებმა იგდეს ხელთ ძალაუფლება; ვისაც პირველმა რევოლუციურმა ბრძოლებმა შეგვახო ფრთები და მერე ესპანეთის ამბებმაც ჩაგვითრია, ბოლოს მეორე მსოფლიო ომის კოშმარმა დაგვიტანა, საკონცენტრაციო ბანაკების ჯოჯოხეთში გვიკრა თავი, დღესაც საპყრობილეებისა და ციხეების ევროპაში გვიხდება ჩვენი შვილების აღზრდა. მათ უნდა შევუქმნათ საკაცობრიო ფასეულობანი, როცა კაცობრიობას ბირთვული კატასტროფა ემუქრება. ამიტომ, ჩემი აზრით, არავისა აქვს უფლება ჩვენგან ოპტიმიზმს მოითხოვდეს. მე თუ მკითხავთ, ჩვენ მოვალენი ვართ გავიგოთ — თანაც ამ უბედურებასთან ბრძოლის შეუწყვეტლად — იმათი შეცდომა, ვინც ვერ გაუძლო სასოწარკვეთილების ძალთა შემოტევას, თავის პატიოსან სახელს ჩირქი მოცხო და თანამედროვე ნიჰილიზმის უფსკრულში გადაიჩეხა. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ჩვენმა უმრავლესობამ — როგორც ჩემს სამშობლოში, ასევე ევროპაშიც — დაგმო ეს ნიჰილიზმი და ცხოვრების ახალი მიზნის ძიებას შეუდგა. ასე მოუხდათ შეეთვისებინათ ამ ეპოქაში ცხოვრების ხელოვნება, რომელსაც მსოფლიო კატასტროფა წალეკვით ემუქრება, რათა აღორძინდნენ და შეუპოვარი ბრძოლა გაუმართონ სიკვდილის ინსტინქტს, (ასე აღნიშნავდა ზ.ფროიდი დესტრუქციულობისაკენ ლტოლვას) ჩვენს ისტორიაში ბატონკაცურად რომ მოკალათებულა.



ყოველი თაობა დარწმუნებულია, რომ სწორედ იგია მოწოდებული სამყაროს გარდასაქმნელად. ჩემმა თაობამ უკვე იცის, რომ სამყაროს ვერ გარდაქმნი. მაგრამ მისი ვალი იქნებ უფრო დიდებულიცაა. ჩვენი მიზანი უბრალოა — როგორმე დაღუპვის კარამდე არ მივიდეს სამყარო. ამ თაობას, რომელმაც მემკვიდრეობად მიიღო დასახიჩრებული ისტორია — ჩახშობილ რევოლუციათა მომსწრეს და მონაწილეს, თავაწყვეტილი ტექნიკის, მკვდარი ღმერთების, სულთმობრძავი იდეოლოგიების თვითმხილველს, მაცქერალს ისტორიისა, სადაც დღევანდელ უნიათო მმართველებს, რაკილა მასის დარწმუნება აღარ ძალუძთ, შეუძლიათ ყველაფერი დაანგრიონ, სადაც გონება ისე დამდაბლებულა, რომ ზიზღისა და ჩაგვრის სამსახურში ჩამდგარა — თავის თავში და თავის გარშემო უნდა აეღორძინებინა თუნდაც უმცირესი ნაწილი იმისა, რაც სიკვდილ-სიცოცხლის ღირსებას შეადგენს. სამყაროში, რომელსაც სიკვდილი დამუქრებია, სამყაროში, რომელიც ჩვენს დიდ ინკვიზიტორებს შეუძლიათ სამუდამოდ სიკვდილის სამეფოდ აქციონ, ეს თაობა ვალდებულებას იღებს საათის ისრის საწინააღმდეგო შლეგურ სრბოლაში მკვდრეთით აღადგინოს მშვიდობა ერთა შორის, რომელიც მონურ მორჩილებაზე აღარ იქნება დაფუძნებული, ეცდება კვლავ შეარიგოს შრომა და კულტურა და ყველა ხალხთან ერთობით ააგოს თანხმობის კიდობანი. ეჭვი მეპარება, რომ იგი ბოლომდე შეძლებს ამ გიგანტური ამოცანის გადაჭრას. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მთელ დედამიწაზე მან უკვე ყველგან აირჩია ორი რამ — სიმართლე და თავისუფლება — და თუ დასჭირდა, მოახერხებს სულს ჩათხეული ზიზღის გარეშე სიცოცხლეც გაწიროს მათთვის. ეს თაობა იმსახურებს იმას, რომ ყველგან აქებ-ადიდებდნენ და აქეზებდნენ, მეტადრე იქ, სადაც ის მსხვერპლად ეწირება და მეც მინდა სწორედ მას გადავულოცო თქვენი გულწრფელი აღტაცება. იმედი მაქვს ამგვარად მივაგო მას პატივი, რომელიც ჩემთვის გიბოძებიათ.

და ახლა, როცა საკადრისს მივუზღავთ მწერლის ხელობას, მე იმასაც ვისურვებდი, განმესაზღვრა მისი ჭეშმარიტი ადგილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რადგანაც ლიტერატურას სხვა ტიტულები ან ღირებულებანი არ გააჩნია, გარდა იმისა, რასაც თანამებრძოლებთან ერთად გაიზიარებდა — დაუცველ, მაგრამ მედგარ ხელოვან ადამიანებთან, თავიანთი ნაშობი ნაწარმოებების გამო, რომ არ რცხვენიათ, მაგრამ მზვაობრობაც არ მოხდევთ რჯულად, ყველას თვალწინ რომ ეხლებიან ტანჯვისა და სილამაზის კედლებს, მოწოდებულნი რომ არიან მხატვრის გაორებული სულიდან გამოხმონ სახეები, რომელთა გაცამტვერებასაც ჯიუტად და ამაოდ ცდილობს ისტორიის დამანგრეველი ქარიშხალი. ამის შემდეგ ვინ გაბედავს მოითხოვოს მათგან მზამზარეული გადაწყვეტილებანი და მორალი? ჭეშმარიტება იდუმალებითაა მოსილი, იგი მარადჟამს უსხლტება გონებას, მას კვლავ და კვლავ მონადირება სჭირდება. თავისუფლება სახიფათოა, მისი პყრობა ძნელიცაა და დამათრობელიც. ჩვენ ამ ორი მიზნისაკენ უნდა ვისწრაფოდეთ, დაე, გაჭირვებით, მაგრამ მედგრად გავწიოთ წინ. ამთავითვე ვიცოდეთ, მარცხი და დაცემა გველის ამ ეკლიან გზაზე. აბა, რომელი მწერალი გაბედავს, ცხადლივ თუ ესმის ეს ყოველივე, სიქველის მქადაგებლად გამოვიდეს საზოგადოების წინაშე? მე კიდევ უნდა გაგიმეოროთ, რომ სულაც არა ვარ მქადაგებელი. ვერასდროს შევძელი უარი მეთქვა სინათლეზე, ყოფიერების სიხარულზე, თავისუფალ ცხოვრებაზე, დაბადებიდან რომ მარგუნა ბედმა (და ვერ განვეშორები). და თუმცა მათკენ ლტოლვას ვაბრალებ ბევრ ჩემს შეცდომასა და გზააბნეულობას, ცხადია, რომ სწორედ ის მომეხმარა უკეთ გავრკვეულიყავი ჩემს ხელობაში, ის მეხმარება დღესაც, ინსტინქტურად მაქეზებს, არ გავემიჯნო ყველა იმ მდუმარებამისჯილ ადამიანს, მათთვის განწესებულ სიცოცხლეს მხოლოდ მოგონებებით ანდა ბედნიერების ხანმოკლე, მოულოდნელი დაბრუნებებით რომ ისაძლისებენ.

მოკლედ, ჩემს ჭეშმარიტ არსს რომ ვსაზღვრავ, ჩემს შესაძლებლობებს, ვგრძნობ, რამდენად მიადვილდება ახლა, ნათლად გიჩვენოთ, რა უსაზღვრო გულუხვობაა თქვენგან ამ ჯილდოს მონიჭება, რამდენად მიადვილდება გითხრათ ახლა ისიც, რომ გულით ვისურვებდი, ეს ჯილდო მათდამი მიგებულ პატივად, ჩამეთვალა, ვინც ჩემთან ერთად იზიარებს საერთო ბრძოლის სიმძიმეს, და ვისაც არასდროს არავითარი პრივილეგია არ მიუღია, პირიქით, უბედურება დაატეხეს თავს და დევნის მსხვერპლად აქციეს. მე ისღა დამრჩენია გულწრფელი მადლობა გადაგიხადოთ და საჯაროდ, ნიშნად დიდი მადლიერებისა, ერთგულების ფიცი დაგიდოთ, რომელსაც, ყოველი ჭეშმარიტი ხელოვანი ყოველ ცისმარე დღეს მდუმარედ, გულის სიღრმეში აძლევს საკუთარ თავს.

10 დეკემბერი, 1957 წელი

ფრანგულიდან თარგმნა
ნესტან იორდანიშვილმა

# პოეზია

## ...ნო დარბაისელი



### ...თხილამურები

...ქალაქი დაქუფრულია,
...ნდება და გულს დაუვლის
...ლე ხელზე დამდნარი თოვლის,
...ქროლვის და გუდაურის.

„...არ იქნებაო ჯერ მთაზე თოვლი"
— ეს ხალხი მართლა რას არ მოჰორავს.
მე მყარად ვდგავარ, ვით დედა-ძროხა,
შენ მუხლი გითრთის, როგორც ბოჩოლას.

... დამტვრეული თხილამურები
...ეროლან. როგორც ეშვები.
...კთამაშებ, შვილო, სიკვდილთან,
...რ დაგტოვებ, ვერ დავეშვები.

როგორ გარიდო ეს ქროლვის ჟინი,
ეს თავგანწირვა და აღტაცება,
და ვიდრე ასე, გვერდით გიდგავარ,
მინდა გასწავლო,
უნდა გასწავლო,
როგორ გასწავლო სწორად დაცემა.



### ...კერავები

(...არელი მარინე კეკელიძეს)

...ძაფი, ნაჭერი,
...ელო, გაჭერი!

...რა-რა. ტარა-რა-რა — იღუღუნე ვერიტაზო!
...ად კერავს დედა, კერვა
...ბას ვერ იტანსო.

...ყვება თავისი გოგოობის ამბავს,
...სვენებ-სვენებით, თან სახელოს ლამბავს.

...ფონედ აუდე! — თადარიგობს ბებო.
... დაუვიწროვდება, მერე ინანებო.

... სჯობია, დავუკეროთ ღილი,
...ში არ მოსდის ყელი გაღეღილი).

... დავუფაროთ, დამიჯერეთ, სჯობსო,
... ბევრი ავი თვალი სდარაჯობსო.

... ხომ არ არის, თქვენს თავს რატომ მალრით?
... დამიფარეთ და მატარეთ ჩადრით!

... თავს ულიმის გოგო ირმის კანჭება,
... მოიხდინა, ო, როგორ იპრანჭება!

...ჯრიდან თვალს მოავლებს ბიჭებს.
...ოთი ბიჭი ლაღად მოაბიჯებს.

... საიდუმლო როგორ გათქვეს ჩიტებმა!
... შენი ნატვრის ფერად მოიჩითება.

... და ჟრუანტელს რა სჯობია, აბა!
...
...ეთ,
... აბა!

### ...მრადი ბუშტის სიმღერა

...კარგი ვარ!
...მეებუქი!
... რაფერი, ქარს ისე მივყვები.

სავსე ვარ სურვილით,
ჩუმად რომ ჩამითქვი
და მერე გულდაგულ პირი მომიკარი.

აბა, კოჭისძაფი
როგორ გამიძლებდა?!
გაწყდა და წავედი.

ღირს ქვეყნად გაჩენა,
რომ ერთხელ გაფრინდე,
ისე, არსაითკენ.

. . .



მგონი ქარი ჩადგა,
თუ მხარი მეცვალა
ძირს რატომ ვეშვები?

თვალი შემასწარი!
ვიდრე ნაძვისწვერი
ლახვარს შემაგებებს.

— „ბუხ!" — გავთქვამ ყველაფერს
და ხეზე დაკიდულ
ნაფლეთად ვიქცევი.

### ეს გაზაფხული

ეზოს ქათმები,
ბრაზიანი ბებოჩემი
მალ-მალე რომ ფრთებს უმოკლებდა.

ეზოს ქათმები,
მათი კაკანი დილის ძილში ტკბილად ჩაფუთნულს
შიგ ყურში რომ მინისკარტებდა.

ეზოს ქათმები,
დიასახლისის დი-ი-დი იმედი,
სწორედ ახლა გამახსენდნენ,
ამ გაზაფხულზე,
ამ მშვიდ საღამოს,
როცა ყველა სასეირნოდ გამოეფინა,
მე კი
შინისკენ თავდახრილი მივექანები.

### მტვერი

საუკუნეა, აქ არ ვყოფილვარ!
ისეთი მტვერი ადევს როიალს,
ხელი გამირბის,
რომ დაწეროს შენი სახელი.



ნახე, ეს მტვერი,
რარიგ სინაზით,
გულმოდგინედ,
წყნარად,
თანაბრად
ეფინება კარადებს,
წიგნებს,
მკვეთრ კონტურებს როგორ ანელებს,
როგორ იფარავს მკრთალი ვუალით
იატაკზე ჩვენს ნაფეხურებს...
ო, ეს მტვრის ფარდაც!
მონარნარე,
ოქროცურვილი,
როცა ფანჯრიდან მხიარული მზე იხედება...

გახსოვს?
ვუცქერდით ამ ფანჯრიდან,
რარიგ თოვდა,
ტრიალ-ტრიალით ფიფქი ფიფქს რომ ემატებოდა,
იცი, ის თოვლი რას ამბობდა,
რას გულისხმობდა?
მტვერს თამაშობდა:

„განა მზე ირჩევს, ვის დაესხივოს?
ვის ჩაესუნთქოს, ირჩევს ჰაერი?
ან ირჩევს მიწა, ვინ ჩაიკრას, ვინ ჩაიკონოს?
მეც ასევე ვეკუთვნი ყველას.

მიწაზე ადრე მე გიფარავთ,
მტვერი — დამწყები?"

ამ მტვერს ვუყვარვართ,
მტვერია ჩვენი უტყვი დაქალი
და არავისთან წამოსცდება,
როგორი იყო
ჩვენი უზრდელი სიყვარული,
ჩვენი კოცნები.

### ანარეკლები

წამო, ღრუბლებზე გავიაროთ,
გაზაფხულია!
იქ, ჩვენს მინდორზე ალბათ ბიბინებს მწვანე ბალახი
და ყვავილებიც გაიშლებოდა.
წამო, წავიდეთ,
გავიხსენოთ ძველი თამაში:
ამ სარკით — შენი ნაჩუქარით,
ჩემი ერთგულით,
მზე მოვიტაცოთ და ხელისგულზე ავიბრჭყვიალოთ,
ავაყიაროთ სარკით სამყარო,
გავუყვეთ ლაჟვარდს
და მერე,
როცა მივესვენებით ფთილა ღრუბელზე,
ისევ კალთაში ჩამიდე თავი.



ვიწვეთ მიწაზე,
ჩვენი თავი ცაში გვეგონოს.

ასე არ არის სიყვარულიც?
თითქოს ჩვენია,
თითქოს მივწვდით,
თითქოს შევედით,
ჩვენ აქ ვზეიმობთ გამარჯვებას,
ის კი — იქ რჩება
და ჩვენთვის მხოლოდ ანარეკლებს გამოიმეტებს.
მაგრამ ხომ არის
რაღაც ხიდი,
რაღაც ერთობა.
ცოტაა განა?
მეტი გვინდა?
რისთვის?
იმისთვის, რომ მოვიჩვიოთ სიყვარული,
მერე გავხედნოთ,
დავჭედოთ ყოველდღიურობით,
და მერე,
როცა მოვიგუნებებთ,
როცა მოვიცლით,
მაშინ ავუშვათ?

თუმცა გვეყოფა,
რა დროს ესაა,
გამოდი გარეთ,
გარეთ გამოდი,
გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი ა !

### ძველი სიყვარული

გვეცრემლებოდა უპეები სიცილისაგან.
რას არ ვყვებოდით,
სად გაგონილს,
რატომ მოსმენილს.

მერე ორივე ვიყუჩებდით
ისე ანაზდად,
როგორც
სიჩუმე ჩამოწვება შუაგულ ქარში,

მერე ხმაური,
კვლავ
სიჩუმე,
ისევ ხმაური.

ვამბობდით ერთს და
ვგულისხმობდით
რაღაცას მთავარს

და
იმ მთავარზე ორივენი
ორივენი
ერთგულად ვდუმდით.

### ჩიტებისათვის

რაღაცამ ხომ უნდა გაალღოს სიჩუმე
ამ ტრიალ მინდორზე, მოდი, ხე დავრგოთ!
ჩიტები თვითონ მოფრინდებიან.



## შოთა იათაშვილი

# სალომესთან გასაგზავნი წერილი

ესესაა სალომე უნდა შემიყვარდეს. სალომე ცოტა ხნის წინ გამოჩნდა და ამერიკიდან ჩამოვედიო, ასე გვითხრა მე და გიოს. მე, გიო, სალომე და ინგა ორი კვირაა ერთმანეთს ვხვდებით. ხანდახან ინგას ირმაც მოჰყავს — თავისი უმცროსი და. ჩვენ ვლაპარაკობთ, ვსვამთ და ვმღერით მანტრებს. და მე ესესაა სალომე უნდა შემიყვარდეს. მაგრამ უცებ გიომ მითხრა — მგონი მე და სალომესო... და ამ ბოლო დროს სალომეს გიო აცილებს სახლში. მე — ინგას, ან ინგას და ირმას ერთად. არ მაკოცოო — მითხრა ინგამ, როცა მისკენ დავიხარე. სალომემ კი თქვა, რომ მალე დაბრუნდება ამერიკაში. ჯერჯერობით კი ისევ ვიკრიბებით, ვიცინით, ვთამაშობთ ფანტს და ვმღერით მანტრებს. ხანდახან ირმაც ჩვენთანაა. ცალ ფეხს ძირს დაათრევს, შუბლზე ხალი აქვს. ყოველთვის ჯინსი აცვია. არ ვიცი, რა დეფექტი აქვს ფეხზე. ამაზე არავინ ლაპარაკობს. ირმა ხომ მხიარულობს ჩვენთან ერთად. ცალ ფეხს მიწაზე დაათრევს და მხიარულობს. იმ საღამოს კი, ერთ დიდ, საერთო წვეულებაზე, როცა ყველა ცეკვავდა, მეცეკვეო — მითხრა. კისერზე მეკიდებოდა, წონასწორობის შენარჩუნებას ცდილობდა, სხვებივით მოხდენილად უნდოდა ცეკვა. რამდენიმე ტაქტის შემდეგ გახელებული ვკოცნიდით ერთმანეთს. მერე მუსიკა შეწყდა. უცებ, „დამსვი" — მეუბნება და სავარძლისკენ მიმყავს. მაიკოს ირონიული მზერა. „წამო!" — მთავაზობს მერი. მერე ვსვამთ. მერე მერის ვუსრეს მუხლებს. „სანდრო, ჩვენ მივდივართ, ნახვამდის" — მეუბნება ინგა. ირმა კართან დგას, ინგას ელოდება. მიყურებს. მიყურებს. გავუღიმე. ფეხი აითრია. კარი გაალო. გავიდა. ცეკვა გრძელდება. მერის მუხლები. სალომე ალბათ გიომ გააცილა. სალომე მალე დაბრუნდება ამერიკაში. კიდევ კარგი, ვერ მოვასწარი მისი შეყვარება.

* * *

სანდრო, ხედავ, აი აქ, ხიდის ბოლოში. იმ ერთის მეტი არც მიკოცნია. მას მერე რამდენიმე დღეში წავიდა ამერიკაში. საქმრო ჰყავს (ჰო, არ იცოდი? შენთვის არ უთქვამს?), უნდა გათხოვდეს. არ უყვარს, მაგრამ უნდა გათხოვდეს. ასე ჯობია. მე სოფო მყავს, შენც ნახავ ვინმეს. სანდრო, მოდი, ის მანტრა ვიმღეროთ. სანდრო, ჩვენ ხომ მეგობრები ვართ. სანდრო, მოდი დავლიოთ. სანდრო, მოდი სადმე შორს წავიდეთ ავტოსტოპით, სანამდეც მივაღწევთ. სანდრო, მოდი ვიცინოთ. სანდრო, მოდი ვიტიროთ. სანდრო, მოდი მანტრა ვიმღეროთ... სანდრო...

* * *

სალომე წავიდა თუ არა, ჩვენი კამპანია დაიშალა. რამდენი ხანია აღარც ინგა შემხვედრია სადმე, აღარც ირმა.

* * *

აღარ მახსოვს, რაზე ვფიქრობდი. შეიძლება რაღაც ძალიან უმნიშვნელოზეც კი. მანქანამ კი დამარტყა. მეორემ ზედ ფეხზე გადამიარა. ამპუტაცია. ნელ-ნელა ვსწავლობ ყავარჯნებით სიარულს. გურამი ველოსიპედით დადის, ვაჟა მანქანით, დათო ფეხით. მე ყავარჯნებით სიარულს ვსწავლობ.

* * *

ინგა მეტრომდე მაცილებს.

თოვს...

კარგი ბიჭი ხარ, სანდრო, რომ გაგვიხსენე...

თოვს... მივდივართ... ნელა... ნელა...

მართლა თხოვდები ირმა?

ჰო.

ვინ არის?

კარგი ბიჭია...

თოვს... ფეხი მიცურდება. ინგა მაკავებს.

სანდრო, დაგირეკავ ხოლმე... მოვალ...

გეცოდები?



* * *

ირმააა... ირმააა...!!!

მხოლოდ კორპუსი ვიცოდი.

ვერ მცნობს.

სანდრო???

ამოდი... ამოდი...

რა დაგემართა?

არა, ომში არა ვყოფილვარ... ავარიაში მოვყევი... (ვუყვები)

გიო როგორ არის?

არის...

სალომე კი წერილებს იწერება. ხანდახან რეკავს. ინგა სტუმრადაა. მშობლები სამსახურში... არა, ჯერ არ დაბრუნდებიან...

* * *

ირმა ტანსაცმლის გახდაში მეხმარება. მისი გაქექილი ჯინსი. ხალი... შუბლზე... და სხვაგანაც ჰქონია... ისეთივე... მოზრდილი... ზურგზე... მუხლთან...

„ირმა!.."

* * *

ირმა ფანჯარაში იყურება. სიგარეტს ეწევა.

ადექი, მალე მოვლენ...

ირმა, წამოდი ჩემთან...

შენთან?

ჰო... სულ...

არა, სანდრო... არა...

მე...

მე...

მე... ვთხოვდები...

* * *

ჰო, მან მითხრა, რომ ერთ კვირაში თხოვდება. მერე სიგარეტი დააქრო, შემობრუნდა, ფეხი აითრია და ითაჩის მოწესრიგება დაიწყო.



(ირმასაც შევეცოდე) ნელ-ნელა ვხვდები.

სანდრო, სახლამდე არ გამოგაცილო?

არა, არ მინდა.

(ირმაც მეცოდებოდა, როცა სახლში ვაცილებდი)

მეტრომდე მივედით.

ყოჩაღად სანდრო! — ინგა მკოცნის. ლოყაზე... მერე ტუჩებში...

(გეცოდებით? არა, არა, არ არის საჭირო...)

თოვს...

* * *

ირმა, ირმა, რატომ გააკეთე ეს?!

* * *

ინგამ ექვსი თვის შემდეგ დამირეკა.

სალომე ჩამოვიდა.

სალომე ჩამოვიდა...

სალომე ჩამოვიდა!

ხვალ. ექვსზე სალომესთან.

* * *

მე, სალომე, ინგა, ირმა და გიო ისევ ერთად ვართ. და კიდევ მაიკლი — სალომეს ქმარი, და თემო — ირმას ქმარი, და სოფო — გიოს ცოლი.

მუცელი.

ირმას გაბერილი მუცელი.

რომელ თვეზე ხარ? — ეს სალომეა.

მეშვიდეზე. უკვე.

ჩვენ კი ჯერ ბავშვზე არ ვფიქრობთ... ასე, ალბათ, ორ-სამ წელიწადში, როცა ყველა პრობლემას მოვაგვარებთ — ამბობს მაიკლი. სალომე ამერიკაზე ყვება. გიო ნერვიულობს. აშკარად ნერვიულობს. „გიო, რა მოგდის, გიო... აიყვანე თავი ხელში..."

* * *

მოდი, მანტრა ვიმღეროთ, როგორც ადრე!

დავლიოთ და ვიმღეროთ... მე, შენ სალომემ, ინგამ, ირმამ...

* * *

მისმინეთ!

გუშინ მოთხრობას ვწერდი ჯერ ც... უმთავრებელია, მაგრამ მაინც უნდა წაკითხოთ.

გულისჯიბიდან გაკეცილ ფურცლებს ვიღებ და ვკითხულობ. ვამთავრებ. პაუზა. დაძაბული. ხანგრძლივი.

მერე:

სალომე — ეს ჩვენზეა.

მე — ჰო, ჩვენზე.

ირმა — ოღონდ სახელებია შეცვლილი.

გიო — დანარჩენი ყველაფერი ისე, როგორც იყო.

ინგა — ჰო, თითქმის ყველაფერი.

გიო — ჰო, თითქმის... გარდა იმისა, რომ ავარიაში არ მოყოლილხარ და არც ფეხი მოუკვეთიათ შენთვის.

ირმა — და არც ჩემთან ამოსულხარ...

ინგა — და არც ირმა გათხოვილა...

სალომე — და არც მე ჩამოვსულვარ მაიკლთან ერთად თბილისში.

გიო — და არც სოფოა ჩვენთან ერთად...

სალომე — და ისევ მხოლოდ ჩვენ ხუთნი შევიკრიბეთ.

ირმა — როგორც ადრე.

გიო — ჰო, როგორც ადრე...

* * *

სანდრო, მოდი ვიცეკვოთ — მეუბნება სალომე.

ვცეკვავთ.

სალომე...

სალომე...

სალომე...

(ვითომ მართლა ვერ მოვასწარი მაშინ სალომეს შეყვარება?)

ვცეკვავთ. ვიღიმებით.

(ირმას უნდა ვეცეკვო მერე...)

(მე, გიო, სალომე, ინგა, ირმა)

ვცეკვავთ. ვიღიმებით. ვლაპარაკობთ.

სანდრო, მე ხვალ ისევ მივფრინავ.

(ხვალ... ხვალ... ხვალ...) ხვალ?

ჰო, სულ ორი დღით ჩამოვედი... თქვენ რომ მენახეთ...

და რომ დარწმუნებულიყავი, რომ ყველაფერი ძველებურადაა?

არა, რომ დავრწმუნებულიყავი, რომ ყველაფერი უნდა გახსოვდეს.

* * *

ირმააა... ირმააა...!!!

რა იყო სანდრო?

მითხარი, ირმა, მითხარი, მუცელი მართლა გაბერილი გაქვს?

* * *

სალომე გუშინ გაფრინდა. ასე მითხრეს ირმამ, ინგამ და გიომ... სხვებმა სალომე თვალითაც არ გვინახავს და არც ის გაგვიგია, რომ ან ჩამოფრენილიყოს, ან გაფრენილიყოსო.

* * *

დღეს წერილს ვწერდი. სალომესთან გასაგზავნ წერილს. რამდენჯერმე მეგონა, რომ მოვრჩი. მერე ისევ გავაგრძელე. ახლაც ვცდილობ, ბოლო წერტილი დავუსვა.

* * *

სალომეს ამერიკის მისამართი ... უნდა ჰქონდეს, თუ არ დაკარგა.

გიო დაბნეულია, ყველაფერს ... გავს. მაგრამ რაც ძალიან მნიშვნელოვანია მისთვის, იმას იმახსოვრებს. ... ამის იმედი მაქვს.

* * *

გიო, გახსოვს, გიო?

აგვისტო, 1994 წელი.

18 მაისი, 1996 წ.

# გოდართან გასაგზავნი წერილი

ორში ერთია: ან ადამიანები საშინლად თვალთმაქცები არიან, ან მე ვარ მათგან ძალიან განსხვავებული. სხვანაირად ვერაფრით ამიხსნია ის განწყობა, დღევანდელი დღის მსგავს დღეებში რომ მეუფლება. გაკვირვება, მობეზრება და უხერხულობის განცდა ირევა ჩემში და რაც მთავარია, სიხარულს ვერ ვგრძნობ. ამას როცა ვამბობ, ალბათ ფიქრობთ, ერთი უჟმური კაცი ვარ, მაგრამ არც ეგრეა საქმე. სიხარულის განცდა ჩემთვის უცხო სულაც არაა. აი, გუშინ გოდარის ფილმს ვუყურებდი და ვიგრძენი, როგორ დამეუფლა იგი. და დღესაც, როცა აივნიდან ლალი დავინახე და იმანაც დამინახა და მერე მანქანების ხრიალში ერთმანეთს რაღაცეებს ვუყვიროდით, გულში ნამდვილად სიხარული მევლებოდა. ასე, რომ მაინცდამაინც უჟმური თითქოს არ ვარ, მაგრამ ამ საშინელ დღეებში ნამდვილად ასეთად ვგრძნობ თავს. განსაკუთრებით ეს სერიოზულობამდე მისული ფაციფუცი და მზადება მიშლის ნერვებს! და მერე გაცისკროვნებული სახეები და გაუთავებელი მილოცვები, მილოცვები, მილოცვები... ფუჰ! აი, წელსაც, ლამის იყო, იაწვარი მთავრდებოდა, ნაცნობი მხვდება ქუჩაში, ლოყაზე მკოცნის და წარმოიდგინეთ, ისევ ახალ წელს არ მილოცავს?! ისე მომეშხამა გუნება, მთელი ერთი საათი კრინტი არ დამიძრავს. თუმცა, ამას კიდევ რა უშავს, იანვრის ბოლო იყო და ერთი ასეთი ბრიყვი შემომეფეთა, პირველი დღეებია, თუა განსაკუთრებით აუტანელი! გარეთ ცხვირის გაყოფა მეზარება. კარს გაალებ და სადარბაზოში გახვალ თუ არა, ისე როგორ იქნება, ერთი მეზობელი მაინც თუ არ შემოგხვდა და მისალოცი სიტყვების კორიანტელი არ შემოგაფრქვია! შენც დგახარ, სულელურად იღიმები და რაკი ჩაგონებული გაქვს, რომ ასეა საჭირო, საპასუხოდ რაღაცას ლუღლუღებ. ქუჩაში ხომ მთლად უსაშველო კუდაბზიკობაა ატეხილი. და თანაც ეს კანფეტების გაცვლა-გამოცვლა! ვინმე შემოგხვდება, კანფეტს ამოიღებს, მოგაწვდის, შენ გამოართმევ და სანაცვლოდ სხვა კანფეტს შეაძლევ! ვაი შენი ბრალი, თუ კანფეტების ჯიბეში ჩაყრა დაგავიწყდა სახლიდან გამოსვლისას! მაშინ უარეს დღეში ჩავარდები. ის რომ კანფეტს მოგაწვდის, შენ ბოდიშები უნდა უხადო,



რომ სანაცვლო კანფეტი არა გაქვს! და თან ყველაფერი ეს ისე კეთდება, თითქოს ყველა მართლა უსაშველოდ ბედნიერია! სახეზე ღიმილი დასთამაშებთ, კისკისებენ, თვალები უბრწყინავთ — ფუჰ! ნუთუ შეიძლება მილიონობით ადამიანს ერთდროულად ეუფლოს სიხარული? ნუთუ სიხარული ისეთი მარტივი რამაა? აი, როცა მე გოდარის ფილმს ვუყურებ და სიხარულის გრძნობა მეუფლება, ვიცი, დიდი-დიდი ას ორასი კაცი თუ იქნება, იმავე მიზეზის გამო სიხარული რომ ეუფლებოდეს, დანარჩენი ისე, დროის მოსაკლავად უყურებს ტელევიზორს, სამაგიეროდ, არის შემთხვევები, როცა მე ვუყურებ დროის მოსაკლავად ტელევიზორს და სადღაც ას, ორას ან, ვთქვათ, ათას (მაგრამ არა მილიონ) კაცს სიხარული ეუფლება. შეიძლება ფეხბურთის მატჩის დროს დაეუფლოს მილიონ კაცს სიხარული, როცა საყვარელი გუნდი გოლს გაიტანს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ეს რაღაც რეალური მაინცაა, გოლის გატანა მაინცაა, ამ ახალი წლის და სხვა დღესასწაულების კი ვერაფერი გავიგე! სხედან, საათს მიშტერებიან და წუთებს ითვლიან... ოცი... ათი... ხუთი... სამი... ორი... ერთი... და ვაშაა! თითქოს გოლი გაიტანა საყვარელმა გუნდმა, წამოხტებიან და ყველა ერთმანეთს ეხვევა, კოცნის, ულოცავს... ის კი არადა, ფანჯრიდან თოფებსაც კი ისვრიან ხოლმე! ეს ხომ საერთოდ ისეთი სიგიჟეა, ყველანაირად რომ აღემატება ჩემი გაგების უნარს! ახალი წელი მოვიდა! — იძახიან და ან თვალთმაქცობენ ან მე ვარ მათგან ძალიან განსხვავებული, რომ ვერავითარ სიხარულს ვერ ვგრძნობ. აქეთ-იქით ვიხედები, ხან კედლებს მივაშტერდები, ხან საწერ მაგიდას. შეიძლება ქუჩაშიც გავიხედო და რაც მთავარია, შიგნით, როგორც ამბობენ, საკუთარ სულში ვიყურები, მაგრამ სულ უმნიშვნელო დადასტურებასაც კი ვერ ვპოულობ იმისა, რომ რაღაც მოვიდა და მითუმეტეს ისეთი რამ, რისი მოსვლისაც უნდა გამიხარდეს! და ეს კიდევ არაფერი, ორი კვირა გავა და ისევ იგივე ფაციფუცს და ტაკიმასხარაობას ატეხავენ, ახლა კიდევ ძველით ახალი წელი მოვიდარ და ისევ ულოცავენ ერთმანეთს! ფუჰ! ნეტა გამაგებინა, ძალიან ეპიტნავებათ ნაძალადევი სიხარულის გამოხატვა მთელი დღეების და კვირეების განმავლობაში? აი, ქუჩაში მოდის ვიღაც და სახეზე ატყობ, რომ რაღაც უხარია. და თუ ეს ჩვეულებრივი დღეა, ვთქვათ, 25 მარტი, ან 11 ივლისი ან 18 დეკემბერი, თავისთავად თვლი, რომ ამ კაცს მართლა რაღაც უხარია, ვთქვათ, შეყვარებულს უნდა შეხვდეს ან კარგი წიგნი წაიკითხა, ან პრემია მიიღო და თუ სიცოცხლისმოყვარული და ადამიანისმოყვარული ხარ, შენც კარგ ხასიათზე დგები, მაგრამ თუ ეს 1 იანვარია ან შობაა, ან აღდგომაა, ან სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღეა, ან ქალთა დღეა, ან ვალენტინობაა, ან რამე ამის მსგავსი, მაშინ პირში ჩალაგამოვლებული რჩები, იმიტომ, რომ ვერაფრით ვერ იგებ, მართლა რამე სასიხარულო აქვს ამ ადამიანს თუ იმიტომ გამოხატავს სიხარულს, რომ დღევანდელ დღეს ასეა დაწესებული! ვიცი, ბევრი გამოჩნდება მსურველი, ჩემი პოზიციის მცდარობის დასაბუთებას რომ დამიწყებს სხვადასხვა ჰუმანიტარული დისციპლინების მეშვეობით, ამიტომ მინდა დავასწრო და ვუთხრა, რომ ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეთნოგრაფიის, სოციოლოგიის და ეგეთი რაღაცეების ასე თუ ისე გამეგება და პირობითობის, აბსტრაქციის თუ რიტუალის მნიშვნელობაც მშვენივრად მესმის, მაგრამ რაცა ეს ყველაფერი ძალიან დიდ სისულელეებამდე მიდის, ნამდვილად მირჩევნია, სახლში ჩავიკეტო და კამიუს და ჩემი მეგობარი პოეტების წიგნები ვიკითხო.

სულ ახლახანს, აპრილის დასაწყისში პოლონეთში ვიყავი და ჩემი იქ ყოფნა აღდგომას დაემთხვა. თუ დამიჯერებთ, ურწმუნო კაცი მაინცდამაინც-არ გახლავართ, და აღდგომა, შობა და ეგეთი საეკლესიო დღესასწაულები ყოველთვის უფრო რეალურ რამედ მიმაჩნდა, ვიდრე ის უთავბოლო საახალწლო ზეიმები, კანფეტების ორკვირიანი გაცვლა-გამოცვლით რომ გათაყვანებს ხოლმე, მაგრამ პოლონეთში ყოფნამ ისეთი რამ დამმართა; რომ ამეებზეც ხელი ჩავიქნიე. ეტყობა, პოლონელები ძალიან რელიგიური ხალხია და დიდი და პატარა ისეთი სულითა და გულით ზეიმობდა აღდგომის დღესასწაულს, რომ მეც, რამდენადაც კი ეს შესაძლებელი იყო ჩემი ხასიათის გამო, ჩამითრიეს ამ ზეიმში. ნაცნობი, უცნობი — ყველა მილოცავდა, მეც ვულოცავდი მათ და თითქოს ჩემი ჩვეული სკეპტიციზმიც სადღაც გაქრა. ამის შემდეგ, ცოტა ხანში ჩემი ვიზა დამთავრდა და თბილისში გადმოვფრინდი და წარმოიდგინეთ, აქ რა ამბავი მხვდება! პოლონეთში მილოცავდნენ, ქრისტე აღსდგაო და აქ ჩამოვედი და მეუბნებიან — დღეს წითელი პარასკევია, ქრისტეს ჯვარზე გაკვრის დღეო! ორი დღის შემდეგ კი ვინც კი თვალს მომკრავს და — ქრისტე აღსდგა! — მიყვირის და დადარაჯებული მელოდება, როდის ვიტყვი — ჭეშმარიტად! — და ასე მთელი დღე, ტელეფონთანაც კი აღარ მინდოდა ბოლოს მისვლა. ავიღებ ყურმილს და — ქრისტე აღსდგა! — ჩამძახიან ყურმილიდან და — ჭეშმარიტად! — ვბუტბუტებ მე და სულ უფრო და უფრო ვცოფდები! რას მაბრიყვებთ, რომ მაბრიყვებთ! — ვფიქრობ ჩემთვის, ისედაც გულზე არ მახატია ეს მილოცვები და დღესასწაულები, ახლა კი სულ სამასხარაოდ გამიხადეთ საქმე! ორი კვირის წინ — ქრისტე აღსდგა, ქრისტე აღსდგაო — მაძახებინეთ და დღესაც — ქრისტე აღსდგა, ქრისტე აღსდგაო — მიმტკიცებთ! თანაც მანამუსებთ, რომ თუ ჭეშმარიტი ქრისტიანი ვარ, ამ დღეს ჭეშმარიტ სიხარულს უნდა განვიცდიდე! არა, ასეთ პამპულაობას მირჩევნია, გოდარის ფილმს ვუყურო ან კამიუს წიგნი წავიკითხო, ან მეგობარი პოეტების! ადამიანები ან თვალთმაქცები არიან, ან ბრიყვები, თორემ როგორ შეიძლება ერთი საწყალი იესო ორი კვირის შუალედში ორჯერ ჯვარზე გააკრა და მკვდრეთით ორჯერ აღადგინო! მე ასე მესმის: ან პირობითობა უნდა იყოს, ან სიზუსტე! ორივე შემთხვევაში ცალსახობაა საჭირო, რადგან პირობითობაც ერთი უნდა დაუშვა და სიზუსტეც ერთ პასუხს, ანუ, ამ შემთხვევაში, ერთ თარიღს უნდა გულისხმობდეს! ასე კი რა გამოდის: ან ჩვენ ყველანი ჩერჩეტები ვართ, ან კიდევ ყველა ეს პოლონელები (სხვათა შორის, პოლონელი ვარ წარმოშობით), გერმანელები, იტალიელები, ფრანგები, ესპანელები, პორტუგალიელები, ინგლისელები, ამერიკელები...

უფრო სწორი კი მგონი ისაა, რომ მთელი სამყარო გამოჩერჩეტდა და რაღაც მოჩვენებებს დასდევს, ნაცვლად იმისა, რომ შეეცადოს, მართლა განიცადოს სიხარული რაიმე რეალურისგან (ალბათ ხვდებით, რეალურში მაინცდამაინც ფიზიკურად რეალურს არ ვგულისხმობ!). აი, აივნიდან რომ ლალი დავინახე და იმანაც დამინახა და მერე მანქანების ხრიალში ერთმანეთს რაღაცას ვუყვიროდით, ის ერთხელ იყო და მართლა იყო და მართლა მომიცვა სიხარულის გრძნობამ, მაგრამ მაშინ არავის მოსვლია აზრად, მოსულიყო და მოელოცა ჩემთვის, გილოცავ, რომ სიხარულის გრძნობა დაგეუფლაო! სამაგიეროდ ვიცი, ისეთი მომენტიც დადგება, მე და ლალი (ან მე და ვინმე სხვა გოგონა) რაღაც სულელურ ქაღალდებზე ხელს მოვაწერთ და დაგვესევა ხალხი ბუზებივით და ატყდება ერთი ჟივილ-ხივილი და ჩვენ კი უნდა ვიდგეთ გაბრწყინებული სახეებით და თავებს ვაკანტურებდეთ! არადა, ვერ გამიგია, რა სიხარული უნდა დამეუფლოს ამ ალიაქოთში მოხვედრილს?! სხვა ამბავია, მე და ლალი პარკში რომ ვსეირნობდეთ მის შავ ლეკვთან ერთად და მზიანი დღე იდგეს და მხიარულად ვსაუბრობდეთ, მერე კი ტუჩებს ვუკოცნიდე ან კიდევ, ერთად ვუყურებდეთ გოდარის ფილმს და მისი თავი ჩემს მხარზე იდოს! ჰო, ასეთი სიხარულის მესმის და ზოგჯერ მიგრძვნია კიდეც, ასე რომ, არც ისეთი უჟმური ვარ, როგორც, შეიძლება, თავიდან მოგეჩვენათ, ოღონდ ეგაა, ვერაფრით ვერ ვეგუები ამ საერთო-სახალხო მილოცვებს! საერთოდაც, მილოცვა მანკიერ მოვლენად მიმაჩნია, რომელსაც რაც მალე აღმოფხვრის კაცობრიობა, მით უფრო უკეთესი იქნება! აბა დაუკვირდით, თუ ადამიანს რაღაც არ უხარია და იმას ულოცავ, ეს ხომ საშინელი უზნეობაა, და თუ რაღაც უხარია და იმას ულოცავ, არც ესაა მაინცდამაინც მოსაწონი საქციელი, რადგან ის თავის კმაყოფილებაში თუ ნეტარებაშია ჩაძირული, შენ კი ამ დროს მის სამყაროში უხეშად იჭრები და შენი უმაქნისი მილოცვებით ფუჭავ და, ვინ იცის, როგორი ვაივაგლახით შეკოწიწებულ კომფორტულ გარემოს უნგრევ! ეს ხომ იმას გავს, ორი ადამიანი სიყვარულობდეს და ორგაზმის წინ ვიღაც მესამემ კარი შეუღოს და დაშაქრული ხმით უთხრას: „ახალგაზრდებო, გილოცავთ ორგაზმის დადგომასო!“ ჰო, წარმოიდგინეთ საკუთარი თავი ამ საცოდავი შეყვარებულების ადგილზე და მიხვდებით, რას ნიშნავს ეს გაუთავებელი მილოცვები მაშინ, როცა რაღაც მართლა გიხარია! „უკანასკნელ ამოსუნთქვაზე“ 1959 წელსაა გადაღებული, 87 წუთი გრძელდება, მთავარ როლებს ასრულებენ ჟან-პოლ ბელმონდო და ჯინ სიბერგი. ფილმი სამჯერ მაქვს ნანახი. რომ იყოს საშუალება, ოთახში შევიკეტებოდი და მეოთხედაც ვნახავდი, მაგრამ დღეს ჩემი დაბადების დღეა, ამიტომ დილიდან უნდა ვიფაცხფუცო, პური, ლიმონათი, ღვინო ამოვიტანო, მერე შუა ოთახში დავეყუდო და მილოცვებს ვუსმინო! სამაგიეროდ ერთი რამ მოვიფიქრე: მილოცვებზე პასუხის ნაცვლად ტუჩებს მოვპრუწავ, მერე გადავჭიმავ და ბოლოს პირს ნახევრად დავაღებ, ანუ სახის იმ სამ მიმიკას გავიმეორებ, რომლითაც მიშელ პუაკარი და მისი ამერიკელი საყვარელი ერთმანეთს ეთამაშებიან (თუმცა, თუ ფილმში ნანახი არა გაქვთ, ამ აღწერით ვერ მიხვდებით, რაზე ვლაპარაკობ)! ასეა თუ ისე, ცოტას მოვისულელებ თავს და ეს ჟუბილიარის ხუმრობაში ჩამეთვლება, სინამდვილეში კი მეცოდინება, რომ ცოტა ხნით გოდარის პერსონაჟად ვიქეცი უკანასკნელ ამოსუნთქვაზე!

P.S. რამდენადაც ვიცი, ჯინ სიბერგმა თავი მოიკლა, გოდარი კი ყოჩაღად გრძნობს თავს და ახალ ფილმებსაც იღებს. ოთხი წლის შემდეგ 70 წელი უსრულდება. ღმერთმა კარგად ამყოფოს და თუ ამ ასაკამდე მშვიდობიანად მიაღწია, ალბათ, მსოფლიოს ყველა კუთხიდან გაიგზავნება მისკენ მისალოცი დეპეშები, წერილები, ამანათები! ამ საერთო საქმეში, უეჭველია, ხაქართველომაც უნდა შეიტანოს თავისი წვლილი, ამიტომ ვფიქრობ, 2000. წელს ჩემი ძვირფასი ჟან-ლუკის მისამართით ეს წერილი გავგზავნო!

აპრილი. 1996 წელი.



18 მაისი, 1996წ.

# უილიამ ფოლკნერი

"კარკასონი" ფოლკნერის ადრეული მოთხრობების რიგს განეკუთვნება და, სავარაუდოდ, 1926 წელსაა დაწერილი. ვირჯინიის უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრისას ფოლკნერი ამბობდა — ,,ამ მოთხრობაში ლაპარაკია ახალგაზრდა კაცზე, მის კონფლიქტზე გარემომცველ სინამდვილესთან და, ჩემი აზრით, ამბავი ჩვეულებრივად, უტყუარობის ტრადიციული კანონების დაცვით რომ მომეთხრო, რაღაც უთუოდ დააკლდებოდა. ამიტომაც ,მივენდე ფანტაზიას და არც ვნანობ, რადგან წერის დროს თავი ისევ პოეტად ვიგრძენიო".

# კარკასონი



და მეც წაბლისფერ პონიზე ვზივარ, რომელსაც თვალები ლურჯ ელექტრულ. ნაპერწკლებს მიუგავს, ფაფარი კი აბრიალებულ კოცონს, ჭენებით მივუყვებით ფერდობს სულ ზევით და ზევით, სამყაროს უკიდეგანო ზეცისაკენ

მისი ჩონჩხი უძრავად ინვა. შეიძლება მართლა ამაზეც ფიქრობდა. ასეა თუ ისე, ცოტა ხნის შემდეგ ამოიოხრა. მაგრამ თქმით არაფერი უთქვამს. რაღაც არ ჰგავხარ შენ თავს გაიფიქრა მან ნამდვილად არ ჰგავხარ. თუმცა ცოტა სიმშვიდე არ მსიამოვნებს-მეთქი ვერ ვიტყვი

ზემოდან სახურავის ტოლი ეფარა. ტოლის გაშლილი ნაჭრის ქვეშ ინვა, მისი არსების იმ ნაწილს გარდა, რომელსაც არც მწერები ტანჯავდნენ, არც სიცხე აწუხებდა, და უმისამართოდ, ჯიუტად მიაჭენებდა პონის ღრუბლის ქულების ვერცხლისფერ გორაკზე, სადაც ფლოქვები არც ექოს გამოსცემდნენ და არც ნაკვალევს ტოვებდნენ, სულ ზევით და ზევით, მარად მიუღწეველი ლურჯი უსასრულობისაკენ. იმ ნაწილს კი არც ხორცი ერქვა და არც უხორცო და ამ არაფრით მდიდარ და სავსე რაღაცაზე ფიქრი თითქოს სახიამოვნო ფრთოლასაც კი ჰგვრიდა ტოლის გახევებულ საბანქვეშ განოლილს.

დაძინების, ღამეული გაყუჩების მექანიკა უბრალო იყო, ბოლომდე გამარტივებული. ყოველ დილით ლოგინი ისევ რულონად ეხვეოდა და მერე, ღამემდე, კუთხეში იდგა აყუდებული. ლორნეტს ჰგავდა, ხანშიშესული ქალბატონები კითხვისას რომ ხმარობენ ხოლმე, ზონარზე ჩამოკიდებულს ატარებენ, ზონარი კი თავისით ეხვევა პატარა, კოხტა, იაფასიანი ოქროს კოლოფში ჩასმულ თითისტარზე; თითისტარი, კოლოფი, ძილის დედის სავსე მკერდზე ჩამოკიდული.

უძრავად ინვა, ამ ფიქრს ელოლიავებოდა. ქვემოთ რინკონი თავის ფატალურ, იდუმალ, ღამეულ საქმეებს აგვარებდა, ქუჩების უკუნ და გაქვავებულ სიბნელეს განათებული კარ-ფანჯრები საღებავში გემრიელად ამოსმული, მსუქანი ფუნჯის მსუყე მონასმებს ჰგავდნენ. დოკებში გემის საყვირი იწრიტებოდა, სულს ლაფავდა. ცოტა ხანს ამ ხმას ხმა ერქვა, მერე თითქოს სიჩუმეც შეიწოვა მთლიანად, ატმოსფეროც და ყურის აპკებზე ისეთი ვაკუუმი გააჩინა, სადაც აღარაფერი, თავად სიჩუმის ნატამალიც აღარ დარჩა. ცოტაც, და ბოლომდე მიწყდა, ნელ-ნელა ჩაკვდა; სიჩუმემაც ისევ ამოისუნთქა პალმის ტოტების შარი-შურით, თითქოს ლითონის ფურცელზე ქვიშამ გადაისისინაო.

მისი ჩონჩხი მაინც არ შერხეულა. შეიძლება ამაზე ფიქრობდა და ტოლის საბანი კი ის სათვალე ეგრნა, რომლითაც ყოველ ღამე სიზმრების უცნაურ ქსოვილს დასცქეროდა:

ცეცხლის ენებად აბრიალებულფაფრიანმა ცხენმა ისევ ჭენებით გადაკვეთა სათვალის ტყუპი გამჭვირვალება. გაუჩერებელ ფეხებს მრგვალი, დაჭიმული მუცელი მოუმწყვდევიათ შუაში, რიტმულად ადი-ჩადიან, უკანა ფეხების ყოველ ბიძგს, წინა ფეხების წყვილი, მოქნილი დარტყმა მოსდევს. ის უნაგირის მოსართავსაც ხედავს და მხედრის უზანგში გაყრილი ფეხსაცმლის ლანჩებსაც. მოსართავი ცხენს თითქოს შუაზე პყოფს, ზუსტად ჯიდაოს ბოლომდე, თუმცა ის მაინც მიქრის, რიტმული, გაუნელებელი სიშმაგით, ოღონდ, წინსვლის გარეშე; უმხედროდ დარჩენილი ნორმანული ბედაური ახსენდება, ისევ ასე გაშმაგებული მიქროდა სარკინოზთა ამირასაკენ, იმან კი, მახვილი თვალისა და ღონიერი მარჯვენის პატრონმა, ერთი დარტყმით გააპო შუაზე ხმლით, თუმცა ამის მერეც, ორივე ნახევარი მაინც აგრძელებდა ბობოქარ ჭენებას წმინდა მტვერში, სადაც დიდი ბუიიონი და ტანკრედიც მასთან ერთად, პირქუში სიჯიუტით იხევდნენ უკან; გრგვინვით იკაფავდა გზას ჩვენი კეთილი მწყემსის გაერთიანებული მტრის რიგებს შორის, ჯერაც სიშმაგითა და შეტევის სიამაყით თავბრუდახვეული, ოღონდ არ იცოდა, მკვდარი თუ იყო.

მანსარდის დამრეცი ჭერი ციცაბოდ ეშვებოდა დაბალი კარნიზისაკენ. ბნელოდა, სხეულის ცნობიერებამ, მხედველობის მაგიერმა, გონების თვალით დაანახა, როგორ ასხივებდა ფოსფორულ ნათებას მისი უძრავი ტანი, იმ თანდათანობითი ხრწნის გავლენით, რასაც დაბადების დღიდანვე დაედო სათავე. ხორცი მკვდარია საკუთარ თავს ჭამს მომჭირნედ იზოგავს საკვებს და განახლებული ისევ აგრძელებს არსებობას და არასოდეს მოკვდება რადგან მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე კაცის მატლი გალეული, ბანჯგვლიანი, ყინიანი უნდა იყოს. ქალისა ან ნაზი გოგონასი კი რაღაცით ხმაშეწყობილი მუსიკის მსგავსი, თვითონაც შემპარავად თავაზიანი, ის ხომ სილამაზით იკვებება, სილამაზეს ჭამს. რაც მე მხოლოდ ახალი რძის დუღილად მიჩანს იმისთვის ვინც არის აღდგომა და სიცოცხლე

ბნელოდა. აქაურ განედებს ხის აგონია ჩაეცხროთ, გაეწელებინათ; ცარიელი ოთახები არ ჭრიალებდნენ, ჩქამს არ იღებდნენ. თუმცა, შეიძლება დროთა განმავლობაში ხეც ნებისმიერ სხვა ჩონჩხს ემსგავსება, რაკი იძულების ძველი რეფლექსი საკუთარ თავს ამოწურავს. ძვლები შეიძლება ზღვის ფსკერზე ეყაროს, სადმე, გამოქვაბულში, ტალღების ჩამკვდარი ექოს მიერ ერთად მოქუჩებული. იმ ცხენების ძვლებივით, თავიანთ უვარგის მხედრებს რომ ლანძღავენ, თავიანთი იმედის გამცრუებლებს, და ერთმანეთს ეტრაბახებიან, ერთი ნაღდი მხედარი შემოგვაჯდეს ზურგზე და მაშინ ნახავდით რაებსაც ვიზამდითო. მაგრამ ნაღდ მხედრებს ყოველთვის ვიღაც ჯარს აცვამს ხოლმე. ამიტომ, ჯობია ძვლების გროვა იყო ზღვის ფსკერზე, ერთმანეთს მიხლილი და სადღაც, მღვიმესა თუ გამოქვაბულში მოქუჩებული ძალადაკარგული და უნდილი მიქცევითა და მოქცევით.

სადაც დიდი ბუიიონი და ტანკრედიც

მისმა ჩონჩხმა ერთხელ კიდევ ამოიოხრა. შუშის იატაკის ტყუპ გამჭვირვალებაში ისევ გამოჩნდა ჭენებით მიმავალი ცხენი, ჯიუტად, წინსვლის გარეშე მიქროდა საჯინიბოსაკენ, სადაც ბაგაში ძილი ელოდა საკვებად. ბნელოდა. ლუისმა, დუქნის პატრონმა, ნება მისცა სხვენში დაეძინა. თუმცა ყველაფერს, ამ სხვენსაც, სახურავის ტოლსაც და სიბნელესაც, სტანდარდ ოილის კომპანია ფლობდა; ეს, მისი ძილის სამყოფი სიბნელე, მისის უიდრინგთონს, სტანდარდ ოილის კომპანიის მეუღლეს ეკუთვნოდა. მოიცა, ცოტა აცალე, ბოლოს პოეტადაც გაქცევს, აბა სამსახური შენ არა გაქვს და... მისის უიდრინგთონის ღრმა რწმენით, უმიზეზოდ ჩასუნთქვითაც არ უნდა ჩაგესუნთქა, მიზეზი კი მარტო თვითონ იცოდა, რა თქმა უნდა. მისი აზრით, თეთრკანიანი კაცი თუ არსად მუშაობდა, ან ჩვეულებრივი მანანწალა იყო, ან კიდევ პოეტი. და რა იცი, იქნება იყავი კიდეც. ქალები ბრძენი ხალხია. ისწავლეს, როგორ გაემიჯნონ რეალობას, როგორ დარჩნენ მისთვის შეუღწეველნი. ბნელოდა.

და ეხლებიან და ეხლებიან ჩემი ძვლები ერთმანეთს ბნელოდა, სიბნელე პატარა თათების იდუმალ სხაპასხუპს გაევსო, უხმაუროს და დაძაბულს. ღამით, ზოგჯერ, სახეზე მათი ცივი შეხება აღვიძებდა ხოლმე, და შეირხეოდა თუ არა, ისინიც მაშინვე უჩინარდებოდნენ, უმცირესი ხმების უჩუმარ არპეჯიოში, როგორც მკვდარი ფოთლები ქარში — მხოლოდ სუსტ, მაგრამ ჯიქარა, აქოთებულ კვალს ტოვებდნენ ქურდობისა და სიმსუნაგისა. ზოგჯერ, როცა ასე ინვა და ელოდა, ნაცრისფრად როდის გაწვებოდა დილის შუქი კარნიზების დაფხავებულ კონტურებზე, უცქერდა როგორ გადარბოდნენ შავი, კატისოდენა ჩრდილები ბინდის ერთი კუნძულიდან მეორისაკენ და ესმოდა, როგორ წალეკავდა ხოლმე დამყაყებულ სიჩუმეს ნამით, იდუმალი თათების მოჩურჩულე ნიაღვარი.

ვირთხებიც მისის უიდრინგთონს ეკუთვნოდა და სავსებით სამართლიანადაც — შეძლებული თუ ხარ, უნდა გეკუთვნოდეს კიდეც ამდენი რამე. ოღონდ, იმედი არ ჰქონდა, სიბნელით და სიჩუმით სარგებლობის საფასურს ვირთხებიც ლექსების წერით თუ გადაუხდიდნენ. იმიტომ არა, თითქოს არ შეეძლოთ, მე მგონი, მშვენიერ ლექსებსაც დაწერდნენ. ბაირონსა აქვს რაღაც ვირთხისებური: იდუმალი სიმსუნაგის კვალი; პატარა თათების იდუმალი ფაჩუნი სისხლიანი გობელენის უკან, სადაც დაეცა სადაც დაეცა სადაც მე მეფეთა მეფე ვიყავი მაგრამ ქალმა ძაღლისთვალება ქალმა და ეხლებიან და ეხლებიან ჩემი ძვლები ერთმანეთს

„სიამოვნებით ჩავიდენდი რამეს", თქვა მან, უხმოდ ააცმაცუნა ბნელში ტუჩები, და გაჭენებულმა ცხენმაც ისევ დაიპყრო მისი გონება უხმო თქარათქურით. მოსართავებსაც ხედავდა და მხედრის უზანგში გაყრილი ფეხსაცმლის ლანჩებსაც, და ისევ ის ნორმანული ბედაური გაახსენდა, მრავალი მამისგან გამოყვანილი,' ლითონის აბჯრის სატარებლად ინგლისის დუნე, ტენიან, მწვანე ველებზე; ახლა ის — სიცხით და წყურვილით და უიმედო, მოციმციმე არარათი სავსე ჰორიზონტებით გაგიჟებული — თქარათქურით მიქროდა ორად გაპობილი, თანდათან აკრეფილი სიჩქარის რიტმს შენივთებული, და არ იცოდა მკვდარი თუ იყო. თავიც შეჭურვილი ჰქონდა და წინ ვერაფერს ხედავდა, ლითონის ფირფიტებს შორის ამოზნექილი... ამოზნექილი...

„საცხვირე" — უკარნახა ჩონჩხმა.

„საცხვირე". ცოტა ხანს ჩაფიქრდა, ცხენი კი, რომელმაც არ იცოდა მკვდარი რომ იყო, ისევ თქარათქურით მიქროდა წინ და ტარიგის მტრებიც გზიდან ეცლებოდნენ, გზას უთმობდნენ, ატარებდნენ წმინდა მტვერში. „საცხვირე", გაიმეორა ერთხელაც. ახეთი მარტოსული ცხოვრებით მცხოვრებ მის ჩონჩხს, წესით თითქოს არაფერი უნდა სცოდნოდა ამქვეყნისა. არადა, გასაოცარი და ცოტა გამაღიზიანებელი უნარი ჰქონდა რაღაც უმნიშვნელო ინფორმაციის ნაგლეჯების შეხსენებისა ყოველთვის, როცა კი მახსოვრობა გაზარმაცდებოდა ხოლმე. „რაც იცი, ყველაფერი ჩემგან იცი", თქვა მან.

„მთლად მასეც არაა", არ დაეთანხმა ჩონჩხი. „მე, მაგალითად, ვიცი — სიცოცხლის დასასრული უძრავად წოლაა. შენ ეს ჯერ არ გისწავლია, ყოველ შემთხვევაში, ჩემთან არ გითქვამს".

„მისწავლია, მისწავლია", ჩაიბუზღუნა მან. „საკმარისზე მეტი მიჩიჩინეს. ეგ არაა საქმე. უბრალოდ, არ მჯერა მაგ სიმართლისა".

ჩონჩხმა ამოიოხრა.

„არ მჯერა-მეთქი, გეუბნები", გაიმეორა მან.

„კარგი, ხო", უემურად ჩაილაპარაკა ჩონჩხმა. „კამათს არ დაგიწყებ. ან როდის მიკამათია. მე მხოლოდ რჩევას გაძლევ".

„ეტყობა, მართლა მჭირდება მრჩეველი და ჭკუის დამრიგებელი", დაეთანხმა უგულოდ. „რაღაც ასეთი შთაბეჭდილება მრჩება ბოლოს". უძრავად ინვა ტოლის საბანქვეშ, იდუმალი ფაჩუნით გამოტენილ სიჩუმეში. მისი სხეული კი ისევ და ისევ თავქვე მისრიალებდა მზის შუქის კამარებიან მაღალ დერეფნებში, მზის შუქი სადღაც ზევით იცრიცებოდა, მკრთალდებოდა, ის კი ზღვის უქარო ბალში დაეშვა ბოლოს, იქ შეისვენა. ირგვლივ გამოქვაბულები და მღვიმეები ირწევიან, მისი სხეული კი ჭავლებად გაქცეულ იატაკზე წევს, მშვიდად თელემს მიქცევის ტალღების ძალადაკარგულ ექოში.

მინდა ჩავიდინო რამე თამამი, ტრაგიკული, და უბრალო გაიმეორა მან, უხმო სიტყვები მიამატა აფუთფუთებულ სიჩუმეს წაბლისფერ პონიზე ვზივარ, რომელსაც თვალები ლურჯ ელექტრულ ნაპერწკლებს მიუგავს, ფაფარი კი აბრიალებულ კოცონს, ჭენებით მივუყვებით ფერდობს სამყაროს უკიდეგანო ზეცისაკენ ისევ ჭენებით, ცხენი მაღლა აიჭრება; შეუჩერებლად მიქრის ზევით და ზევით ცის უსასრულო, ლურჯ მთაზე, მისი მღელვარე ფაფარი ცეცხლოვანი ოქროს მორევივით ბრუნავს. რაში და მხედარი თქარათქურით აგრძელებენ გზას, მერე ხმა თანდათან სუსტდება და აი, უკვე მინავლულ ვარსკვლავადღა აჩნევიან სიბნელისა და სიჩუმის უსასრულობას, ხოლო ამ სიბნელესა და სიჩუმეში გარინდულა ფერგამკრთალი, მაგრამ მარად ურყევი, მკერდსავსე და თეძოგანიერი, ჩაფიქრებული და ტრაგიკული ფიგურა დედამიწისა. მისი დედისა.

ინგლისურიდან თარგმნა
ზაზა ჭილაძე

კარკასონი — ქალაქი საფრანგეთში, სადაც შუა საუკუნეების დროინდელი, უცნაური ფორმის კოშკებიანი ციხე-დარბაზია შემორჩენილი. ფოლკნერს მიაჩნდა, რომ ამ ციხე-დარბაზის ზღაპრული იერი, წარმოსახვაში გაჩენილ ფანტასტიკურ სურათებს ჰგავდა.

# კოტე ჯანდიერის მოთხრობების გამო






დაახლოებით ერთი წელი გავიდა მას მერე, რაც გამოიცა კოტე ჯანდიერის მოთხრობების წიგნი „ცუდი ბიჭების ცხოვრებიდან“, წიგნი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

მინდა ვისაუბრო იმაზე, რასაც სამწერლო ტექნიკა ჰქვია, ტექნიკა, რომელიც ჯანდიერის წიგნში შეტანილ ექვს მოთხრობაში ექვს სხვადასხვა სახეს იძენს, ან პირიქით, ყოველი ცალკეული მოთხრობა გარკვეულ ტექნიკურ ქარგაზეა მორგებული, რაც, არა მგონია, მხოლოდ ქრონოლოგიური რიგით აიხსნას. საქმე ეხება იდეას და ჩანაფიქრს (რომლებიც ჯანდიერის მოთხრობებში არ წარმოადგენენ იდენტურ ცნებებს) და მათ ფორმალურ რეალიზებას.

უკვე ვთქვი, რომ წიგნში ექვსი ნაწარმოებია შესული (აქვე აღვნიშნავ, რომ მე კოტე ჯანდიერის სხვა ნაწარმოებებს არ ვიცნობ) და თითოეული მათგანი ინდივიდუალურ ჩანაფიქრს ეფუძნება, — ამაზე ქვემოთ, — ხოლო რაც შეეხება იდეას, ვფიქრობ, რომ იდეა ყველგან ერთია: მეჩვენება, რომ კ.ჯანდიერისათვის იდეა — თავად ნაწარმოებია, ანუ ზოგადი ფორმა, ზოგადი სიუჟეტურ-კომპოზიციური სტრუქტურა, ზოგადი მოცულობა. ამ დასკვნამდე მიმიყვანა წიგნში შეტანილმა სამმა — ჩემი აზრით — წამყვანმა ნაწარმოებმა: „მატარებლები გვირაბში შედიან“, „საოჯახო ქრონიკა“, „დაპატიჟება კინოში“.

როცა ვამბობ, რომ იდეას თავად ნაწარმოები (მხატვრული ტექსტი) წარმოადგენს, ბუნებრივია, იგულისხმება ისიც, რომ ჩანაფიქრი — ყოველი მოთხრობისთვის ინდივიდუალური — სწორედ ამ იდეას ემორჩილება, ანუ ჩანაფიქრს აკონტროლებს ტექსტი, და კიდევ, ვფიქრობ, რომ წერისას მწერალში მუდმივად ფიგურირებს „მკითხველის თვალი“.

ტექსტის მიერ ჩანაფიქრის „ექსპლუატირების“ ბუნებრივ შედეგად მიმაჩნია ზოგიერთ მოთხრობაში წარმოჩენილი აბსურდის ელემენტები, რომლებიც, მართალია, ნაწარმოების საერთო ფონზე ნაკლებად მნიშვნელოვანნი არიან, მაგრამ მაინც საკმაოდ სერიოზული ფუნქცია აკისრიათ.

ეს აბსურდი განსაკუთრებით თვალშისაცემ სახეს იძენს „საოჯახო ქრონიკაში“. ნაწარმოები აგებულია წერილებზე, მოთხრობის გმირები — ერთი ოჯახის წევრები — ერთმანეთს წერილებით ესაუბრებიან: რა თქმა უნდა, მკითხველმა იცის, რომ ასეთი რამ არც ერთ ოჯახში არ ხდება, მაგრამ მისთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს, რადგან მთელი ყურადღება გადატანილია იმაზე, რაც ამ აბსურდით მიიღწევა, კერძოდ — ერთურთისგან გათიშული გმირების განცდებზე, გმირების, რომელთა ჩვეულებრივობა კიდევ უფრო ამძაფრებს არაბუნებრივი მიწერ-მოწერით აღძრულ უკმარისობას. ამრიგად, მწერალი ახერხებს ტექსტის მიერ ჩანაფიქრის „ექსპლუატირების“ შენიღბვას აბსურდის ელემენტით, თანაც ისე, რომ ეს აბსურდი არამც თუ აბნევს მკითხველს, პირიქით, ეხმარება კიდეც ნაწარმოების გაგებაში.

შეიძლება დაისვას ასეთი კითხვა: რატომ არ შეიძლებოდა, მწერალს გაეკეთებინა ის, რაც გააკეთა, ოღონდ გმირებს ერთმანეთთან ესაუბრათ არა წერილებით, არამედ უშუალოდ — დიალოგებით. ერთი შეხედვით, ამას თითქოს არანაირი ცვლილება არ უნდა შეეტანა მთავარი ჩანაფიქრის განხორციელებაში, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. საქმე იმაშია, რომ „მიწერ-მოწერის“ მეთოდი კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის გმირების მარტოსულობას, ხაზს უსვამს მათ გათიშულობას. ამ ხერხით კოტე ჯანდიერი წარმატებით ახერხებს მოქმედების გამძაფრებას, რისი აუცილებლობაც ნაწარმოების ჩანაფიქრითაა განპირობებული. ხდება ის, რაზეც ზემოთ ვისაუბრე: ტექსტი „ექსპლუატირებას“ უწევს ჩანაფიქრს, და ამით ჩანაფიქრი მხოლოდ იგებს.

მსგავს სურათთან გვაქვს საქმე მოთხრობაში „მატარებლები გვირაბში შედიან“. აქაც ვხვდებით აბსურდს, რომელსაც იგივე ფუნქცია აკისრია, რაც „საოჯახო ქრონიკაში“, და ისევე ოსტატურადაა „უვნებელყოფილი“. მწერალმა მოძებნა საოცრად მარტივი და, იმავდროულად, უმტკივნეულო გამოსავალი: პერსონაჟების სახელები აღნიშნულია ლათინური ასოებით — CD და A. ამ ხერხის გამართლება-არგამართლების საკითხი აღარც დგება მკითხველისათვის, მისთვის ამით არაფერი იცვლება, პერსონაჟი — პერსონაჟია, გინდ ევა ერქვას და გინდ CD, მაგრამ ეს ლათინური ასოები, წითელი მთის არანაკლებ აბსურდულ იდეასთან ერთად, თავის საქმეს აკეთებენ — ისინი აელასტიურებენ ჩანაფიქრს, რათა იგი ადვილად დაემორჩილოს ტექსტს.

„მატარებლები გვირაბში შედიან“ კოლაჟური ხასიათის ნაწარმოებია. განწყობილების მხრივ, მას ორ ნაწილად დავყოფდი: პირველი — უფრო ზოგადი და დრამატული, და მეორე — შედარებით მშვიდი, რეალობასთან მიახლოებული. მწერალი პირველივე ფრაზებით ახერხებს მკითხველის მომართვას სასურველ ნოტზე: „როგორც ახერხებენ საკუთარი ყელის გადაჭრას მარცხენა ყურის ძირიდან მარჯვენამდე (...) ყველაზე აუტანელი ხმა — უცნაური, ცივი ხროტინი, ჰაერი შედის გადაჭრილ არტერიაში, — ასეთი ხმა ამოდის ფსკერზე მოთავსებული ნახვრეტიდან, როცა აბაზანა იცლება...“ და ყოველივე, რაც ასეთ დასაწყისს მოსდევს, უკიდურესად ზოგადი და განგებ მოუწესრიგებელია (იდეა — აქაც მხატვრული ტექსტია), ერთმანეთშია არეული აწმყო და წარსული, დრამატიზირებულია ყოველი ფრაზა; მთავარი გმირი, დაცემული და დაღლილი კაცი, იხსენებს ბავშვობას, ინტერნატს, მამას, იხსენებს ბავშვობიდანვე თანდაყოლილ აკვიატებულ (ავადმყოფურ) იდეალს — წითელ მთას — სილამაზის ეტალონს, რომელიც წარმოსახვას მით უფრო აავადებს, რამდენადაც რეალურია, — გეოგრაფიის სახელმძღვანელოშიც კია შეტანილი მისი სურათი.

ვამბობ, მთავარი გმირი იხსენებს მეთქი, თუმცა ეს, ერთი მხრივ, მცდარი შეფასებაა, რადგან თხრობას მწერალი აწარმოებს, მაგრამ მწერალი ესაუბრება არა მკითხველს, არამედ პერსონაჟს — უძრავ და უსახელო პერსონაჟს, — ამიტომ მკითხველი საკმაოდ ადვილად ივიწყებს მთხრობელს და ყველაფერი აღიქმება ისე, თითქოს მთავარი გმირი თავად საუბრობს საკუთარ ცხოვრებაზე.

როდესაც ამ მოთხრობის კითხვა დავიწყე, ძალაუნებურად გამახსენდა იოკიო მისიმას რომანი „ოქროს სავანე“. მართლაც, არის თვალშისაცემი მსგავსება: მისიმას გმირსაც მამისგან სმენია, რომ არსებობს ოქროს სავანე, რომ მასზე მშვენიერი ქვეყნად არაფერია, მისი გონება მთლიანად მოუცავს ამ მშვენიერებას, ყველაფერი კი იმით მთავრდება, რომ იგი ანადგურებს სავანეს. მე ეს ამგვარად მესმის: ოქროს სავანე იმდენად იყო გმირის წარმოსახვის საკუთრება, რომ მიუღებელი გახდა ამ მშვენიერების სინამდვილეში არსებობა, წარმოსახვამ შური იძია სინამდვილეზე... დაახლოებით იგივე სჭირს ჯანდიერის გმირსაც, მისი წარმოსახვა დატყვევებულია წითელი მთის მშვენიერებით, და იგი ქმნის პროექტს — გვირაბი წითელ მთაში — შურისძიების პროექტი; მაგრამ ნაწარმოებში წითელი მთის ხატი თანდათან უკანა პლანზე იწევს, დრამატიზმიც თითქოს დუნდება, თხრობა უახლოვდება რეალობას, ჩნდება ქალი — A - რომელიც ბევრად უფრო ჩვეულებრივია, ვიდრე მოსალოდნელი იყო მკითხველისათვის. საკმაოდ მშვიდად და აუღელვებლად იხატება მისი პორტრეტი (მოთხრობაში ცალკე ქვეთავიც კია ჩასმული — „რა დაემართა A-ს?“). მერე და მერე თხრობა კიდევ უფრო უახლოვდება რეალობას, მკითხველი უკვე თვალნათლივ ხედავს იმ მოვლენების ოდნავ ტრანსფორმირებულ აღწერას, რომლებსაც არც თუ დიდი ხნის წინ ჰქონდათ ადგილი საქართველოში — მიტინგები, დემონსტრაციები, შიში... საბოლოო ჯამში, ჩვენს წინ იშლება ერთი კონკრეტული კაცის ტრაგედია, რომელიც — რაოდენ მოულოდნელიც არ უნდა ყოფილიყო მოთხრობის დასაწყისში — ჩვენი თანამედროვეა, რომელსაც ჩვენს გვერდით უცხოვრია...

„მატარებლები გვირაბში შედიან“ საკმაოდ კონტრასტული ნაწარმოებია. მასში, ჩემი აზრით, განსაკუთრებით კარგად ჩანს ავტორის ოსტატობა.

... და მაინც, მოთხრობა, რომელმაც ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, — და, ალბათ, არა მხოლოდ ჩემზე, — არის „დაპატიჟება კინოში“. ამ მოთხრობაზე ყველაზე ნაკლებად ვრცელდება ჩემს მიერ ხსენებული ტექსტისა და ჩანაფიქრის ურთიერთქმედება-დაქვემდებარების მეთოდი, რომელსაც სხვა ნაწარმოებებში თითქმის წამყვანი ადგილი ეკავა. აქ ყველაფერი გაწონასწორებულია, — ფორმა, ჩანაფიქრი, იდეა — ბრწყინვალედ არიან შეხამებულნი, ამასთან, ვიტყოდი, რომ ეს არის ძალიან თანამედროვე მოთხრობა და ყველაზე უფრო დამაფიქრებელი — ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. თანაც, ყველაფერი იმდენად ნაცნობი და სარწმუნოა, უფრო მეტიც — იმდენად დოკუმენტური, რომ „გაშინაურებულ“ მკითხველს ისღა დარჩენია, მხოლოდ იკითხოს და იგრძნოს. მიმაჩნია, რომ ეს ყველაზე დიდი მიღწევაა ნებისმიერი პროზაიკოსისათვის. შეიძლება აბსურდულად ჟღერდეს, მაგრამ ვთვლი, რომ „დაპატიჟება კინოში“, წიგნში შესულ სხვა ნაწარმოებებთან შედარებით, ყველაზე უფრო პოეტიზირებული ნაწარმოებია, — აკი ვთქვი, მკითხველს ისღა დარჩენია, მხოლოდ იკითხოს და იგრძნოს. ვთქვი ისიც, რომ მოთხრობაში ყველაფერი უკიდურესად ნაცნობი და სარწმუნოა, და მაინც, მიუხედავად ამისა, აქ ყველაფერი პირობითია — მოქმედებაც, პერსონაჟებიც, და მწერლის ამოცანას სწორედ ამ პირობითობების სიმბოლოებად ქცევა წარმოადგენს. წერილის დასაწყისშივე ვახსენე, რომ კ.ჯანდიერისთვის იდეა და ჩანაფიქრი სრულებით არ წარმოადგენენ იდენტურ ცნებებს, მოცემულ მოთხრობასთან დაკავშირებით კი, ვთქვი, რომ მასში ყველაფერი გაწონასწორებულია, იდეაც, ფორმაც, ჩანაფიქრიც, და რომ ყველაფერი, მოქმედებაც, პერსონაჟებიც, პირობითნი არიან. ახლა ვცდი ამ ყველაფრის დაკავშირებას: „დაპატიჟება კინოში“ ის შემთხვევაა, როცა იდეა თავად იქცევა (ნაწევრდება) პერსონაჟებად, ჩანაფიქრი — მოქმედებად, ხოლო ფორმა — მწერლის მიზნად, ანუ მკითხველის ნაწარმოებში „შესვლის“ საშუალებად. ამგვარად მიიღწევა ის მთლიანობა, რომელიც ასეთ დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე.

იმასთან, რაზეც ვსაუბრობ, იქნებ ნაკლებადაც იყოს დაკავშირებული, მაგრამ გვერდს მაინც ვერ ავუვლი მოთხრობის ერთ პერსონაჟს: არ შემიძლია არ აღვნიშნო ის ოსტატობა, რომლითაც ავტორი ხატავს ნინცოს, მოთხრობის ერთ-ერთ (?) მთავარ გმირს. მისი სახით კოტე ჯანდიერმა შეძლო საოცრად „ცოცხალი“ და დასამახსოვრებელი გმირის შექმნა და, ალბათ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ნინცო ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი ლიტერატურული გმირია თანამედროვე ქართულ პროზაში.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს წიგნში შეტანილი დანარჩენი სამი მოთხრობაც, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, წამყვან ნაწარმოებებად მაინც „საოჯახო ქრონიკა“, „დაპატიჟება კინოში“ და „მატარებლები გვირაბში შედიან“ მესახება. ჩემი წერილიც ამ სამი მოთხრობის ზოგადი განხილვით შემოიფარგლება.

ზვიად რატიანი

18 მაისი, 1996წ.

# die Bücher ახალი КНИГИ Libri წიგნები КНИГИ ახალი tà Bíβλια Libri THE BOOKS












გალაქტიონ ტაბიძე. თხზულებები ხუთ ტომად (I-V). თბ. „საქართველო" **1993-95**; ტირაჟი: **10000**; შემდგენლები: ხუტა გაგუა, ჯანსუღ ღვინჯილია, ვახტანგ ჯავახაძე; რედაქტორი: რ.სირაძე; მხატვრები: თ.შარიფაშვილი, ხ.ხომერიკი. ფასი **20** ლარი.

ტიციან ტაბიძე. ერთტომეული (ლექსები, პოემები, პროზა, წერილები). თბ. „მერანი" **1995**; რედაქტორ-შემდგენელი: ემზარ კვიტაიშვილი; რედაქტორი: ტაგუ მებურიშვილი; მხატვარი: ჯემალ ზენაიშვილი; ფასი 8 ლარი.

ოთარ ჭილაძე. ყოველმან ჩემმან მპოვნელმან... თბ. „საქართველო" **1995**; ტირაჟი **1500**; **468** გვ.; რედაქტორი: რუსუდან სირაძე; მხატვარი: ვ.დონდოლაძე; ფასი **3** ლარი.

გივი ალხაზიშვილი. სინათლე წვეთში (პოეზია). თბ. „მერანი", „ლომისი" **1996**; **200** გვ.; რედაქტორი როსტომ ჩხეიძე; გამომცემლობის რედაქტორი: ლია შარვაშიძე; მხატვარი: გოგი წერეთელი; ფასი **3** ლარი **50** თეთრი.

# თარიღები



## 14 მაისი

**1891** – 105 წლის წინ კიევში დაიბადა **მიხეილ ბულგაკოვი**, რუსი მწერალი და დრამატურგი. დაამთავრა კიევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი, მუშაობდა ექიმად, 1921 წლიდან ცხოვრობდა მოსკოვში. 1929 წელს ე.წ. „ლიტერატურული კოლექტივიზაციის" გაჩაღებასთან დაკავშირებით პასტერნაკთან, პილნიაკთან, ზამიატინთან, ახმატოვთან ერთად დატოვა რუსეთის მწერალთა კავშირის რიგები. რომანების



("თეთრი გვარდია" – 1925-27; „თეატრალური რომანი" – 1936-37; „ოსტატი და მარგარიტა" – 1929-40) და პიესების ("ტურბინების დღეები" – 1926 „უკანასკნელი დღეები" – 1940, „მოლიერი" – 1936) ავტორი. გარდაიცვალა 1940 წელს მოსკოვში.

## 15 მაისი

**1886** – 110 წლის წინ მასაჩუსეტსის შტატის პატარა ქალაქ ამჰერსტში გარდაიცვალა **ემილი დიკინსონი**, ამერიკელი პოეტი. დაიბადა 1830 წელს, დაამთავრა ქალთა კოლეჯი, 1862 წლიდან განმარტოებით ცხოვრობდა მშობლიურ ქალაქში, დაწერილი აქვს 2000-ზე მეტი ლექსი, რომელთაგან სიცოცხლეში მხოლოდ რამდენიმე დაიბეჭდა.



გარდაცვალების შემდეგ პოეტის დამ ლექსებით სავსე ზარდახშა ემილის ძველ მეგობარს, მწერალ ტომას ჰიგინსონს გადასცა, 1890 წელს კი გამომცემლობა „რობერტს ბრაზერს"-მა ემილი დიკინსონის პირველი კრებული გამოსცა.

**1891** – 105 წლის წინ სოფელ ძველ ახაშში დაიბადა **კონსტანტინე გამსახურდია**, ქართველი მწერალი. 1911 წელს დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია.



სწავლა განაგრძო მიუნხენის უნივერსიტეტში, 1919 წელს კი დაამთავრა ბერლინის უნივერსიტეტი და მიიღო ფილოსოფიის მაგისტრის წოდება. იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი 1944 წლიდან. ავტორია რომანების: „დიონისოს ღიმილი" – 1925; „მთვარის მოტაცება" – 1935-36; „დიდოსტატის მარჯვენა" – 1939; „დავით აღმაშენებელი" – 1946-58; „ვაზის ყვავილობა" – 1956; გარდაიცვალა 1975 წელს.

**1911** – 80 წლის წინ ციურიხში დაიბადა **მაქს ფრიში**, შვეიცარელი მწერალი და დრამატურგი. პროფესიით არქიტექტორი. არის მარბურგის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი.



ავტორია რომანების: „Homo Faber" 1937; „შტილერი" 1959; „ვიქნები თუნდაც განტებაინი" 1964.

## 20 მაისი

**1896** – 100 წლის წინ, სოფელ საჭილაოში (სამტრედიასთან) დაიბადა **დემნა შენგელაია**, ქართველი მწერალი. სწავლობდა თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე



შემდეგ პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოლოგიის ფაკულტეტზე. იყო მეორე მსოფლიო ომის მონაწილე. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1969 წლიდან). ავტორი რომანისა „ბათა ქექია" 1933. გარდაიცვალა 1980 წელს.

**1921** – 75 წლის წინ ჰამბურგში დაიბადა **ვოლფგანგ ბორხერტი**, გერმანელი მწერალი. მეორე მსოფლიო ომის დროს ჯარისკაცი იყო, ანტიფაშისტური შეხედულებებისათვის იგი დააპატიმრეს და დახვრეტა მიუსაჯეს, მაგრამ შეიწყალეს და საჯარიმო ბატალიონში გადაიყვანეს. ლექსების, მოთხრობებისა და პიესის ("კარს უკან" 1947) ავტორი. გარდაიცვალა 1947 წელს ბაზელში.

## 23 მაისი



**1891** – 105 წლის წინ ქ. ვექშეში დაიბადა **პერ ლაგერკვისტი**, (სრული სახელი და გვარი პერ ფაბიან ლაგერკვისტი) შვედი მწერალი და დრამატურგი. პირველად გამოქვეყნდა 1912 წელს. ავტორია რომანების: „ჯალათი" – 1933; „სიბილა" – 1956; „პილიგრიმი" - 1960-64 „მარიამნა" – 1967. 1951 წელს რომანისათვის „ბარაბა" (1950) გადაეცა ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში. გარდაიცვალა 1974 წელს.

**1906** – 90 წლის წინ ქ. ხრისტიანიაში გარდაიცვალა **ჰენრიკ იბსენი**, ნორვეგიელი დრამატურგი და პოეტი.



დაიბადა 1828 წელს შიენში, მუშაობდა აფთიაქრის შეგირდად. 1850 წლიდან ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა. დიდი გავლენა მოახდინა XX საუკუნის ლიტერატურის ჩამოყალიბებაზე. ავტორია დრამების: „ბრძოლა ტახტისთვის" – 1864; „ბრანდი" – 1866; „პერ გიუნტი" – 1867; „კეისარი და გალილეველი" – 1873; „მოჩვენებანი" – 1881; „ხალხის მტერი" 1882.

## 26 მაისი

**1976** – 20 წლის წინ შვაბიაში, პატარა ქალაქ მესკირხში გარდაიცვალა **მარტინ ჰაიდეგერი**, გერმანელი ფილოსოფოსი. დაიბადა 1889 წელს მესკირხში, სწავლობდა იეზუიტთა ლიცეუმში, ფრაიბურგის უნივერსიტეტში. სადოქტორო დისერტაცია რიკერტის ხელმძღვანელობით დაიცვა, იყო ჰუსერლის ასისტენტი. 1923-28 წელს იყო მარბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, 1929 წელს კი ფრაიბურგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრის გამგე. 1933 წელს აირჩიეს ამავე უნივერსიტეტის რექტორად. რამდენიმე თვეში მან უარი თქვა რექტორობაზე. ომის შემდეგ ნაცისტებთან თანამშრომლობისათვის აუკრძალეს ლექციების კითხვა. ცხოვრების ბოლო პერიოდი მშობლიურ ქალაქში გაატარა. გადამწყვეტი როლი ითამაშა XX საუკუნის აზროვნების განვითარებაში. მისი თხზულებების სრული კრებული 100 ტომს ითვლის, მასზე დაწერილ წიგნებისა და სტატიების რაოდენობამ კი ათიათასს გადააჭარბა.

**1886** – 110 წლის წინ მოსკოვში დაიბადა **ვლადისლავ ხოდასევიჩი**. რუსი პოეტი, კრიტიკოსი. იბეჭდება 1905 წლიდან.



1922 წელს გაემგზავრა ემიგრაციაში. პოეტური კრებულების ("ხორბლის გზით" – 1920; „მძიმე ლირა" – 1922; „ევროპული ღამე" – 1927), მოგონებების ("ნეკროპოლი" 1939) ავტორი. გარდაიცვალა 1939 წელს პარიზში.

## სარედაქციო ჯგუფი

შადიმან შამანაძე (მთ. რედაქტორი)
თამაზ ვასაძე, ანდრო ბუაჩიძე, რეზო გოგია,
ირმა არჩუაშვილი, ზვიად რატიანი, მალხაზ ხარბედია
თამაზ ჩხაიძე. მამუკა ალთუნაშვილი (კომპიუტერული მომსახურება)

# ვლადიმერ კრიუჩკოვი

# „პირადი საქმე"

დასასრული

დასაწყისი იხ. „კავკასიონი" №83,84

რაღაც უნდა გვეღონა! გადავწყვიტეთ, რჩევა შევკითხა ვალერი ბოლდინისთვის, რომელიც იმ დროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების გამგედ მუშაობდა, ახლოს იყო გორბაჩოვთან და როგორც ეტყობოდა, მწვავედ განიცდიდა ქვეყანაში მიმდინარე ამბებს.

ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა [illegible] გორბაჩოვს და შევთავაზოთ, ერთად კიდევ ზედმიწევნით შეამოწმოს მიღებული ცნობები: საქმე ხომ ქვეყნის, სახელმწიფოს უშიშროების უზენაეს ინტერესებს ეხებოდა. მე არ შემეძლო დამოუკიდებლად გადამედგა შემოწმებითი ხასიათის რაიმე ნაბიჯი, ვინაიდან საქმე ეხებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, ცენტრალური კომიტეტის მდივანს.

ახლაც გუშინდელივით მახსოვს გორბაჩოვთან საუბარი. ვუჩვენე ინფორმაცია — აგენტურული მოხსენებები, გულახდილად გავუზიარე ჩემი ეჭვები, მტკიცედ ვუთხარი, რომ აუცილებელი იყო ინფორმაციების საგულდაგულო და სასწრაფო შემოწმება.

უნდა გენახათ, რა დღეში ჩავარდა. დაიბნა, ადგილს ვერ პოულობდა, თავდაჭერამ უღალატა. ცოტათი რომ დამშვიდდა, მკითხა, რამდენად უტყუარად შეიძლება ჩაითვალოს მიღებული ინფორმაცია.

მე ვუპასუხე, რომ წყარო, რომელმაც იგი მოგვაწოდა, აბსოლუტურად სანდოა, მაგრამ ინფორმაციის ობიექტი იმდენად არაორდინალურია, რომ მთელ მასალას კიდევ ერთი საკონტროლო შემოწმება სჭირდება. ამასთან ვუამბე, რომ საჭირო შემოწმებითი ღონისძიებების განხორციელების არხები და ხერხები ამ კონკრეტულ შემთხვევაში გვაქვს, თანაც ფრიად ეფექტიანი, და მთელი სამუშაო შეგვიძლია სულ მოკლე ვადაში შევასრულოთ.

დიდხანს დუმდა, ბოლთას სცემდა კაბინეტში. მერე კი ანაზდად აღმოხდა: „ნუთუ ეს კოლუმბიის უნივერსიტეტია, ნუთუ ისევ ის ძველი ამბავია?!"

ცოტახნის შემდეგ მიხეილ სერგის ძე დამშვიდდა, ნერვები მოითოკა და როგორც ასეთ შემთხვევებში სჩვეოდა ხოლმე, დაიწყო არა წამოჭრილი პრობლემის გადაწყვეტის გზის ძიება, არამედ იმაზე ფიქრი, თუ როგორ გამდგარიყო გვერდზე. „რა იცი, იქნებ მას შემდეგ იაკოვლევს საერთოდ არც არაფერი გაუკეთებია მათთვის, — ლუღლუღებდა და თვალს არ მაშორებდა, — ხომ დარწმუნდი, ისინი უკმაყოფილონი არიან იაკოვლევის მუშაობით და სწორედ ამიტომ სთხოვენ გააქტიურებას!"

მერე, ასეთი მსჯელობის უაზრობას რომ მიხვდა, კვლავ დიდი ხნით დადუმდა და რაღაცაზე დაძაბული ფიქრობდა. „მაინც, — მომახალა რაღაც შვების გრძნობით, — მიდი და შენ თვითონ მოელაპარაკე იაკოვლევს, აბა ვნახოთ, რას გეტყვის".

გამოგიტყდებით, მოველოდი ყველაფერს, მაგრამ ასეთ შემობრუნებას — არა. გორბაჩოვთან რომ მივდიოდი, უკვე ვიცოდი, რომ იგი ყოველნაირად შეეცდებოდა თავის დაძვრენას, ვერ გაბედავდა რაიმე გადაწყვეტილების მიღებას და შემომთავაზებდა, ცოტა ხანს მოვიცადოთ და ვნახოთ, მერე რა იქნება, დამატებითი ცნობები ხომ არ შემოვაო. მაგრამ რას ვიფიქრებდი, რომ მეტყოდა, მიდი და ყველაფერი „წვრილად ჩაუკაკლეო" თვით იაკოვლევს.

მე ვცდილობდი წინააღმდეგობა გამეწია. ვარწმუნებდი, ასეთი რამ პრაქტიკაში ჯერ არ ყოფილა, ჩვენ ხომ უბრალოდ გავაფრთხილებთ იაკოვლევს და ამით მორჩება ყველაფერი, ჭეშმარიტება კი განზე დაგვრჩება-მეთქი.

გორბაჩოვი დაბნეული მისმენდა, და მივხვდი, რომ გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა. სრულიად ცხადი იყო, რომ ჩემი უარის შემთხვევაში, წავსულიყავი იაკოვლევთან, გორბაჩოვი მას თავად გააფრთხილებდა.

კაბინეტიდან რომ გამოვედი, შევუარე ბოლდინს და დაწვრილებით ვუამბე ჩემი საუბარი გორბაჩოვთან. იგი დაფიქრდა და ცოტა ხნის დუმილის შემდეგ გულისტკივილით მითხრა: „დაანებე თავი, შარში არ გაეხვიო, გორბაჩოვი იაკოვლევთან დაკავშირებით მაინც არაფერს მოიმოქმედებსო".

მე და ბოლდინმა დავთქვით, მოგვეძებნა რაღაც საბაბი და ერთად შევკრებილიყავით სამივენი, შეხვედრის დროს კი ვალერი ივანეს ძე ცოტა ხნით მარტო დამტოვებდა იაკოვლევთან პირისპირ სასაუბროდ.

ასეც ვქენით. როგორც კი მარტო დავრჩით, იაკოვლევს ვუთხარი, რომ მაქვს ერთი უსიამოვნო ინფორმაცია და გადავწყვიტე მისი შინაარსი გაგაცნოთ-მეთქი. მოკლედ ვუამბე ყველაფერი, მერე კი მის რეაქციას დაველოდე. თვალს არ ვაშორებდი.

უნდა ითქვას, რომ აშკარად ნაუხდა საქციელი. დაიბნა, პასუხად ვერაფერს მეუბნებოდა და მხოლოდ ხვნეშოდა.

მეც ვდუმდი. ასე ვისხედით ბოლდინის დაბრუნებამდე, არსებითად სიტყვაც არ გვითქვამს. მივხვდი, რომ იაკოვლევმა უბრალოდ არ იცის, რა მიპასუხოს, როგორც ჩანს, მისთვის მთელი ეს საუბარი სრული მოულოდნელობა იყო. მაშასადამე, გავიფიქრე მე, გორბაჩოვმა გადაწყვიტა, აღარ დააჩქაროს მოვლენები და წინასწარ არ გააფრთხილა თავისი პროტეჟე. ასეთ სიტუაციაში სხვა გამოსავალი აღარ მრჩებოდა. უნდა დავლოდებოდი, რით დამთავრდებოდა ყოველივე ეს.

რა თქმა უნდა, შემდგარი საუბრისა და მისი თავისებურებების შესახებ მაშინვე მოვახსენე გორბაჩოვს. პასუხად — კვლავ სამარისებური დუმილი მივიღე.

გავიდა დღე, კვირა, თვე, იაკოვლევი კი არ აპირებდა ამ თემაზე ლაპარაკის დაწყებას, არც ჩემთან და არც პრეზიდენტთან, თუმცა, მას ყოველდღე ხვდებოდა.

მაშინ ავდექი და ვკითხე მიხეილ სერგის ძეს: რა ვქნათ, ეგებ მოვაწყოთ შემოწმება? მაგრამ გორბაჩოვმა არ დამრთო ნება შემემოწმებინა სიგნალი და მირჩია, ამის ნაცვლად ერთხელ კიდევ გავსაუბრებოდი იაკოვლევს. რა უნდა მექნა, დავემორჩილე.

მივედი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, რაღაც შედარებით უმნიშვნელო საკითხზე შევუარე იაკოვლევს და თან ყასიდად ვკითხე, ხომ არ გილაპარაკია-მეთქი ვინმესთან, კერძოდ, გორბაჩოვთან ჩვენი ამასწინანდელი საუბრის შესახებ. „საკითხი სერიოზულია, — შევნიშნე მე, — ვინ იცის, რა შეიძლება ამას მოჰყვეს". პასუხად მხოლოდ „არა" ამოილუღლუღა.

სსრ კავშირის პრეზიდენტი კი რაღას შვრებოდა? როდესაც მოვახსენე იაკოვლევთან ვიყავი და კიდევ ერთხელ ვესაუბრე-მეთქი, მან კვლავ დუმილით მიპასუხა. ამით დამთავრდა ყველაფერი — სდუმდა გორბაჩოვი, სდუმდა იაკოვლევი, მე კი იმედი მქონდა, რომ პრეზიდენტი ადრე თუ გვიან გონს მოეგება და ბოლოს და ბოლოს ნებას დაგვრთავს მივიღოთ საჭირო ზომები-მეთქი...

ცოტა ხნის შემდეგ ა.იაკოვლევი პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატიდან წავიდა და დაინიშნა პრეზიდენტის კონსულტანტთა ჯგუფის ხელმძღვანელად. მართალია, სსრ კავშირის პრეზიდენტთან შექმნილ უშიშროების საბჭოში, არ ვიცი, რა მიზეზით, იაკოვლევი არ შესულა (თუმცა, 1991 წლის აგვისტოს შემდეგ მისი წევრი გახდა), მაგრამ ამ ახალ პოსტზეც მიუწვდებოდა ხელი სახელმწიფოს ყველა საიდუმლოზე; გორბაჩოვისა და იაკოვლევის ურთიერთობა ოდნავადაც არ შეცვლილა, კვლავ გამოირჩეოდა გულითადობითა და უაღრესი ნდობით...

რაც შეეხება ამერიკის სპეცსამსახურებთან იაკოვლევის შესაძლო თანამშრომლობის „საჩოთირო საკითხს", იგი ჰაერში გამოკიდებული დარჩა, და შემდეგ აღარავინ — არც თვითონ იაკოვლევი და არც გორბაჩოვი — ჩემთან საუბრისას აღარასოდეს აღარ შეხებიან ამ თემას.

III

ალბათ, გახსოვთ, რამდენი სპეკულაციური მსჯელობა გამოიწვია ელცინთან დაკავშირებით 18 აგვისტოს საღამოსა და 19 აგვისტოს დილის ამბებმა! ვითომ, ჯგუფ „ალფას" განზრახული ჰქონდა დაეპატიმრებინა ელცინი, რომელიც „ვნუკოვოს" აეროდრომიდან არხანგელსკოეში მიეშურებოდა და საერთოდ, ალმა-ათიდან მომავალი თვითმფრინავი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს და თავდაცვის სამინისტროს, ვითომდა „ვნუკოვოს" აეროპორტში კი არა, „ჩკალოვოს" სამხედრო აეროდრომზე უნდა დაესვათ და მერე იქ ელცინი დაეპატიმრებინათო. მერე კი, ვითომ 18 აგვისტოს ღამეს ელცინის მოკვლა უნდოდათ აგარაკზე. მეორე ვერსიით, თურმე ელცინი 19 აგვისტოს უნდა დაეპატიმრებინათ და არ დაეშვათ მისი მისვლა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს შენობაში.

19 აგვისტოს დილით ელცინის აგარაკიდან გამომგზავრება და „თეთრ სახლში" მისვლა ისე გაბუქეს, რომ ლამის გმირობად ჩაუთვალეს რუსეთის პრეზიდენტს ეს ნაბიჯი, თანაც ისეთ პირობებში, როდესაც მის სიცოცხლეს ხელყოფდა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი. მრავლად იყო სხვა მონაჩმახებიც.

მიუხედავად იმისა, რომ მოვლენები უარყოფდნენ ამ ჭორებს, ცილისმწამებლური მტკიცებანი და სპეკულაცია მათ ირგვლივ მაინც გრძელდებოდა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი, ელცინის უახლესი გარემოცვა ყოველნაირად იჭაჭებოდნენ, რათა შეექმნათ რუსეთის პრეზიდენტის გმირული ხატი.

გამოძიების დროს პროკურატურის თანამშრომლები წელზე ფეხს იდგამდნენ, რათა როგორმე დაედასტურებინათ ზემოთმოყვანილი ვერსიებიდან თუნდაც ერთი. მაგრამ, ბუნებრივია, არაფერი გამოსდიოდათ.

სინამდვილეში საქმე სულ სხვაგვარად იყო. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომლები 18 აგვისტოს ღამით დაუკავშირდნენ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პირად დაცვას და უთხრეს, რომ დავალებული აქვთ უზრუნველყონ უსაფრთხო პირობები კავშირისა და რუსეთის ხელმძღვანელობის უმაღლესი დონის შეხვედრის მოსაწყობად. ეს დაუფარავად კეთდებოდა, არავის არ ვუმალავდით არაფერს. ბუნებრივია, „გეკაჩეპეც" და უშიშროების კომიტეტიც შიშობდნენ, არ მომხდარიყო პროვოკაცია არასასურველი შედეგებითურთ და ამიტომ დაიჭირეს თადარიგი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. სხვათა შორის, ამაში არ იყო არაფერი უჩვეულო, ვინაიდან ყოველივე სავსებით თავსდებოდა დაცვითი ამოცანების გადასაწყვეტი სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში.

როდესაც ელცინმა გადაწყვიტა რამდენიმე მანქანის თანხლებით წასულიყო თავის სამუშაო ადგილზე, მისთვის არავის შეუშლია ხელი, არავის დაუბრკოლებია. და მისი პირადი უსაფრთხოების არავითარი რისკი არ ყოფილა.

როგორც კი ელცინი არხანგელსკოედან გავიდა და ცხადი გახდა, რომ პავლოვის ავადმყოფობის გამო ელცინთან შეხვედრა არ გაიმართებოდა, უშიშროების კომიტეტის მთელი დაცვა, მათ შორის ჯგუფი „ალფა", მოიხსნა. აი, ეს იყო და ეს, რაც მაშინ მოხდა.

რა თქმა უნდა, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა დაგვეკავებინა ელცინი, გადაგვეყვანა იგი, როგორც ზოგიერთები ამტკიცებენ, სხვაგან, არ ჩამოგვეშვა მოსკოვში და, საერთოდ, გაგვეკეთებინა ყოველივე, რაც მოგვესურვებოდა. მაგრამ ასეთი განზრახვა თავშიც არ მოგვსვლია და ყოველგვარი ჭორები ამის თაობაზე წარმოადგენდა წმინდა წყლის პროვოკაციას, რომლის მიზანი იყო წარმოესახა „გეკაჩეპე" რაღაც ურჩხულად, რომელიც მზად იყო ჩაედინა საზარელი ბოროტმოქმედება, ხოლო ელცინი და მისი დაახლოებული პირები — გმირებად.

მოგვიანებით, უკვე როგორც სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს, ბევრი მკიცხავდა გაუბედაობისთვის, კერძოდ, ელცინის მიმართ. რა მეთქმოდა, ძნელია იმართლო თავი ყოველივე იმის შემდეგ, რაც ჩვენს ქვეყანას დაემართა. მაგრამ განა 1991 წლის აგვისტოში მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილისთვის ცხადი იყო სახელმწიფოს დაცემისა და რღვევის სიღრმე? თვალი მხოლოდ შემდეგ აგვეხილა, ურემი რომ გადაბრუნდა.

„პრავდა როსიი"

18.04.96წ.


„ზოოვეტმომარაგების" რესპუბლიკურ ბაზას და მის ვეტერინარულ აფთიაქებს გააჩნიათ ყველა სახის მაღალეფექტური პრეპარატები. ჩვენთან ვეტპრეპარატები ყველაზე ხელმისაწვდომ ფასებშია, გარანტირებულია ხარისხი. მოგვმართეთ რაიონების ვეტერინარულ აფთიაქებში და „ზოოვეტმომარაგების" რესპუბლიკურ ბაზაში.

მისამართი: ნავთლუღი, მატროსოვის 15, მეტრო „სამგორი".

ტელეფონი: 74-36-62, 74-12-16, 74-02-00



მუდამ

შენ კოკა-კოლა ბოთლის ჯობია

რადიო 106 - პირველი რადიო

"Coca-Cola Planet Live!"

## DR.ALBAN - რადიო 106-ის ეთერში

დაახლოებით ხუთი წლის წინ Alban Nwapa-მ, რომელსაც Dr Alban-ის სახელით იცნობს მსმენელთა ფართო აუდიტორია, დაიწყო მისი მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო, რათა წარმოედგინა თავისი სადებიუტო ჰიტ-სინგლი "Hello Africa". დოქტორ ალბანი ნიგერიაში დაიბადა, იგი ექიმის შვილი იყო. ალბათ, სწორედ აქედან წამოვიდა მისი [illegible]. ბავშვობისას იგი ხშირად მოგზაურობდა მამასთან ერთად შვედეთში, სადაც ბიძამისი ცხოვრობდა. 23 წლის ასაკში იგი საცხოვრებლად ბიძასთან გადავიდა, თანაც, მიზნად დანტისტობის შესწავლაც ჰქონდა დასახული.

ღამე, დოქტორ ალბანი სტოკჰოლმის ერთ-ერთ ცნობილ კლუბში დი-ჯეის მოვალეობას ასრულებდა. სწავლის დამთავრების შემდგომ მან მცირე კლინიკა გახსნა და პროფესიით მუშაობდა. ცდილობდა, ყველა გაჭირვებულს დახმარებოდა, თუმცა, მალე მოუწია სამუშაოს მიტოვება, ვინაიდან, მისი გულისხმიერების გამო, ბევრი სადაზღვევო კომპანია გადაიმტერა და კლინიკაში აღარ დაედგომებოდა. და სწორედ აქ დაიწყო მისი მუსიკალური კარიერა: მან გადაწყვიტა, მთელი ცხოვრება მუსიკისთვის მიეძღვნა. იგი Fela Kuti-სა და James Brown-ის სიმღერებზე გაიზარდა. სწორედ მათმა ზეგავლენამ აღძრა დოქტორ ალბანს, რომ მუსიკა და სიმღერა იყო მისი მოწოდება, მისი ცხოვრების ძირითადი ბილიკი.

80-იანი წლების ბოლოს დოქტორ ალბანმა შეიამხანაგა Denniz Pop და Leila K. სულ მცირე ხანში მათ უკვე მოახერხეს პირველი ჩანაწერის გაკეთება. ეს, მათი სადებიუტო ჰიტი „Hello Africa" გახლდათ. იგი დოქტორ ალბანის სამშობლოს,ნიგერიას მიეძღვნა. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში: გერმანიაში, ავსტრიაში, შვეიცარიაში, შვედეთში, თურქეთში, ფილიპინებზე, მალაიზიაში [illegible] მეტი ჩანაწერი გაიყიდა. ალბომმა დიდი პოპულარობა მოუტანა დოქტორ ალბანს. [illegible] „No Coke" და ყველასთვის კარგად ცნობილი „It's My Life". ახლა უკვე ყველა იცნობდა დოქტორ ალბანს. და არა მხოლოდ მისი თაყვანისმცემლები, არამედ თითქმის ყველა [illegible], ვინაიდან მისი სიმღერები კარგად [illegible], რომელთა მიერ გაშუქებულ თემებსაც სიმღერები ზუსტად ესადაგებოდა.

შემდგომ ჩაიწერა ალბომი „One Love". ეს ჩანაწერი Bob Marley-ს კვალს ატარებდა. იგი მსოფლიოში ძალადობის აღმოფხვრასა და ხალხთა ერთობას მიეძღვნა.

შემდგომ ჩაიწერა დოქტორ ალბანის მესამე ალბომი „Look Who's Talking", რომლის 4 მილიონზე მეტი ეგზემპლარი გაიყიდა მთელს მსოფლიოში და რომელმაც 60-ზე მეტი ჯილდო დაიმსახურა.

სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტ ნელსონ მანდელასთან შეხვედრის შემდგომ კი Dr.Alban ისევ სამშობლოს თემას მიუბრუნდა. ეს თვალნათლივ გამოჩნდა ისეთ სიმღერებში, როგორიცაა „This Time I'm Free" და ალბომში „Born In Africa", რომელსაც Dr.Alban [illegible] უკეთებს: „ყოველთვის [illegible], არა აქვს მნიშვნელობა, რა წარმატებებს მიაღწევს ადამიანი ცხოვრებაში, ან რამდენად შორსაა იგი სამშობლოდან. მან არ უნდა დაივიწყოს ფესვები, სათავე მისი ცხოვრებისა. მე ბევრს ვმღერი აფრიკის კონტინენტის პრობლემებსა და პოლიტიკურ არასტაბილურობაზე, ვინაიდან ძლიერ მაწუხებს ეს ფაქტი. ეს არის ჩემი გზა, ჩემი შანსი, მსოფლიოს ყურადღება გავამახვილო აფრიკის მიმდინარე მოვლენებზე და ამით შევაშველო სამშობლოს ხელი".

## რუსლან მიქაბერიძე

# ია 96



### გურია



— აი რაია?
— აი იაა!
— ია რაია?
— ია იია!
— იღ რაია?
— ია იია!
— აია ii ii თუა,
კოლი[illegible]ერი ii თუა,
მაგაზე ფიქრს თუ აყევი,
დაგესიმება ტარაბუა;
ყველა დეპუტატი გახთა,
რაც აბდალი ცრუ და ყრუა,
ვინც მევიდა სათავეში,
იგიც ტყუა, აგიც ტყუა:
„დენი მუა, ნაფთი მუა,
აი მუა, ii მუა",
დემეთხუე, თუ კაცი ხარ,
ისთე რავარც „სეფე მუა".
ხოდა „ვიყოთ ერთხანს ძამა"
ია უა, ია უა.

### სვანეთი

— რა კამკამა ჰაერია,
რა ხასხასა სათიბია,
რა ქალია აუ! ია.
არა მზეა, მზეა ქვია,
ეგ [illegible] მთამსვლელია.
მე ყვავილზე გეუბნები,
თანაც ნახე რამდენია.
— [illegible]გი, ბიჭო, ნუ გაგიჟდი,
ვაჟკაცი რამ გადაგრია.
შენ დღეს ჩემი სტუმარი ხარ
და [illegible] ნუ მჭრი, სირცხვილია.



ამოწიე ზევით ცხვირი,
ბუჩქებში რომ ჩაგიყვია.
ისე ხარობ, თითქოს ნახე
ერთი ვედრა „ტეტეს" ტყვია.
აიხედე, ეს ევროპის
უმაღლესი სოფელია.
იმის ზევით მუდამ თოვლი,
თოვლში ედელვაისია.
უფრო ზევით თვითმფრინავი
(თვეში თითო რეისია).
ეს დიდი კოშკი ჩემია,
ის პატარა, ამისია.
იმ კლდეებში ჯიხვებია
რა რქებია, რა ხორცია;
ამ ზამთარში მაგ საწყლებმა
თავი ბლომად გვახოცია.
ეს ბაბუას ხანჯალია
(ულელ ხარში გაუცვლია),
მერე თავის მოსისხლისთვის
ამით თავი წაუცლია.
აბა შევსვათ და დავცალოთ
ვისაც ჯერ არ დაუცლია,
ვსვამ და ვფიქრობ გამწარებით,
ვილაცას ხომ ავალია,
რომ გლეხისთვის აღარც გასვლა,
აღარც შემოსავალია.
რატომ არვის ეკითხება,
არც არავის აბრალია,
ფქვილისგან და მარილისგან
სახლები რომ გაუცლია
(უპატრონო სვანეთს დღემდე)
კიდევ კარგად გაუძლია).
რა ღარიბი სუფრებია,
რა ლამაზი ქებია,
პური ცოტა, უხვად მარტო
ავტომატის ტყვიებია.

### სამეგრელო



— ეს რა არის, ჯიმალია?
— რა არის და არის ია.
— ხოო! რას ამბობ, რა გვარია?
— მაგი არის ია ია.
არის კიდო ზარანდია,
[illegible] და [illegible],
ჯანორია, [illegible],
ფიფია და [illegible];
შიგადაშიგ ლამ-ლამობით
„აკაემის" კაკანია.
ხან სიბრაზით, ხან სიცივით,
ხანაც შიშით კანკალია.
ცოტა კი გადავილალეთ,
რაც მართალი მართალია,
ყინვაგამძლე ჯიში გავხდით
მერამდენე ზამთარია.
და მაინც რომ მტრის ჯინაზე
ხვანხვალი და სხმარტალია,
ეს იმისი ნიშანია
რომ მეგრელი, მახარია,
პიმპილის და გაჭირვების
ნამეტანი ამტანია.
ცაიში და ლებარდე გვაქვს,
შევარცხვინე ანტალია!
მაგაზე კარგს ავაშენებთ
(თუ არ მოხდა ბატალია).
კოტეჯები დავანგრიეთ,
მაგრამ დაგვრჩა ანაკლია.
მოკლედ, კუთხეს პატრონს გარდა
არაფერი არ აკლია.
რადგან ამ ჩვენს პლანეტაზე
რაც კი კარგი არის ია,
რაც კი საინტერესოა,
თავი სულ აქ მოუყრია.
ხოდა კიდო, სხვათაშორის,
ისიც დამტკიცებულია,
ვინც ძალიან ჭკვიანია,
ვინც ძალიან ლამაზია,
წარმოშობით, მაგალითად,
მეგრელია ან ლაზია.

### იმერეთი



— ეგი რაა, ბიჭიკია?
— რაი და უი! ია.
— უი შენ და... თვარა ახლა
მაგიც არი მაგნოლია.
— მაგნოლია თავს ატკივებს.
ეგი ტობე ყვავილია.
— მე ყვავილი ვარდი ვიცი,
ვარდთან, სიმონ, მაგ ნოლია.
— შენ გადამრევ თუ გადამრევ,
ვარდი სიმონ რა შვაშია?
ვარდობისთვე მაისია.
ეგი კიდო ადრე მოდის,
შე ცალტვინა ჰიჭიკია.
ის კი არა, შე არიფო,
მსოფლიოში რაც კაია,
ვისაც დიდი მაყუთი აქ,
ვინც მხეცი და მაგარია,
დააკვირდი, შე გოიმო,
რავა ია ურევია:
დანია და ჰოლანდია,
ბელგია და ნორვეგია,
ისლანდია, შოტლანდია,
ავსტრია და ბავარია
(ანდა თვალებმოჭუტული
თლა ტვინი, იაპონია).
დაფსხრიკული კია მარა,
ტეხნიკურად რავარია!
ხალხი იმით კი არ ფასობს,
ვინ ცოტა და ვინ ბევრია:
რუსეთს ია რო აკლია,
ქეც მიტოა იმპერია.
აპა, ბიჭო, ჩვენ რა გვიჭირს,
თასი ხელში გვიკავია.
რას იცინი, შე დაბდურო,
ხო ვართ სიმონ, ივერია!
შიგნით კიდე რასაც ნახავ
იგი ხო თლათ ზღაპარია:
სალორია, საფიჩხია,
სათაფლია, სამტრედია,
თელი ძველი ისტორია
აია და კუტაია.
ია ჩვენი პასპორტია,
ია ჩვენი სახელია,
მიწაში და მიწის ზევით
რაც ნედლია და ხმელია,
კიდო რაცხას მოვყვებოდი,
მარა მბრიდავს „პახმელია".

### მთა



თუ აგრე შავიცვლებოდით
სულ არ მეგონა იაო.
კაცობა დაჭკნა, აყვავდა
ჩარჩობა, კორუფციაო.
ნეტა ერთბაშად ჩვენ ჯილაგს
ტვინი რამ მოუქციაო,
სუყველა ყიდვა-გაყიდვის
ხურვებას მოუცვიაო.
ჩვენ რა ვქნათ, საკომერციო
არც არა გვაბადიაო.
აქ მხოლოდ თავზე საყრელი
წყალი და ქანგბადიაო.
როგორი მოსასმენია
ბალღი რო გეტყვის, მშიაო.
ზოგი ყაჩაღობს და ზოგიც
დარდისგან „კაეფშიაო".
კომისიები შაჰყარეს,
ბევრიც ქვეკომისიაო.
გაქცეულ-დარჩენილების
დაბლაჯნეს ასი სიაო.
ზოგმა თქვა, დავიღუპეთო,
ზოგმა თქვა, არც ისეაო.
და თუ ჩვენ ხელისუფლებას
დროზე არ მოუცლიაო,
ის ხალხიც როცა გაწყდება,
შენ შემოგევლე, იაო.
ვისაც ჯერ კიდევ აქედან
ფეხი არ მოუცვლიაო,
სასხვისო მიწა გახდება,
დღეს რომ საჩვენო ჰქვიაო.
ვის აღარ შავემუდარეთ,
იქ, ზევით, ვინც დიდიაო,
საშველი მაინც არა სჩანს,
არც გზაა, არც ხიდიაო.
მთის ბედი სადაც ეკიდა,
ჯერ ისევ იქ ჰკიდიაო.

### კახეთი



— ე, რა არი?
— ია არი.
თავითვინა ბუჩქთან გდია;
ამაი გაზი არ ჰირდება,
არც ელექტროენერგია.
— ეხლა ყველა ეგრე გდია.
ია! ია? გამიგია!
მაინც რაო, რა მინდაო?
მაგაი რა უნდა უნდოდეი,
ერთი მიწი ყვაილია.
— მერე რა რო ყვაილია:
— აბა რავი, კაი კია.
— კაი თუა, გაუმარჯოი!
თითოც ხო არ დაგველია?!

(..)ქ, უცხოეთში

# გერმანიაში ლაპარაკობენ...



...მწვანე თვალები, წითელი, გაბუტული ...ულები და შესანიშნავი სხეული. მისი ... მკერდი — 86, წელი — 61, თეძო — ... ასეთია იულია ვალეტი, ოცი წლის ... მოდელი, რომელიც თვალებს ამერი... და კონკურენციას უწევს კლაუდია შიფერს. ...ცნილმა ფოტოგრაფმა მათეუ როლსტონ... ...ებით ჯინსის რეკლამა შექმნა. №BC-... ფოტოები გადაიღო ამ ლამაზი ჰამბუ... თავად იულია კი ამბობს: „ამ პრესტიჟუ... შემდეგ, ალბათ, ბოლოს და ბოლოს ... ჩემთვის შესაფერის საქმიანობასო".

იქ, უცხოეთში

# ერთ ფილმში ოთხი ქუინი

ენტონი, ფრანჩესკო, ლორენცო, დენი... რომ არა ერთი პრობლემა, არაფერი იქნებოდა განსაკუთრებული იმაში, რომ მსოფლიო ვარსკვლავმა თავის ვაჟიშვილებთან ერთად გადაწყვიტა ფილმში მონაწილეობის მიღება...

ბედნიერი საოჯახო სურათი — მამა და ვაჟიშვილები. რომელი მოხუცი მამა არ ინატრებდა იგივეს? „აბა, შემომხედეთ", — ამბობს ენტონი ქუინის გამომეტყველება, — „ესენი ჩემი ბიჭები არიან, მე კი ვამაყობ მათით!"

ენტონი ქუინი ხელებით 32 წლის ფრანჩესკოს მხრებს ეყრდნობა. მისგან მარცხნივ 31 წლის დენი, მარჯვნივ კი 30 წლის ლორენცო, მამას ყველაზე საყვარელი ბიჭი დგას. ბიჭები უღიმიან ფოტოაპარატს.

80 წლის მამა თავის სამ ვაჟიშვილთან ერთად ფილმში გადაღებას აპირებს — რომელი მოხუცი მსახიობი არ მოისურვებდა იმავეს...

მაგრამ სურათი ყოველთვის არ ასახავს ხოლმე მთელ ისტორიას. იდილიის მიღმა ოჯახური დრამა იმალება. სამივე ვაჟიშვილი გულგატეხილია მოხუც მამაზე. თითქმის ოცდათოთხმეტი წელიწადია, რაც ენტონი მათი დედის, იოლანდას მეუღლეა. მაგრამ ენტონიმ რამდენიმე წლის წინ თავისზე 34 წლით ახალგაზრდა საყვარელი — კეიტ ბეივინი გაიჩინა. კეიტი კი ახლა მისგან მისთვის მეორე, ენტონისთვის მეცამეტე ბავშვს ელოდება. სურათზე გამოსახული სამი ვაჟიშვილი სულაც არ იზიარებს მამის ახალ ბედნიერებას. მათ ერთ დროს აღარც კი სურდათ, რაიმე საერთო ჰქონოდათ მასთან. მაგრამ ფილმის პროექტმა ყველაფერი გამოასწორა.

ენტონი ქუინი (300 ფილმი, ორი ოსკარი) ამბობს, რომ „ეს ჩემი ალბათ ბოლო, მაგრამ, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი ფილმი იქნებაო". იგი დიდ იმედებს ამყარებს შვილებთან ერთად მუშაობაზე. გადაღებები ამერიკაში, თებერვალში დაიწყო. ენტონი ქუინი მაფიის ყოფილი ბოსის როლს თამაშობს, რომელიც მოულოდნელად განუდგება ბოროტებას და ახლა ცდილობს თავისი შვილებიც გამოასწოროს, სიკეთის გზაზე დააყენოს.

ეს ფილმში. ცხოვრებაში კი თუკი ვინმემ ვინმე უნდა გამოასწოროს, ალბათ, ვაჟიშვილებმა უნდა დაარიგონ ჭკუა თავიანთ „მაგარ ბიჭ" მამიკოს. მაგრამ მისი შეცვლა უკვე ძალიან გვიანაა. გამოუსწორებელი ენტონი ქუინი თავისას სიცოცხლის ბოლო დღეებშიც არ მოიშლის.



მოამზადა
ნათია შანჯიკიძე

## „ოქროს არწივი"

(..)ჯა ხალვაში —

# «მეც მინდა დიალოგი გავმართო თქვენთან»

...რომ ფესტივალ „ოქროს არწივის" ჩატა... კეთდება. ისიც მიხარია, რომ ამ საქმეს ... გოჩა აბაშიძე და ლაშა იმედაშვილი, ჩემი ... ხუდგნენ სათავეში, ცხადია, მთავრობისა ... ხელმძღვანელობის დიდი მხარდაჭე... ფესტივალი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ... მაყურებლის ქართულ კინოსთან დაბრუნების ... განვლავთ ზეიმი და ამ ზეიმზე ჩვენ, რეჟისო... ნამუშევრებს „გამოფენაზე" გამოვიტანთ. ... ჩვენგანი პასუხისმგებელია იმაზე, რაც ...რავითარი შელავათები, ხელოვნებაში შე... არსებობს. ადრე მეგონა, ქართული კინოს ... იმდენად ყალბი, თეატრალური იყო, რომ ... ფილმებით, მაყურებელს უბრალო ენით ვერ ... ახლა თაობა მოვიდა, რომელიც სხვა ... ფილმის კითხვას და სურს გაიგოს, რა ... მოახდენს მათი ფილმები მაყურებელზე ... ლევ ტოლსტოი ამბობდა, ხელოვ... შორის დიალოგიაო. მეც მინდა გავმართო ... თქვენთან — მაყურებელთან.

... ქართულ კინოფესტივალში მონაწილეობა ... პრესტიჟული იყო. „ოქროს არწივის" ... ფესტივალის სპეციალური პრიზი თეატრალუ... დააწესა და ჩემს ფილმს ხვდა წილად; ... ჩემი ბუნებისთვის ცოტა უცხო იყო. როცა ... ფესტივალებზე მოვხვდი, მივხვდი — ყველა ფეს... ფილმის შეფასების სხვადასხვა კრიტერიუმი აქვს, ... ნიშნავს, რომ სხვა სურათები გამარჯვებულ ... არ არის თავისი მხატვრული, აზროვ... სიღრმეებით. „ოქროს არწივს" თავისი ... ქართული კრიტერიუმები აღმოაჩნდა ... კრიტერიუმებით ჩემი ფილმში შენიშნეს, რაც ჩემთვის ... იყო. ბედნიერი ვარ, რომ იმ სიაში, იმ ... მოვხვდი, რომელიც „ოქროს არწივის" ... გახსოვთ, ალბათ, მაშინ თემურ ბაბლუანის, ... პაატა მილორავას ფილმებმა გაი...

...ლმა ფილმმა, ფესტივალის შემდეგ, ფა... ვერ მიაღწია — ასლები ვერ დავ... ასევე მოულოდნელი იყო უცხოეთის ... ყურადღება, რამდენიმე ფესტივალის პრი...

...ბით აჭარიდან ვარ; ეს გამარჯვება იქ, ჩემს ... პრესტიჟული იყო ჩემთვის.

... ტიმისტია — სამომავლოდ ეს ფესტივა... გახდება, უფრო საინტერესო ხალხი ... ქართული კინომრეწველობა, ... გამოისწორებს ფინანსურ მდგომარე... შეუძლია მოიზიდოს ის ხალხი, ვისაც ... ხელი, იქნებ დაარწმუნოს ისინი, ... კინოში ფულის ჩადება ნამდვილად ღირს. ... ვთქვა, რომ ჩვენი ფილმები არაფრით ჩამოუვარდება ნებისმიერ ქვეყანაში გამართულ ფესტივალზე ნაჩვენებ ფილმებს.

წელს ფესტივალზე ახალი ფილმით წარვდგები, რომლის სათაურია „მიზერერე". „მიზერერე" ლათინური სიტყვაა და „შემიწყალეს" ნიშნავს. იგი ცნობილი მუსიკალური ნაწარმოების სათაურია და ერთ-ერთი ფსალმუნის ტექსტიდან ამოღებული პირველი ფრაზაა. ლუჩიანო პავაროტიც მღერის „მიზერერეს". ფილმში მთავარ როლს ზურაბ სტურუა თამაშობს. ეს არ არის გასართობი ფილმი. ჩვენს დროში რეჟისორმა დიდი-დიდი 10 ფილმის გადაღება შეძლოს, ამიტომ, გინდა მოასწრო „რაღაცის" თქმა. ფილმში დღევანდელობაა ასახული. სცენარის ავტორები მე და ლაშა იმედაშვილი ვართ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს ფილმი ჩვენს ქალაქში მოსულ, ან ჩვენს სულებში ჩასახლებულ სატანაზეა, რომელმაც ერთმანეთს გადაგვკიდა. იგი დიდი ხნით დასახლდა ჩვენთან თუ ჩვენში, რადგან ვერ მივხვდით, რომ ჩვენვე შემოვუშვით იგი, გასაქანი მივეცით, დავამკვიდრეთ ჩვენში. დაახლოებით ასეთი სურათი გამოვიდა, არ ვიცი, რამდენად ორიგინალური ვარ — თითქოს, ეს ბოროტება ბოროტებაც არ არის, თითქოს მისი ბაგენი სიმართლეს ლაღადებენ, ოღონდ — სხვა კონტექსტში.

სამომავლოდ სიყვარულზე, ქალებზე, გაზაფხულზე მინდა ფილმის გადაღება. დრო მიდის, ვბერდებით, რაღაც მინდა მოვასწრო. თუ კინოს გადაღება უნდა, კაცს არ უნდა იწუწუნოს; თუ მოინდომებს — ფულსაც იშოვის, გადასაღებ აპარატურასაც. მართალია, აპარატურამ შეიძლება ცუდად იმუშაოს, მაგრამ რა უშავს, ჩავასხამთ ზეთს და იმუშავებს... მერე წავალთ პარიზში და იქ ტაშს დაგვიკრავენ...

–„ოქროს არწივს" ვუსურვებ, გაუძლოს, არ შეშინდეს და თავისი საქმე აკეთოს. ბოლო დროს ერთი ასეთი ფრაზა ამეკვიატა — ეშინიათ წაგების და აგებენ; ეშინიათ უბედურების და უბედურდებიან; ეშინიათ სიკვდილის და კვდებიან; არ ეშინიათ ბედნიერების და იმიტომ არ არიან ბედნიერები.

გიო მგელაძე —

# «მე მიყვარს კინო»

1993 წელს გიო მგელაძის ფილმმა „არა, მეგობარო" ფესტივალზე „ოქროს არწივის" პრიზთან ერთად, საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმისთვის საშა იოხელიანის და გიორგი რევიშვილის სახელობის პრიზებიც მიიღო.

შემდეგ ორ წელს გიო თვითონ გადასცემდა პრიზებს — „ქართულ კინემატოგრაფიაში მოღვაწეობის უდიდესი ღვაწლისთვის".

„ — 1993 წელს ფესტივალ „ოქროს არწივის" საღამო სოხუმის დაცემის დღეს დაემთხვა. ეს ვიცოდი და ძალიან ვწუხდი. ბევრი ჩემი მეგობარი და ქართველი კაცი იყო საომრად წასული. იმდენად დამძიმებული ვიყავი, რომ არ მახსოვს, რას განვიცდიდი, როგორ ავედი სცენაზე, როგორ გადმომცეს პრიზები. მეხსიერებიდან თითქმის ამომივარდა ყველაფერი. ეს მერე აღვიდგინე, როცა ტელევიზიით ვნახე გადაცემა. ერთს ვიტყვი მაინც, ეს იყო ჩემი პირველი გამარჯვება და ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანიც.




რაც შეეხება ფესტივალის ჩატარების დონეს, იგი, ჩემი აზრით, ფინანსებზეა დამოკიდებული. მიუხედავად ამისა, მინდა ფესტივალს ვუსურვო, მინიმალური დაფინანსების დროსაც ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება, და კიდევ — უფრო ორიგინალური იყოს, ვიდრე წინა წლებში. ამ პირობებში კი, ფესტივალის ჩატარების იდეა თავისთავად არაჩვეულებრივია.

ჩემთვის უცნაურია ერთი ფაქტი: ბოლო ხუთი წლის განმავლობაში რიცხობრივად და, თქვენ წარმოიდგინეთ, ხარისხობრივადაც ყველაზე მეტი ფილმი საქართველოშია გადაღებული. ყურადღება მინდა შევაჩერო ნიჭიერი ახალგაზრდა რეჟისორების — გოგა ხაინდრავასა და ლევან ანჯაფარიძის ფილმებზე, რომლებიც, სამწუხაროდ, ჯერ დაუმთავრებელია და „ოქროს არწივზე" მონაწილეობას ვერ მიიღებენ. ეს ფილმები იმდენად მნიშვნელოვანია და საინტერესო, რომ თავს მათი შეფასების უფლებას ვერ მივცემ. გოგა ხაინდრავას ფილმი აფხაზეთის ფრონტის ხაზს ეხება. თავისი ფილოსოფიით ასეთი ფილმი ომის თემაზე არ მინახავს. ლევან ანჯაფარიძე ფილმს სამი წლის განმავლობაში დიდი გაჭირვებით და წვალებით იღებდა. ჩემი აზრით, ისეთი ფილმი გამოუვიდა, რომ სამჯერ მეტ დრო რომ დასჭირვებოდა, ღირდა მასზე მუშაობა.

ვაგრძელებ მოკლემეტრაჟიანი ფილმების გადაღებას. იგი მარტო ფინანსებზე არ არის დამოკიდებული. კარგია, როცა 10-15 წუთში შენს სათქმელს მოკლედ ამბობ. მთავარია, „ათიანში გაარტყა", თქვა ის, რასაც სხვა საათნახევარში ამბობს.

წელს „ოქროს არწივის" ფესტივალზე ჩემი ფილმით წარვსდგები. ფილმის სახელწოდებაა „ატუ-ალაბა". იგი ორნაწილიანია. მთავარ როლებს ნანიკო ხაზარაძე, გიორგი ნაკაშიძე და აბდულ-ალაბა ასრულებენ. კომპოზიტორი და სიმღერების შემსრულებელი ნიაზ დიასამიძეა. სიმღერების ტექსტის ავტორი კოტე ყუბანეიშვილია. ფილმი მთლიანად სიმღერების ფონზე მიდის. ფილმში ყოფნა-არყოფნის პრობლემაა დაყენებული.

ფილმის გადაღება დიდი ხანია დავამთავრე. მერე უამრავი პრობლემა მქონდა მოსაგვარებელი, ამიტომ ორი თვის წინ მოვრჩი ფილმზე მუშაობას.

სამომავლო გეგმებს რაც შეეხება: ვამთავრებ ახალი მოკლემეტრაჟიანი ფილმის გადაღებას. სცენარის ავტორია კოტე ჩლაიძე. ჩვენ ერთად ვმუშაობთ. გადაღების პროცესი დასასრულს უახლოვდება. მისი სავარაუდო სათაურია — „დუელი". ფილმის მთავარი თემა დღევანდელობაა, მაგრამ ეს დღევანდელობა შეიძლება ყოფილიყო გუშინ, შეიძლება იყოს ხვალ. როგორც კი ამ ფილმს დავამთავრებ, დავიწყებ მუშაობას რეზიკო თაბუკაშვილის ნოველების მიხედვით გაკეთებულ სცენარზე სათაურით — „არ გაქცევა". ფილმი ომის თემას ეხება, ოღონდ, ისე, როგორც მე ვხედავ მას.

გაგიკვირდებათ, როგორ ვახერხებ ამ პირობებში ასე ჩქარა ფილმის გადაღებას. დაფინანსება, პრინციპში, სახელმწიფო დოტაციიდან მინიმალურია. ჩემს გვერდით არიან კინოზე შეყვარებული ადამიანები და ოპტიმალურ ვარიანტს ვპოულობთ.

– მე მიყვარს კინო. რაც თავი მახსოვს, კინოსთან მაქვს ურთიერთობა. მივხვდი, რომ კინოს გარეშე ვეღარ გავძლებ. ქართველმა კინორეჟისორებმა ისეთ პირობებში მოვახერხეთ ფილმის გადაღება, რომ დღეს, რაც არ უნდა მოხდეს, მაინც გავაგრძელებთ მუშაობას.

როგორც ადრე, წელსაც მინდა, რომ „ოქროს არწივი" სადღესასწაულო იყოს და, რაც მთავარია, იყოს ბევრი ქართული ფილმის ნახვის საშუალება. ეს არის მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი. ქართული კინო არა მხოლოდ აგრძელებს ცხოვრებას, არამედ თავისი ამაღლების პერიოდს განიცდის".

ესაუბრა
მაია ჯიშიანი

**ხარისხიანად, ნახევარ საათში!**

*საკონტაქტო ბარათები*

გაზეთ „კავკასიონის“ კომპიუტერული ცენტრი თქვენი ემსახურება

*მობრძანდით:*

პეტრიაშვილის 7,
ტელ.: 29-48-05

## ვაქირავებ

მეტრო „ვარკეთილთან“ ერთ გაჩერებაში 2-ოთახიან ბინას, მე-13 სართულზე. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 72-25-26.

- ოთხნახევრიან ბინას სამტრედიის ქუჩაზე ჩეხური პროექტის 9-სართულიანი სახლის პირველ სართულზე. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 34-45-15.
- ოთახნახევრიან იზოლირებულ ბინას რკინის კარით, მცირე ავეჯით. დიდ დიღომში (16-სართულიანი სახლის მე-12 სართულზე), ფასი 60 ლარი. ტელ.: 38-64-69, 51-53-29.
- ერთოთახიან იზოლირებულ ბინას, ავეჯით, ტელეფონით. ვაჟა-ფშაველას მეორე კვარტალი. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 96-72-60.
- ზედა წყნეთში ორსართულიან სახლს ორი ოთახით. გარემონტებული. 400 კვ.მ. ხეხილის ბაღით. ტელ.: დილით 93-66-63, საღამოს 37-26-33.
- ოროთახიან ტელეფონიან სუფთა ბინას ლოჯით, ნაწილობრივი ავეჯით, მაღალ ბელეტაჟზე, გისოსებით, რკინის კარებით, რესპუბლიკური საავადმყოფოს მოედანთან, (მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტი“) ფასი 200 დოლარი. ტელ.: 37-23-78.
- ოროთახიან ბინას ხილიანზე. ტელ.: 36-05-02 ან 99-04-11, ფასი შეთანხმებით.
- ოროთახიან იზოლირებულ არასტანდარტულ ბინას ლოჯით, ტელეფონით, მაცივრით, მეტრო „მარჯანიშვილთან“. ტელ.: 93-49-81.

## იყიდება



- ვაკეში არასტანდარტული იზოლირებული ოროთახიანი ბინა, სარდაფით, ჭავჭავაძის პროსპექტზე № 30-ში (სულხან-საბა ორბელიანის სახ. ინსტიტუტის გვერდით), პირველ სართულზე. ბინა მდებარეობს კორპუსების ეზოში, ცალკე. ფასი 8000 დოლარი. ტელ.: 36-27-07, 36-37-64 (დარეკეთ მთელი დღის განმავლობაში, იკითხეთ დათო ან ლუდა).
- სასწრაფოდ ოთხოთახიანი ბინა შანიძის ქ.№ 16-ში (ყოფილი კალანდაძის ქუჩა), ორი სარდაფით. ფასი 42000 ლარი. ტელ.: 29-31-88, იკითხეთ მაკა.
- სამოთახიანი კერძო სახლი ეზოთი ვეძისში. ფასი 17000 ლარი. ტელ.: 38-49-24.
- ოროთახიანი მაღალჭერიანი ბინა ორსართულიანი სახლის მეორე სართულზე, ფართობი 68 კვ.მ., ცაბაძის (ყოფილი ტელმანის) ქუჩაზე. ტელ.: 61-58-67 ან 98-22-89.
- ან იცვლება ერთოთახიან ბინაზე სახლი დუშეთის რაიონში, ქოფელ ახატანში, თბილისიდან 30 კმ-ის დაშორებით. სახლის ფართობი 10 კვ.მ., ეზოს ფართობი 1000 კვ.მ., ფასი შეთანხმებით. ტელ.: 61-77-47.
- სასწრაფოდ, ოთხოთახიანი ბინა შანიძის ქ. № 16-ში (ყოფილი კალანდაძის ქუჩა), საერთო ფართით 125 კვ.მ. ორი სარდაფით. ტელ.: 29-31-88, იკითხეთ მაკა.
- ერთოთახიანი ბინა ყაზბეგის ქუჩაზე. ფასი შეთანხმებით, ტელ.: 39-16-56, იკითხეთ ციცო.

## ვიყიდი

- კომპაქტურ (პატარა) მექანიკურ საბეჭდ მანქანას ქართული შრიფტით. შეღავათიან ფასებში. ტელ.: 51-53-29.
- მუშა მდგომარეობაში მყოფ ავტომანქანას 500 ლარის ფარგლებში. ტელ.: 61-33-46. იკითხეთ ლორინა.
- ერთოთახიან ბინას საბურთალოზე, მეტროსთან ახლოს, 11000 ლარის ფარგლებში. პირველ და ბოლო სართულებს ნუ შემომთავაზებთ. ტელ.: 38-18-06, ლია.
- როიალს. ტელ.: 22-46-49.
- ერთოთახიან ბინას დიღმის მასივში. ტელ.: 51-21-90, 51-25-01, იკითხეთ რუსიკო ან გია.
- 2-ოთახიან სუფთა ბინას საბურთალოზე 17 ათასი დოლარის ფარგლებში. ტელ.: 39-84-23.

## სხვადასხვა

- ვყიდი კომპაქტურ ულტრაიისფერი სხივების რეფლექტორს ლურჯი ნათურით. ოჯახის პირობებში სამკურნალოდ. ტელ.: 51-53-29.
- ვყიდი ისლამურ საღმრთო წიგნს „ყურანი“, რუსულ ენაზე XIX საუკუნის გამოცემა. კარგ მდგომარეობაში. ფასი 100 ლარი. ტელ.: 51-53-29.
- ვყიდი „ქართულ მსოფლიო ლიტერატურას“ — 48 ტომი, „აკ. წერეთლის რჩეულ ნაწარმოებებს“ — 5 ტომი. მაინ რიდის — თხზულებანი (ქართულად) 8 ტომი, ჯამირეჯიბის „დათა თუთაშხია“. ფასები შეთანხმებით. ტელ.: 98-77-25, იკითხეთ ლუბა.
- ვასწავლი გობელენის ქსოვას. ვიღებ შეკვეთებსაც. ტელ.: 74-62-63.
- ვყიდი ავეჯს, კედელს სამეულთან ერთად. რუმინული, ხის, ჩუქურთმებიანი, კარგ მდგომარეობაში, ფასი 3000 დოლარი. ტელ.: 34-48-03, ლანა.
- მოვუვლი ბავშვს 6-დან 10 წლამდე. ტელ.: 22-60-65.
- ვყიდი რუსეთის ექვსსიმიან გიტარას, ფასი 70 ლარი; სამედიცინო სასწორს, ფასი 130 ლარი; ბავშვთა სამედიცინო სასწორს, ფასი 150 ლარი; გერმანულ ჩაის სერვიზს 12 კაცზე, ფასი 300 დოლარი. ტელ.: 98-38-98 (დილის 10 საათამდე და 17 საათის შემდეგ).
- ვიღებ დაკვეთას — ვწეწავ და ვრეცხავ მატყლს, შევკერავ ლეიბსა და საბანს. ტელ.: 31-63-47, მარიკა.
- ვყიდი რუსეთის ვილისის 4X4, ფასი შეთანხმებით. ტელ.: 95-89-58.
- ვამზადებ აბიტურიენტებს მათემატიკაში და ფიზიკაში. ტელ.: 95-44-79.
- ვყიდი პიანინოს „ივერია“, კარგ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 38-62-90, ნანა.
- სოხუმის ს/ს „ორგტექნიკა“ შეიძენს წნეხ-ყალიბებს, წნეხ-ყალიბის კომპლექტს საწერ-კალამზე („პასტა“), მისამართი: ქუთაისი, გუგუნავას № 1 (ელექტრომექანიკური ქარხნის ტერიტორიაზე). ტელ.: 5-38-26 (ქუთაისი), 68-57-65 (თბილისი), მანანა.

ყოველდღე უფასო განცხადებები მხოლოდ «კავკასიონის» მკითხველთათვის. დაგვირეკეთ და განცხადება მეორე დღის ნომერში გამოქვეყნდება. ტელ.: 29-48-05.

იყიდება სასწრაფოდ „მერსედეს ბენცი-123“ „102“ ძრავით, ბენზინზე. ავტომატიკა. საუკეთესო მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 29-48-05, იკითხეთ ვალერი.



მეუღლე ნანა ჩხეიძე, შვილები ლია და ია ჭილლაშვილები, ძმა როსტომი, და დოდო, სიძეები გია ძაგანია და გელა მგალობლიშვილი, შვილიშვილები ბელა, სალომე, ეკა, ეთუნა იუწყებიან

**რევაზ კონსტანტინეს ძე ჭილლაშვილის**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი 19, 20 მაისს, 16 სთ-ზე, დაკრძალვა 21 მაისს 15 სთ-ზე.
მისამართი: ვაჟა-ფშაველას მეორე კვარტალი, 32 კორპუსი, პირველი სადარბაზო.



### შალვა დავიდოვის ხსოვნას

„ამ ქვეყნად არაფერი არ არის სრულყოფილი, გარდა უბედურებისა“ როგორი მართალია, არა ბაბუა? მძაფრად ვიგრძენი ცხოვრების დაუნდობლობა... გვენატრები... შენ კი ჯიუტად არ ჩანხარ. ბაბუა, წინა დღეს გითქვამს „სიკვდილი მოვიდაო“. ნუთუ გრძნობდი ყველაფერს... უკანასკნელ წუთებში თვალები ცრემლით გქონია სავსე. ალბათ, ძალიან გიჭირდა ჩვენთან დაშორება.

– ერთი თვეც არაა გასული და უკვე ძალიან მენატრები. შენს მწინდა თვალებში ჩახედვა მთელ სიცოცხლეს მირჩევნია. ძალიან წესიერი კაცი იყავი, ბაბუა. მიკვირს, როგორ ახერხებდი ამას, რადგან მართლა ძნელია კაცური ცხოვრება... მჯერა, რომ შენი მართალი ცხოვრება ჩვენ გზას გაგვინათებს. ღმერთს ვთხოვ, შენნაირი ყოფილიყავით შენი შვილიშვილებიც.

– სოფელში ჩასვლისას, ბაბუა, პირველ რიგში შენთან მოვალ. მოგიტან ყვავილებს, ახალ გაზეთებს... მოგიყვები ყველაფერს და ყველაფერზე... ლექციაზე რამდენჯერ ავტირებულვარ, ცრემლები ჩუმად შემიშრალებია. – სიზმრად მაინც მოდი. მიამბე, ხომ არ გიჭირს რამე. ძალიან თავმდაბალი იყავი და მეცოდები... გჯეროდეს ბაბუა, რომ არ შეგარცხვენ და არასოდეს დაგივიწყებ.

შენი მაია

## ღიმილვორდი



შვეულად: 1. ანა, რომელიც თავის ტკივილს შველის; 2. ყველა ნარკომანისთვის აუცილებელი გეგმა; 3. მნიშვნელოვანი გეომეტრიული ფიგურა გფანჯიკიძის შემოქმედებაში; 4. ძველებური რომაული ოქროს ფული, რომელსაც ზენა აძლევს მხოლოდ კაცს; 5. „რა რუსების ბრალია, თუ კიტრსა გავს...“; 6. საბალეტო ხელოვნებასთან მწყრალად მყოფი საომარი იარაღი; 9. ტარზანთან დამმობილებული რუსული ქალაქი; 14. სახლიკიბე, თვითმფრინავი — ...; 15. პირველად საჭმელი; 16. ტომი აუხაზურად, ანუ დიდი ენერგიის მქონე პატარა ნაწილაკი; 17. დენი — განმანათლებელი; 18. აქლემთან გათანაბრებული საოჯახო ნივთი; 19. „ფრინველი — ლურჯი, სიდედრი — ...“ 22. ცნობილი ლათინო-ამერიკელი სიმონი; 23. „სადენია, თუ ცუდი კაცია, ორივეს უნდა...“ ის რაც ესაჭიროება სადენსაც და ბოროტმოქმედსაც; 25. აგენტების საკრებულო ინგლისში; 27. „ცოლისძმა — გულიანი, სიმამრი — ...“; 28. არითმეტიკული პურჭელი; 30. არტური ერთ-ერთი სახე; 31. რუბიკას საყვარელი საჭმელი.

თარაზულად: 7. „წყვილჩლიქოსანი ცხოველი“, რომლითაც ბენდერი და K კორეიკას მოსაძებნად გაემგზავრნენ; 8. „ლორის ქონი, პლიუს მური, გამოვიდა...“; 10. მთავარი ქიმიური ელემენტი ფეირუინსკის ორგანიზმში ვლენინის მიხედვით; 11. ატამანს აუხირდა (კინ.); 12. მტაცებელი ფრინველი, რომელიც სულაც არ არის ალალი ხასიათის; 13. ანა, რომელიც ცოცხალ ორგანიზმებს შეისწავლის; 17. რომელი ასაფეთქებელი ნივთიერება გამოიყენა ნობელმა თავისი პრემიის დაარსებისას?; 20. მამალი წოდებითში, ანუ გემრიელი კანფეტი; 21. სამაგიდო თამაში, სადაც კენჭების მიწყობით თევზი (რიბა) შეიძლება მიიღოთ; 24. ლორისაა, მაგრამ ადამიანს უფრო ხშირად აქვს; 26. „მთავრობა“ — დისიდენტის ენაზე; 29. მიმართვა ალას ქმარს; 31. ანგარიშიანი ცრანი; 32. ის, რასაც ზოგჯერ დაგდება სჭირდება, ზოგჯერ — აწევა, ზოგჯერ — შენარჩუნება; 33. ტურა, რომელიც მშენებლობისთვის აუცილებელია; 34. ადგილი, რომელიც არანორმალურად იქცევა.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

1. სენი. 2. ნომი. 3. მოლი. 4. ლომი. 5. მერი. 6. რიყე. 7. ლორი. 8. ჭალი. 9. ნიჭი. 10. ფონი. 11. ილფი. 12. ელფი. 13. სოლი. 14. მალა. 15. გემი. 16. არგო. 17. კალა. 18. ფატა. 19. შერი. 20. ვაშა. 21. ვენა. 22. ანრი. 23. კივი. 24. ტორი. 25. ერგი. 26. რახი. 27. ხალი. 28. ლასო. 29. სვია. 30. აირი. 31. საგა. 32. იარა. 33. აიდა. 34. დოლი. 35. ლაქი. 36. ჭაჭი.

## გამოიწერეთ გაზეთი «კავკასიონი»

ქ.თბილისის პრესის გავრცელების ს/ს (ყოფილი სოიუზპეჩატი) „მაცნე“

აგრძელებს ხელმოწერას ქართულ და უცხოურ ჟურნალ-გაზეთებზე. ხელმოწერა შეიძლება 1 თვით, 3 თვით, 6 თვით ხელმოწერის რაიონულ უბნებში, შემდეგ მისამართებზე:

1. გურამიშვილის გამზირი №30 ტელ: 60-80-22
2. ივ.ჯავახიშვილის (ყოფილი კალინინის) ქ.№4 ტელ: 95-87-36
3. ქეთევან წამებულის (ყოფილი შაუმიანის) გამზ. №61 ტელ: 74-14-47
4. წერეთლის გამზირი № 73 ტელ: 343-75-51
5. თაბუკაშვილის ქ.№12
6. ცენტრალურ ოფისში, გამსახურდიას გამზ. №42 ტელ: 37-47-49, 37-61-53, 93-43-97

ორგანიზაციებს შეუძლიათ ჩვენი წარმომადგენლის თავისთან მიწვევა ხელმოწერის გასაფორმებლად.

„მაცნე„ გარანტია ხელმოწერისთვის ჟურნალ-გაზეთების დროული და უდანაკარგო ჩაბარების. ჩვენ კატალოგებში შეტანილ ჟურნალ-გაზეთებს საცალო ვაჭრობაში ვერ იყიდით.

ენდეთ ჩვენს ნახევარსაუკუნოვან გამოცდილებას.

გამოიწერეთ გაზეთი «კავკასიონი»

დამფუძნებელთა საბჭოს თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორი ვასილ მაღლაფერიძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა ვეშაპიძე
გენერალური დირექტორი ვახტანგ სალია
პასუხისმგებელი რედაქტორი ზაზა ტალახაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის №7. ტელეფონი: 29-48-05; ფაქსი: 23-52-12.